საინფორმ. ... კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 8 გვერდს

ხუთშაბათი, 10 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 56 (1211)

## დღიური

— ჩინეთში მდგომარეობა კვლავ გამწვავდა.
— პოლონელი მემამულეები პროტესტს აცხადებენ გერმანია-პოლონეთის მოკავშირეების შეთანხმების შესაძლებლობის წინააღმდეგ.
— ოსმალეთში მდგომარეობა უცვლელია.
— გერმანიაში რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება.
— ჩინეთში დამთავრდა მეეტლეთა გაფიცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სესიის შედეგები

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ესაა სესიის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა. საბჭოთა რესპუბლიკების უზენაესი ორგანო პირველად შეიკრიბა არა მოსკოვში, არამედ კავშირის სხვა ერთ-ერთ დედაქალაქში, სახელდობრ თბილისში. ამით ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი კავშირში შემავალ ყველა ხალხების თანასწორუფლებიანობას, თბილისის თანასწორობას მოსკოვთან.

საკავშირო მთავრობამ პირველ რიგში სწორედ თბილისში გახსნა სესია და არა რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს აქვს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა და საბჭოთა კავშირის მხრით ჩვენი მხარე განსაკუთრებული ყურადღების და მზრუნველობის საგანს შეადგენს.

საქართველო იმყოფება ევროპის და აზიის მიჯნაზე. იგი თავის თავადაც მდიდარი, ამავე დროს წარმოადგენს გზას ბაქოს ნავთისაკენ და ჭიშკარს ახლო აღმოსავლეთისაკენ. ამიტომაც აცეცებენ თვალებს ჩვენი ქვეყნისაკენ ევროპის იმპერიალისტები.

სწორედ აქ გაისმა საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა განუყრელი კავშირის და ძმობის, საბჭოთა დიქტატურის სიმტკიცის მძლავრი ყიჟინა. ამით ერთი ეშვი კიდევ ჩაელწა მსოფლიო მტაცებლებს და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს უფრო მკაფიოდ მისწვდა ჩვენი განთავისუფლებულ მშრომელთა ხმა, რაც აღაფრთოვანებს მათ ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ.

მენშევიკები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლუციონერები ხმებს ავრცელებენ მოსკოვის მიერ საქართველოს ვითომ დამონების შესახებ. სინამდვილემ ამ ბოროტ ჭორებს ნიღაბი გამოაცალა, საკავშირო ცაკის სესიის მუშაობამ თბილისში უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ჭორიკანებს. საქართველოს მშრომელმა ხალხმა უშუალოდ იხილა თბილისში არა მეფის დროის მცირე ერთა დამპყრობლები, არამედ განთავისუფლებულ მშრომელ ხალხების ჭეშმარიტი წარმომადგენლები, რომელნიც ჩამოვიდნენ თბილისში, რათა ჩვენთან ერთად გაეკეთებინათ საერთო საქმე ქვეყნის გარდაქმნისა ახალ საფუძვლებზე, ყველა ერების კულტურული განვითარების, მშრომელთა ეკონომიური აღორძინების. ამან უფრო შეადუღა კავშირში შემავალი ხალხები, უფრო განამტკიცა საბჭოთა წყობილება.

სესიის საშუალებით კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები ახლოს გაეცნენ ჩვენს ხალხს, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, ცენტრალური, საკავშირო ხელისუფლება უფრო მჭიდროთ დაუკავშირდა ადგილობრივ ხელისუფლებას და მოსახლეობას.

ამან გაზარდა ცენტრის ინტერესი ამიერ-კავკასიისა და საქართველოსადმი, ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებისადმი.

სინიდისზე ხელ აღებული პირები გაიძახიან, რომ თითქო საქართველო მოსკოვისათვის წარმოადგენდეს კოლონიას, და უკანასკნელი თითქო ხელს უშლიდეს ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარებას. ჩვენი ქვეყანა მეფის დროს წარმოადგენდა კოლონიას. მენშევიკებმაც აქციეს იგი ევროპის კოლონიად. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს მის ნასახიც არ არის. მუშურ-გლეხური მთავრობა ცდილობს აღმოფხვრას ამ მხრივ წარსულის ნაშთები და ყოველგვარ ზომას იღებს ჩამორჩენილ ქვეყნების დასაყენებლად საკუთარ ფეხზე. ჩვენ გვაქვს ამის დამამტკიცებელი აუარებელი ფაქტები. საკავშირო ცაკის სესიამაც გადაჭრით აღიარა, რომ აუცილებელ ენერგიული მუშაობის წარმოება, რომელიც მიმართული უნდა იყოს ამიერ-კავკასიაში წარმოებათა შექმნისაკენ ადგილობრივი სამრეწველო ნედლეულის ადგილობრივადვე გადასამუშავებლად. სესიამ დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის და ქვეყნის მთელი ეკონომიკის განსავითარებლად. ამ ღონისძიებათა მიღებას საფუძვლად დაედო ამხ. ორახელაშვილის მეტად დასაბუთებული მოხსენება, რომელიც შეიცავდა გარდა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების აღნუსხვისა, მითითებას მთელ რიგ საჭირ-ბოროტო საკითხებზე, რომელთა გადაჭრა დაყოვნებას არ ითმენს და რომელთა გადაჭრისათვის აუცილებელია ცენტრის უხვი ფინანსიური დახმარება.

საბჭოთა კავშირი თანდათან ღონიერდება ეკონომიურად და მთავრობას დღითი-დღე მეტი საშუალება ეძლევა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, კერძოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ასაღორძინებლად.

ეს განსაკუთრებით სჩანს საკავშირო ბიუჯეტის მდგომარეობიდან როგორც სესიაზე გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, საბჭოთა ბიუჯეტი საკმაოდ განმტკიცდა. ჩვენ უკვე გვაქვს უდეფიციტო ბიუჯეტი. ფაქტიურმა შემოსავალმა საგრძნობლად გადააჭარბა ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვას. ეს მოწმობს, რომ კავშირის მთელი მეურნეობა აღორძინების და გაჯანსაღების მკვიდრ გზაზეა დამდგარი.

ამით აიხსნება სხვათა შორის, ის გარემოება, რომ სესიამ მნიშვნელოვანი ციფრით შეამცირა სასოფლო სამეურნეო გადასახადი და ამით გლეხობას შეუმსუბუქა საგადასახადო ტვირთი:

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხობის საკითხს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, უმთავრესი ადგილი ეჭირა სესიის მუშაობაში. სესიამ დასახა მთელ რიგი ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად და გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,—როგორც—სათესლე ფონდის შექმნა სასოფლო ბანკის საშუალებათა გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცება, აგრო-დახმარების მოწყობა და მრავალი სხვა.

გლეხობას და მუშათა კლასის კავშირის უფრო განმტკიცება,—აი რა შეადგენდა სესიის მუშაობის დედააზრს.

ამ მხრივ, გარდა ეკონომიურ ხასიათის ზომებისა, სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უპარტიო გლეხობის ფართე მასის საბჭოთა და სხვა ორგანოებში აქტიურ ჩაბმის და საბჭოთა ქვედა აპარატის გაჯანსაღების საკითხს.

ამ მხრივ იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები. მუშაობა ამ სფეროში უფრო უნდა გავაფართოვოთ და გავაძლიეროთ, ვინაიდან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლეხობას და პროლეტარიატის ურყეველი კავშირი არის საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის, არის საწინდარი მშრომელთა ქვეყნის ყოვლმხრივი გაძლიერების.

# საკავშირო ცაკის მესამე სესია

## სახელმწიფო ბიუჯეტი

### ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების დასასრული

### გადასახადები

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენი გადასახადის დახასიათებაზე. თუ კი ჩვენ გავანაწილებთ მათ ქალაქის და სოფლის გადასახადებად ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: პირდაპირ გადასახადების სახით ქალაქი იხდის სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში 555 მილ. მანეთი მაშინ, როდესაც სოფელი შედის სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო სამეურნეო გადასახადის სახით, 245 მილიონი მან. რაოდენობით. თუ კი ამას მიუმატებთ კიდევ დამატებითი სასოფლო-სამეურნეო გადასახადებს, რომლებიც შედის ადგილობრივ ბიუჯეტში—90 მილიონს და ზოგიერთ სპეციფიურ ადგილობრივ სასოფლო გადასახადებს, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: პირდაპირ გადასახადებით ჩვენ ვღებულობთ ქალაქიდან 555 მილიონ მანეთს, სოფლიდან კი 360. ამას უნდა მოუმატოთ 460 მილ. მან., რომელიც შემოდის არაპირდაპირი გადასახადებიდან, აქედან 300 მილ. მან. მოდის ქალაქის მომხმარებელზე და 160 მილ. სოფლის მომხმარებელზე.

ამრიგად ქალაქის გადასახადის საერთო სიმძიმე უდრის 855 მილ. მან. მხოლოდ გლეხებს აწევს 520 მილ. მან. ეს ციფრები ამტკიცებს რომ ჩვენ საგადასახადო დაბეგვრა უმთავრესად მიდის ქალაქზე და მცირედად სოფელზე.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი ეხლანდელი ბიუჯეტის, საგადასახადო ბიუჯეტის ორი მესამედი უდრის პირდაპირ გადასახადს. და მხოლოდ ერთი მესამედი, არაპირდაპირ გადასახადს.

როგორია მომავალი პერსპექტივების განვითარება ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი მუხლებისა. ჩემთვის არავითარ ეჭვს არ წარმოადგენს, რომ მომავალში თუ კი ჩვენ გვექნება საგადასახადო შემოსავლის აბსოლიუტური ციფრების მომატება ყოველი შემთხვევაში ამ მომატების ნაბიჯი იქნება შენელებული. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ჩვენი გადასახადები ყველა თავის ნაწილებში უნდა იქნეს ხელახლად გადასინჯული. ჩვენ ზოგიერთ შემთხვევებში გვაქვს ფაქტები ზედმეტი დაბეგვრისა, რისთვისაც ჩვენ უნდა წავიდეთ ზოგიერთ გადასახადების დაწევაზე. საკმარისია გავიხსენოთ იგივე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სადაც ჩვენ გვექნება არა მარტო მომატების საგრძნობ. დაწევასთან საქმე, არამედ შემოსული ანგარიშის აბსოლიუტურ ციფრებთან. არაპირდაპირი გადასახადების სფეროში ჩვენ წინ სდგას ეხლა საკითხი ღვინის აქციზის რამდენიმედ დაწევაზე და მასთან სხვა ჩვენი საშემოსავლო მუხლების დაწევაზედაც.

ამრიგად, ჩვენი საგადასახადო შემოსავლის ზრდა იქნება რამოდენიმედ შენელებული და აბსოლიუტური. ციფრებში გადასახადის შემატება ანაზღაურდება ზოგიერთ გადასახადის შემცირებაზე.

### არასაგადასახადო შემოსავალი

როგორ მიდის საქმე არასაგადასახადო შემოსავალთა დარგში. აქ ჩვენ მოგველის კიდევ დიდი მუშაობა. მაგრამ იმ ციფრებიდან, რომელიც აქ იყო მოყვანილი, თქვენ ხედავთ, რომ არასაგადასახადო შემოსავალი ბიუჯეტის საერთო ჯამში თამაშობს ჯერ კიდევ უმნიშვნელო როლს და ჩვენ მოგვიხდება მუშაობა კიდევ მრავალი წლების განმავლობაში, რათა ბოლოს და ბოლოს გადავიდეთ ისეთ ბიუჯეტზე, რომელიც დამყარებული იქნება არა გადასახადებზე, არამედ არასაგადასახადო შემოსავალზე.

ჩვენ არასაგადასახადო შემოსავალს შეადგენს პირველყოვლისა ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის მოგება, შემდეგ—შემოსავალი ჩვენი ტყეებიდან. სატყეო გადასახადების ზრდა მახლობელ წლებში არ იქნება დიდი, ვინაიდან ჩვენ მოგვიხდება მისი დაკავშირება სატყეო მეურნეობის გასაუმჯობესებლად გადადებულ თანხებთან.

აილეთ ეხლა შემოსავალი ჩვენი სახელმწიფოებრივ მრეწველობისაგან. ეს შემოსავალი საკმაოდ დიდია, მაგრამ ჩვენი სახელმწიფლებრივი მრეწველობის წინაშე სდგას ხელახლა მისი მოწყობის ამოცანა. და იმ 60 მილიონს, რომელიც შეგვაქვს, ბიუჯეტში მრეწველობის შემოსავალის სახით, დიდი ვაივაგლახით ვართმევთ ჩვენ სამეურნეო დარგში მომუშავეებს.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის წარმატება დიდია. მე მოვიყვან აქ რამდენიმე ციფრს. მაგალითად ჩვენ სახელმწიფო წარმოებათა პროდუქცია, გარდა სამხედრო მრეწველობისა, უნდა განისაზღვროს 3 ნახევარი მილიარდი მანეთით, აქედან 2.300.000.000, არის ფართო მოხმარების პროდუქტები, რომელიც გადის კერძო ბაზარზე. იმ წინასწარ, არა სრულ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენ ხელთ არის, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოებრივ მრეწველობის წმინდა მოგება განისაზღვრება 150 მილიონი მანეთით.

აქედან სახელმწიფო შემოსავალში გადაირიცხება, ალბად 50—60 მილიონი მანეთი. შეიძლება თუ არა მოველოდეთ ამ საგადასახადო შემოსავლის ზრდას მომავალში. მე ვფიქრობ, რომ არა. მრეწველობის ზრდა, უეჭველია, მომავალშიაც იქნება შესამჩნევი. იგი დაამტკიცებს ჩვენს წარმატებას სამეურნეო ფრონტზე, მაგრამ იგი კვლავ შეასრულებს შედარებით უმნიშვნელო როლს ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი

როგორ ფიქრობს სახ. კომისართა საბჭო იმ 187 მილიონ მანეთის განაწილებას, რომელიც ჩვენ მივიღეთ საკონტროლო ციფრების შემუშავების შემდეგ. თუ გამოვრიცხავთ 40 მილიონ მანეთს, რომელმაც უნდა გაადიდოს გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატების ხარჯები, დარჩენილ 147 მილიონ მანეთიდან 43 მილიონი გადადებულია ე. წ. გაუერთიანებელ უწყებათა ხარჯების დასაფარავად. ამაში პირველ ყოვლისა შედის ხარჯები სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობისათვის, ჩვენი სასოფლო მეურნეობის ორგანიზაციასთან და მართვა-გამგეობასთან დაკავშირებული ხარჯები და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხარჯები. გარდა ამისა სახ. კომისართა საბჭოს განზრახული აქვს 22 მილიონი მანეთი გადასდოს სადამხმარებლო ფონდის გასადიდებლად და რამდენადაც ამ სადამხმარებლო ფონდის გადიდება სწარმოებს სასოფლო მეურნეობის, სახალხო ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატებით ხაზით,—მე ნებას მივცემ ჩემ თავს ეს ორი ციფრი გავაერთიანო და ვსთქვა, რომ 65 მილიონი მანეთი 147 მილიონიდან ხმარდება იმ სახალხო კომისარიატების ხარჯების და რესურსების გადიდებას, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ გლეხთა და მშრომელ მასებთან.

შემდეგ რამოდენიმე თანხა მიიღო ჩვენმა მრეწველობამ: დონის ნახშირმა—4 მილიონი, ლითონის მრეწველობამ—5 მილიონი. ბოლოს ზოგიერთი ხარჯები გაწეული იქნება ქიმიურ მრეწველობის და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგების აღსადგენად.

18 მილიონით გადიდდა სასოფლო მეურნეობის ხარჯები, ამასთან ერთად 6 ნახ. მილიონი მანეთით გადიდებულია ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი თანხა და 10 მილიონი მანეთი შეტანილია სხვადასხვა სპეციალურ დანიშნულებების ხარჯებში, რომელსაც ეკუთვნის სოფლისათვის მანქანების მიწოდება და სხვა.

ბოლოს 21 ნახევარი მილიონი მანეთით გადიდებულია კომუნალური კრედიტები და ნავარაუდევ საკონტროლო თანხის—5 მილიონი მანეთის ნაცვლად, კომუნალური კრედიტები გაფართოებული იქნება 26 ნახევარ მილიონი მანეთით.

შედარებით ნაკლები ციფრი 8 მილიონი მანეთი შეტანილია დამატებით იმ ხარჯებში, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სავაჭრო მუშაობის განმტკიცებასთან. ბოლოს 7 ნახევარი მილიონი მანეთით გადიდებულია სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატების ხაჯები.

აი ის მთავარი მუხლები, რომლის მიხედვით სახ. კომისართა საბჭოს განზრახული აქვს გაადიდოს ჩვენი ხარჯები. უმთავრესად კი ეს ეხება ადმინისტრატიულ-კულტურულ სოციალურ სახ. კომისარიატების ხარჯების გადიდებას.

თუ ავიღებთ ბიუჯეტს გასავლის ნაწილში გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატებს გარეშე, მთლიანად 24—25 წლისათვის იგი ნავარაუდევია 1.400.000.000 მანეთათ. შარშანდელი წლის ბიუჯეტის გასავლის ნაწილი უდრიდა 1.150.000.000 მანეთს. მაშასადამე ჩვენ გვაქვს გადიდება 20 პროცენტით.

### ბიუჯეტის გასავლის განაწილება

საინტერესოა ბიუჯეტის გასავლის სხვადასხვა ნაწილების დაპირისპირება.

სამხედრო და საზღვაო საქმის საჭიროებისათვის 23—24 წელს ბიუჯეტით ნავარაუდევი იყო 385 მილიონი მანეთი, ეხლანდელი ბიუჯეტით—407 მილიონი. აქ ჩვენ გავადიდეთ 6 პროცენტით.

სპეციფიურ ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის საერთო საკავშირო და გაერთიანებულ კომისარიატების შესანახად შარშან გადადებული იყო 163 მილიონი მანეთი, წელს—168 მილიონი. გადიდებულია 3 პროცენტით.

გაუერთიანებელ კომისარიატების საჭიროებისათვის: სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, მიწათ-მოქმედების, შინაგან საქმეთა და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატების შესანახავად გადადებული იყო შარშან—183 მილიონი მანეთი, წელს—291 მილიონი, გადიდებულია 59 პროცენტით.

სახელმწიფო ხაზინის ოპერაციებისათვის—შარშან—123 მილიონი მანეთი, წელს—164 მილ., გადიდებულია 33 პროცენტით.

ბოლოს არაჩვეულებრივი ხარჯები შარშან—212 მილიონი—წელს 280 მილიონი, გადიდებულია—32 პროცენტით.

სარეზერვო ფონდები შარშანდელ წელთან შედარებით კი არ გადიდებულა არამედ კიდეც შემცირდა 99 მილიონიდან 86 მილიონამდე. ე. ი. 15 პროცენტით, რაც მოასწავებს ჩვენი ბიუჯეტის უეჭველ ზრდას.

### არაჩვეულებრივი ხარჯები

ბრიუხანოვი ვრცლად ახასიათებს არაჩვეულებრივ ხარჯებს. ის ამბობს, რომ შარშანდელ წელთან შედარებით 212 მილიონი მანეთის ნაცვლად გათვალისწინებულია ამ რუბრიკით—280 მილიონი მან. პირველ რიგში დაყენებულია მოუსავლობასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც უდრის 54 ნახევარ მილიონს და ლენინგრადში მომხდარ სტიქიურ უბედურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები—12 მილიონი მანეთი.

თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ამ თანხებს, ჩვენ მივიღებთ არაჩვეულებრივი ხარჯების ციფრს, რომელიც თითქმის უდრის შარშანდელი წლის ციფრს, მაგრამ მნიშვნელოვნად შეცვლილია თავის სხვადასხვა ნაწილებში. კერძოთ ჩვენ აქ გვაქვს არაჩვეულებრივ ხარჯების ზრდის შეწყვეტა და 180 მილიონი მანეთის ნაცვლათ, რომელიც გადადებული იყო შარშან, წელს ჩვენ გვაქვს 120 მილიონი მანეთი. მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ მნიშვნილოვნად გავადიდეთ კომუნალურ მეურნეობის ხარჯები: შარშანდელი 2 მილიონის ნაცვლათ—ჩვენ გვაქვს 26 ნახევარი მილიონი წელს.

შემდეგ ბრიუხანოვი ეხება სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებულ არაჩვეულებრივ ხარჯებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ხარჯები თანდათან იღებენ უკან დასაბრუნებელ ხარჯების, კრედიტის ხასიათს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ გავაუმჯობესეთ მუშაობა სამეურნეო დარგში.

ამხ. ბრიუხანოვს მოჰყავს ციფრები, რომელიც ახასიათებს ზოგიერთ ჩვენ სახალხო კომისარიატების ხარჯების ზრდას. სახალხო განათლების კომისარიატისათვის შარშან გადადებული იყო 81 მილიონი მანეთი, წელს—140 მილიონი, ე. ი. გადიდებულია 73 პროცენტით. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისათვის შარშან გადადებული იყო 20 მილიონი მანეთი, წელს—35 მილიონი გადიდებულია 75 პროცენტით. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატისათვის შარშან გადადებული იყო 31 მილ. მანეთი, წელს—56 მილიონ ნახევარი გადიდებულია—82 პროცენტით.

როდესაც მთელი ბიუჯეტი გადიდებულია 20 პროცენტით და ბიუჯეტის გასავლის ნაწილიც გადიდებულია აგრეთვე 20 პროც. ჩვენ ვხედავთ იმ მიმართულების საერთო ტენდენციას, რომელიც სახ. კომისართა საბჭომ აირჩია ხარჯების განაწილების საქმეში. პირველ ყოვლისა სამეურნეო ხარჯებთან ერთად დაყენებულია სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, ჩვენი სასოფლო მეურნეობის, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ხარჯები.

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი ეხება ჩვენი ხარჯების ზრდას უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში. მომხსენებელი სარგებლობს დიაგრამებით და ხაზს უსვამს, რომ ჩვენი ხარჯები, როგორც შემოსავალი განუწყვეტლივ იზრდება ყოველ წლიურად, ამასთანავე ზრდა ეხება უმთავრესად კულტურულ-სოციალურ სახ. კომისარიატებს.

### ადგილობრივი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი

ეხება რა ადგილობრივ ბიუჯეტის გასავლის ნაწილს, ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ საბრუნავ, საექსპლოატაციო და კომუნალურ წარმატებებთან დაკავშირებულ ხარჯების გამოკლებით, ადგილობრივი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი ნავარაუდევია 575 მილიონი მანეთით. შარშან იგი შეადგენდა 500 მილიონ მანეთს. ამგვარად ჩვენ გვაქვს გადიდება 15 პროცენტით. თუ ჩვენ განვიხილავთ ადგილობრივ ბიუჯეტის გასავლის ნაწილს და დაუპირისპირებთ ამ ხარჯებს წინა წლებისას, ჩვენ დავინახავთ, რომ კულტურულ სახ. კომისარიატების ხარჯები არა მარტო იზრდება აბსოლიუტურ ციფრებში, არამედ ამ ხარჯებს აქვს სულ უფრო და უფრო მეტი ხვედრითი წონა ადგილობრივ ბიუჯეტში. ასე მაგალათიდ, ხარჯები სახალხო განათლებისათვის 1922—23 წელს უდრიდა ადგილობრივ ბიუჯეტის 20 პროცენტს. შემდეგ წელს 25 პროცენტს, ხოლო წელს—26 პროცენტს. გამონაკლისს შეადგენს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, სადაც 1922—23 ბიუჯეტის ხარჯები უდრიდა 16 პროცენტს, წელს მას განზრახული აქვს დახარჯოს მხოლოდ 12 ნახ. პროც.

ამხ. ბრიუხანოვს გამოჰყავს შემდეგი დასკვნები ბიუჯეტის გასავლის ნაწილის დახასიათებიდან. ის ამბობს, რომ ჩვენი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი იზრდება უმთავრესად იმ ხარჯების დარგში, რომელიც ხმარდება მშრომელთა ფართო მასსებთან დაკავშირებულ სახელმწიფო და ადგილობრივ აპარატების საჭიროებას. შემდეგ ჩვენ გვაქვს ხარჯების გადიდება მეურნეობისთვის კრედიტების მიცემით.

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი სესიის ყურადღებას აქცევს ადმინისტრატიულ ხასიათის ხარჯებს. ის ამბობს რომ ჩვენ სახელმწიფო ორგანოებში 1.165.000 კაცი იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. თუ აქედან გამოვრიცხავთ გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატებს, ეს ციფრი შემცირდება 430,000-დე. მას ძალიან დიდათ მიაჩნია ეს ციფრი და ფიქრობს, რომ ამ მხრივ შეიძლებოდა კიდევ შემცირება. ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება 1.200.000 კაცი და ამ ციფრს სთვლის გაცილებით მეტათ, ვიდრე ეს ჩვენთვის საჭიროა.

აღნიშნავს რა სათემო ბიუჯეტის მნიშვნელობას, ის მოკლეთ ახასიათებს მას და გადადის სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის სავალიუტო აღრიცხვაზე.

ის აღნიშნავს, რომ წელს ჩვენ ჯერ კიდევ ორი ბიუჯეტი გვაქვს: ოქროს ბიუჯეტი, რომელიც გამოიხატება 80 მილ. მანეთით, და ჩერვონეცის ბიუჯეტი, რომელიც გამოიხატება დაახლოვებით 2.300,000,000 მანეთით. ოქროს ბიუჯეტის მთავარ გასავალის ნაწილს წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო ბანკის კაპიტალის შესავსებათ 35 მილ. მანეთის გაღება. შემდეგ დაახლოვებით 25 მილ. მანეთი იხარჯება მთელ რიგ საგნების და პირველ ყოვლისა მანქანების შესყიდვაზე უცხოეთში. შემდეგ მიდის ადმინისტრატიული ხარჯები, როგორიც არის უმთავრესად ჩვენი სრულუფლებიან წარმომადგენლობათა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების შესანახად. ეს ხარჯები შეადგენენ 14 მილ. მანეთს. დასასრულ, 7 მილ. რჩება სარეზერვო ფონდში.

### საერთო საკავშირო ბიუჯეტი და რესპუბლიკანური ბიუჯეტსი

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვი ეხება ურთიერთ დამოკიდებულებას საერთო საკავშირო ბიუჯეტს და ცალკე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის. ის აღნიშნავს, რომ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები საერთოდ ერთი წლის განმავლობაში 275 მილ. მანეთიდან გაიზარდა 396 მილ. მანეთამდე. მაგრამ აქ არის აგრეთვე ზოგიერთი შეუდარებელი ციფრები, მაგალითად, წელს აქ შევიდენ ბუხარა და ხორეზმა, რომლებიც წინად დამოუკიდებელ რესპუბლიკებს წარმოადგენდენ და არ შედიოდენ ჩვენს ბიუჯეტში. აქ შეტანილია დიდი ციფრი, დაკავშირებული ორგანიზაციულ გარდაქმნასთან უკრაინაში. თუ შევიტანთ ამ შესწორებებს, მაშინ მივიღებთ შემდეგს: შარშან საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები უდრიდენ 275 მილ. მანეთს, წელს კი მათი ჯამი უდრის 375 მილ. მანეთს, ე. ი. გაიზარდა 36 პროცენტით. თუ მოვიგონებთ, რომ საკავშირო ბიუჯეტი ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 20 პროცენტით, ადგილობრივ ბიუჯეტის აღნიშნულ ზრდას ანაზღაურებს საერთო საკავშირო ბიუჯეტის როლის და მნიშვნელობის სათანადოთ შემცირება.

შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რომ საგრძნობლად გადიდდება ცალკე საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები, რომელთაც გადაეცემათ მთელი რიგი შემოსავლისა და რომლებიც გაადიდებენ თავის ადმინისტრატიულ ხარჯებს.

ამხ. ბრიუხანოვს გაჰყავს პარალელი თვითეულ საკავშირო რესპუბლიკის მცხოვრებთა რაოდენობისა და ბიუჯეტთა შეფარდებას შორის. თუ რ. ს. ფ. ს. რ. შეადგენს კავშირის მოსახლეობის 69 პროცენტს, ამ რეს-

# საკავშირო და მოკავშირეთა ბიუჯეტი

## 1924—1925 წ.

I

### საერთო დახასიათება

შვიდ მარტს დამთავრდა საკავშირო ცაკის მესამე სესსია, და ბიუჯეტებიც ჩამოყალიბდა. მაგრამ ეს ჩამოყალიბება ჯერ კიდევ არაა მტკიცე და რამდენიმეთ ისევ საორიენტაციო ხასიათისაა.

საკავშირო და ყველა რესპუბლიკების ბიუჯეტების ჯამი უდრის (მილიონებში):

| | შემოსავალი | გასავალი | მეტი, ნაკლები | განსხვავება |
|---|---|---|---|---|
| ჩვეულებრივი — — | 2.072 | 1.999 | + 73 | —80 |
| არაჩვეულებრივი — | 127 | 280 | — 153 | |
| ვერცხლის და სპილენძის ფულის ემისია | 80 | | | |
| | 2.279 | 2.279 | | |

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ გასავალი შემოსავალს 80 მილიონი მან. აღემატება და ეს დეფიციტი ვერცხლის და სპილენძის ფულის ემისიით იფარება. საერთოთ ხარჯების 10 პროც., ანუ 127 მილ. მან. იფარება ხსენებული ემისიით, სხვადასხვა სესხებით და სახელმწიფო ფონდების რეალიზაციით, ე. ი. არაჩვეულებრივი შემოსავლით, რომლის შემადგენლობა ასეთია:

სახელმწ. ფონ. რეალიზაცია—16,7
საკრედიტო ოპერაციებიდან—110.
ვერცხლის და სპილენძის ფულის ემისიიდან—80
სულ . . . 206,7

საკავშირო ბიუჯეტი არის შედგენილი უდეფიციტოთ და უდრის 1.884 მილიონ მანეთს, ხოლო ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ჯამი შეადგენს:

შემოსავალი—314 მილ. მან.
გასავალი — 395 „ „
დეფიციტი— 81 „ „

ყველა მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები დეფიციტიანია. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ბიუჯეტის საერთო დეფიციტი უდრის 11,3 მილიონ მანეთს. რესპუბლიკების ბიუჯეტები გაცილებით უფრო მეტი დეფიციტიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დეფიციტის შემცირების მიზნით კავშირმა რესპუბლიკებს დაუტოვა ის შემოსავალი, რომელიც კონსტიტუციით საერთო კავშირს ეკუთვნის. ამნაირად რუსეთის ფედერაციას ერგო 124,3 მილ. მან., უკრაინას 33 მილ. მან., ამიერ-კავკასიის ფედერაციას 14,3 მილ. მან და ასე სხვებსაც. ეს თოთხმეტი მილიონი მან. შესდგება შემდეგი წყაროებიდან და თანხებიდან:

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან—7,5 მილ. მ.
სარეწავი გადასახადიდან —4 მილ. მ.
საშემოსავლო „ —2,8 მილ. მ.
სარენტო „ —0,5 მილ. მ.
სამემკვიდრო —0,024 მილ. მ.
14,824 მილ. მ.

ამ თანხას ემატება საბაჟო შემოსავალი 540 ათასი მან. და შემდეგ ისეთი შემოსავლები, რომელნიც კანონითაც ეკუთვნის ფედერაციას; მათი რაოდენობა უდრის 3,497 ათას მანეთს. ამნაირად ა | კ. ფედერაციის მთელი შემოსავალი შეადგენს 18,861 ათას მან., ხოლო მისი გასავალი 30.183 ათას მან. და დეფიციტი—11.812 ათას მან.

საკავშირო ბიუჯეტის მთავარ წყაროს აქციზის შემდეგ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წარმოადგენს. დამტკიცებულ ბიუჯეტში ნავარაუდევია, რომ კავშირში ამ გადასახადიდან უნდა შემოვიდეს 333,9 მილ. მან., რომლიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში შედის 245 მილ. მან. და ადგილობრივში—88,9 მილ. მან., როგორც წინეთ, ისე დღესაც პირველი ალაგი ეკუთვნის აქციზს, რომლიდანაც კავშირი 382 მილ. მანეთს მოელის. ძალიან მცირე თანხას იძლევა საბაჟო შემოსავალი. სულ 76,2 მილ. მან. ამდენივე შემოსავალს მოელის კავშირი სარეწავი, საშემოსავლო-ქონებრივ და საღერბო გადასახადებიდან (ცალ-ცალკე).

საერთოდ შემოსავალ-გასავალი შემდეგ სურათს იძლევა (მილ. მან.):

| შემოსავალი ა. ჩვეულებრივი | 1923—24 შემოვიდა | 1924—25 ნავარაუდ. | მეტი ნაკლები |
|---|---|---|---|
| 1. პირდაპირი გადასახადი . . . | 292,4 | 431,1 | +138,7 |
| 2. არაპირდაპირი გადასახადი . . | 307,8 | 458,2 | +150,4 |
| 3. ბაჟები . . . . . . . . | 66,1 | 88,6 | + 22,5 |
| სულ საგადასახადო წყაროდან | 666,3 | 977,9 | +311,6 |
| 4. ფოსტა-ტელეგრაფი . . . . . | 45,7 | 72,5 | +26,8 |
| 5. რკინის გზები . . . . . . | 630,4 | 810,0 | +179,6 |
| 6. სახელმწიფო ქონებიდან და წამოწყებებიდან . . . . . . . | 101,0 | 186,2 | +85,2 |
| 7. სახელმწ. ხარჯების ანაზღაურება | 18,7 | 21,2 | +2,5 |
| 8. სხვადასხვა შემოსავალი . . . | 11,1 | 4,3 | —6,8 |
| სულ არასაგადასახადო წყაროდან. | 806,9 | 1.094,2 | +287,3 |
| სულ ჩვეულებრივი შემოსავალი . . | 1.473,2 | 2.072,1 | +598,9 |
| ა. არაჩვეულებრივი | 631,0 | 206,7 | —424,3 |
| სულ შემოსავალი . . . . . | 2.104,3 | 2.278,8 | +174,5 |

1924|25 წ. ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 174,5 მილ. მან., მაგრამ ამ ახალ საკავშირო ბიუჯეტში პირველად შედის ბიუჯეტები (ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ) შორეულ აღმოსავლეთის ოლქის (область), კარელიის რესპუბლიკის (რ. ს. ფ. ს. რ. ნაწილია), თურქმენების და უზბეკების რესპუბლიკათა და სხვა. ამნაირად ახალი ბიუჯეტის გადიდებას აქვს ბუნებრივი საფუძველი.

შედარებით 1923|24 წ. საგადასახადო შემოსავალი გადიდებულია 311,6 მილიონი მანეთით ანუ თითქმის 50 პროცენტით: ცოტა მეტად გადიდებულია არაპირდაპირი შემოსავალი შედარებით პირდაპირ შემოსავალთან.

დიდი ადგილი უჭირავს რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავლის გადიდებას—206,4 მილ. მან. ანუ 30,5 პროც. მნიშვნელოვანია სახელმწ. ქონების და წამოწყებების შემოსავლის ზრდა (იყო 101 მილ. მან., ნავარაუდევია 186,1 მილ. მან.)—84,3 პროც.

აი ასეთ ცვლილებებზე და ვარაუდზე დაყრდნობამ კავშირის ფინანსთა კომისარს საშუალება მისცა ცაკისათვის წარედგინა ბიუჯეტი, სადაც ქაღალდის ემისია არაა ნაჩვენები, როგორც საშემოსავლო წყარო. რაც შეეხება 80 მილ. მან. ვერცხლის და სპილენძის ფულის ემისიას, აქედან 40 მილ. მან. იხარჯება ლითონის ყიდვაში და 40 მილ. მანეთიც ფინანსთა კომისარის ვარაუდით ანაზღაურდება ლითონის ფულის მოჭრიდან სახელმწიფოს მიერ აღებულ მოგებით.

ასეთია საერთო სურათი ძირითადი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისა; მე ვამბობ „ძირითადი ბიუჯეტის", რადგან კავშირს აქვს მეორე პატარა ოქროს ბიუჯეტი, რომელიც უდრის 80 მილ. მან. და რომლის მთავარი დანიშნულებაა საგარეო ვაჭრობას ხელი შეუწყოს. ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შედგება:

ჩვეულებრივი შემოსავალი —45 მილ. მან. და არაჩვეულებრივი—35 მილ. მან., რომელიც ნასესხია ოქროს ფონდიდან. მაგრამ ამ სესხით ოქროს ფონდი ფინანსთა კომისარიატის ვარაუდით არ უნდა შემცირდეს, რადგან გასული წლიდან სავალიუტო წმინდა შემოსავალი დარჩა 21,5 მილ. მან. და ოქროს და პლატინის მრეწველობიდან მიმდინარე წელს შესყიდული ლითონის ღირებულება ბევრად აღემატება 13,5 მილ. მან.

ამნაირად ძირითადი ბიუჯეტის და ოქროს ბიუჯეტის ჯამი შეადგენს 2.358,8 მილ. მან. ასეთია გაერთიანებული საკავშირო საშემოსავლო ბიუჯეტის რაოდენობა და საერთო სახე.

შემდეგ წერილში ჩვენ ასევე დავახასიათებთ გაერთიანებულ საკავშირო საგასავლო ბიუჯეტს.

ღ. თოფურიძე.

პუბლიკის ბიუჯეტი შეადგენს საერთო საკავშირო ბიუჯეტის 67 პროცენტს. სათანადო ციფრები გვაქვს უკრაინაში:—20 პროც. და 17 პროც., ბელორუსიაში—3 პროც. და 2,7 პროც., ესე იგი სამივე ამ რესპუბლიკაში ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის ერთგვარი ჩამორჩენა. ხოლო სამ დანარჩენ რესპუბლიკაში—ამიერ-კავკასიის, თურქმენთა და უზბეკთა—ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს. ამიერ-კავკასიის მოსახლეობა შეადგენს კავშირის მოსახლეობის 4 პროცენტს, ხოლო მისი ბიუჯეტი უდრის 7 ნახევარ პროცენტს, თურქმენისტანის მოსახლეობა შეადგენს—0,8 პროც., ბიუჯეტი—1 ნახ. პროცენტს და უზბეკისტანში მოსახლეობა—4 პროც., ბიუჯეტი—4,3 პროც. თუ გამოვიანგარიშებთ ხარჯებს მოსახლეობის თითო სულზე, საშუალო ხარჯი თითო სულზე მთელს კავშირში უდრის 2 მან. 81 კაპ. წელიწადში, ამიერ-კავკასიაში კი იხარჯება 5 მან. 39 კაპეიკი. ამის ახსნა შეიძლება ვპოვოთ მხოლოდ იმაში, რომ ამიერ-კავკასია რამდენიმე ხნით უფრო გვიან შეუერთდა მოძმე რესპუბლიკების ოჯახს, ვიდრე დანარჩენი რესპუბლიკები. ამიტომ მან უფრო ინტენსიურად უნდა გაატაროს ფინანსიური სახელმწიფო მეურნეობის აღშენებლობა.

### დასკვნა

მიმდინარე მომენტის ერთ-ერთ მორიგ და ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად ამხ. ბრიუხანოვს მიაჩნია სათემო და ადგილობრივი ბიუჯეტის განმტკიცება საერთო-საკავშირო ბიუჯეტის ერთგვარი შესუსტების ხარჯზე.

რაც შეეხება ბიუჯეტის პერსპექტივის სფეროს როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, ის ფიქრობს, რომ ისინი სწორად იყვნენ გათვალისწინებულნი.

ჩვენ გაზრახვა გვაქვს, ამბობს მომხსენებელი, მომავალშიც გავაცხოველოთ გადასახადების შემოსავლიანობა, მაგრამ იმისათვის რომ ამ შემოსავალიანობას აქვს მცირე მნიშვნელობა საერთო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში, ჩვენ მაინც უახლოეს წლებში გვექნება ბიუჯეტი, რომელიც დაყრდნობილი იქნება გადასახადებზე. საგადასახადო სფეროში ჩვენ გვაქვს განზრახვა და მიგვაჩნია აუცილებლად, ცხოვრების პირობების მითითების მიხედვით, გავითვალისწინოთ და შევიტანოთ ესა თუ ის ცვლილებები ჩვენი საგადასახადო სტრუქტურის დაბეგვრაში. გასავლის სფეროში ჩვენ ვაპირებთ გავატაროთ სასტიკი ეკონომიის ხაზი სახელმწიფო აპარატის შესანახავად. მასთან ერთად ჩვენ გავაგრძელებთ ხაზს სახელმწიფო სალსრების ასიგნაციისას ჩვენი ძირითადი სამეურნეო და ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი საჭიროებისათვის.

ჩვენ წინ სდგას მთელი რიგი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებსა და პერსპექტივა მომავალში. მაგალითად გაისად, ჩვენი გასავლის გასაფართოებლად, შეიძლება ჩვენ წინ დადგეს პერსპექტივა, ეგრედ წოდებულ დეფიციტიან ბაუჯეტისა.

თუ კი ჩვენ შეგვხვდება დეფიციტიანი სურათი დამატებითი გასავლის გაღებით, რომელთა საჭიროებასაც შემდეგ ასჯერ მეტად თვითვე აიღებენ, ჩვენ შემდეგშიაც, თქვენი ურყევი მითითებით, დავფარავთ ასეთ დეფიციტს საკრედიტო ოპერაციის ხარჯზე, უემისიოდ და მაგარი ვალიუტის შეურყევლად.

საკრედიტო ოპერაციის სფეროში ჩვენ უნდა გავატაროთ ეხლა დაჭიმული მუშაობა.

ჩვენ სამუდამოდ უარი ვსთქვით ძალდატანებით გავატაროთ მოსახლეობაში ჩვენი სესხი, ჩვენ გვინდა შევქმნათ ჩვენ ქვეყანაში ძლიერი, კრედიტული და სახელმწიფოებრივი ოპერაციები. ჩვენ უშვებთ ეხლა საცდელად მცირე ათმილიონიან და მოკლევადიან სესხს და ვაპირებთ გამოუშვათ ამ ზაფხულში საგლეხო სესხი. ამ სესხის გავრცელება სრულ ნებაყოფლობაზე უნდა იქნეს დამყარებული.

საკრედიტო სახელმწიფოებრივ ოპერაციების განვითარება და გაჯანსაღება წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ და რთულ საკითხს, რომელიც ჩვენ წინაშე სდგას დღევანდელ მომენტში. ამ საკითხის დაძლევა შესაძლებელია და ჩვენი სახელწიფო საკრედიტო ოპერაციები წავლენ წინ და განვითარდებიან წარმატებით მხოლოდ ჩვენი მაგარი ვალიუტის ნიადაგზე და უკვე დამთავრებულ ფულის რეფორმის ნიადაგზე.

და აქ, მე დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა, სახალხო კომისართა საბჭო, კერძოთ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ნახავენ მხურვალე, ერთსულოვან და სრულ თანაგრძნობას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან თავის ბრძოლაში ჩვენი მაგარი ვალიუტის გასამაგრებლად, ჩვენი მანეთის სყიდვითი უნარის მოსამატებლად, მაგარი ვალიუტისათვის, როგორც ნამდვილ, მუშათა გლეხთა წითელი სისხლისათვის, რომელიც შესხმულია ჩვენს სამეურნეო ორგანიზმში და რომელიც აძლევს საშუალებას ამ ორგანიზმს წავიდეს წინ, გამარჯვებისაკენ—კომუნისტური საზოგადოებისაკენ (მხურვალე ტაში).

რობას კიდევ იმის შესახებ, რომ ჩვენს ბიუჯეტში თანდათანობით, მაგრამ მტკიცეთ და ურყევად ტარდებოდეს საშემოსავლო მუხლების შეფარდების ცვლილება, რათა ჩვენი ბიუჯეტი სულ უფრო და უფრო ემყარებოდეს საგადასახადო ხასიათის შემოსავალს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი წარმატებები და ამაზე ლაპარაკობს თავის მოხსენებაში ამხ. ბრიუხანოვიც. თუ 22—23 საოპერაციო წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა საგადასახადო შემოსავალი დაახლოვებით 40 მილ. მანეთი, 23—24 წ. ჩვენ გვაქვს 160 მილ. მან., ხოლო 24—25 წლისათვის ჩვენ ვფიქრობთ მივიღოთ 228 მილ. მანეთი. საგადასახადო შემოსავლის წყაროებს შეადგენენ: მრეწველობა, ვაჭრობა, ბანკები, სატყეო და სხვაგვარი შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან. რასაკვირველია, ჩვენი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალზე დამყარების საკითხი ძალიან ძნელ საკითხს წარმოადგენს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შეცდომას ჩავიდენდით, თუ ეხლავე არ გავსცემდით დირექტივს ამის შესახებ.

### ჩვენი ბიუჯეტის ხასიათი

ჩვენი ბიუჯეტი უნდა განსხვავდებოდეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ბიუჯეტისაგან, პირველყოვლისა მით, რომ ის უნდა ეფარდებოდეს ჩვენი სოციალური წესწყობილების მთელს თავისებურობას. ის უნდა შეეფერებოდეს იმ მდგომარეობას, რომ ჩვენში ნაციონალიზაციაქმნილია მიწა, ტყე, მრეწველობა, ტრანსპორტი სახალხო კავშირის ქსელი და სხვ. სავსებით ცხადია, რომ ჩვენს ასეთ განსაკუთრებულ წესწყობილებას უნდა შეეფარდებოდეს ბიუჯეტი, დამყარებული უმთავრესად სახალხო მეურნეობის ამ ნაციონალიზაციაქმნილ დარგების შემოსავალზე.

ამ საკითხის შესახებ საბიუჯეტო კომისია მოითხოვს, რომ ეხლა გაცემული იქნეს მეტად ფრთხილი დირექტივი ისე, რომ თანდათან შეუდგეთ მუშაობას ჩვენი ბიუჯეტის ასეთი შემუშავებისათვის.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ გაიზარდოს ხარჯები კავშირში მცხოვრებ ხალხთა კულტურულ მოთხოვნილებებზე. აუცილებლად უნდა გავსცეთ დირექტივი იმის შესახებ, რომ მომავალი ბიუჯეტი ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებათა შემდეგ გაფართოებას, რადგან ის წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის. კომისია ფიქრობს რომ მომავალი წლისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საგრძნობლად იქნება შემცირებული. საჭიროა აგრეთვე ზომების მიღება იმისათვის, რომ განმტკიცებულ-განვითარებული იქნეს სათემო და რაიონული ბიუჯეტები.

და, დასასრულ, დირექტივი იმის შესახებ, რომ ფულის რეფორმა, რომელიც გასულ წელს ასეთი წარმატებით იქნა გატარებული და რომელმაც ასეთი დიდი მიღწევები მოგვცა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის,—ეს ფულის რეფორმა წინანდებურად ფხიზლად იქნეს დაცული. საუკეთესო საშუალებას მის დასაცავად წარმოადგენს ქალაქის მრეწველობის პროდუქტებზე ფასების დაკლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და ზედ დართული ხარჯების შემდეგი შემცირების პოლიტიკის გატარება.

აი ის დირექტივები, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს ცაკის სესიის მიერ და რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

### საბიუჯეტო კომისიის დებულება

დასასრულ ამხ. კუიბიშევი ეხება დებულებას საბიუჯეტო კომისიის შესახებ, რომელიც მიღებულია საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიერ.

მე ვფიქრობ, რომ ვერც სოციალური წესწყობილების განსხვავება, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით, ვერც სხვა რამ ვერ შესცვლის საბიუჯეტო კომისიის მნიშვნელობას ჩვენში. რამდენადაც ჩვენ გვაქვს ბიუჯეტი, რომელიც იზრდება, რამდენათაც ეს ბიუჯეტი თანდათან საერთო სამეურნეო ცხოვრების ნამდვილ გეგმათ ხდება, იმდენად საბიუჯეტო მუშაობას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს; შექმნილი უნდა იქნეს ისეთი პირობები, როდესაც შესაძლებელი იქნება თვითეული ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის ყველა ინტერესების და მოთხოვნილებების გათვალისწინება და საერთო სამეურნეო ცხოვრების პირობების გათვალისწინება ამა თუ იმ პერიოდისათვის. ერთი სიტყვით მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომები იმისათვის, რომ საბიუჯეტო მუშაობამ მოგვცეს ნამდვილი მტკიცე ბიუჯეტი, რომელიც არ დაირღვევა ერთი წლის განმავლობაში და რომელიც მტკიცე ფინანსიური გეგმა იქნება განსაზღვრული პერიოდისათვის. ამისათვის საჭიროა საბიუჯეტო კომისიის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. დებულების გამომუშავება ყველაზე უფრო მთავარი მომენტია, რომელიც ბოლოს და ბოლოს განსაზღვრავს ამ მუშაობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბიუჯეტო კომისია არჩეული უნდა იქნეს საკავშირო ცაკის მიერ და საჭიროთ მიგვაჩნია, რომ სესიის ბოლოს არჩეული იქნეს საბიუჯეტო კომისია მომავალი წლისათვის. საბიუჯეტო კომისია იხილავს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, დაწვრილებით ეცნობა მას და იმუშავებს დირექტივებს ბიუჯეტის შესადგენათ, რომლებსაც დასამტკიცებლათ უდგენს სესიას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დებულება საბიუჯეტო კომისიის შესახებ, რომელიც დაურიგდა ცაკის ყველა წევრებს, ამა თუ იმ ფორმით დამტკიცებული უნდა იქნეს. ეს აუცილებელია, რადგან საბიუჯეტო მუშაობა ეხლა იწყება. საბიუჯეტო კომისია, მიუხედავათ იმისა, რომ ბიუჯეტი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნება მხოლოდ სექტემბერში, ამ ბიუჯეტის მუშაობას დაიწყებს ეხლავე და გამოარკვევს ხასიათსა და გასავლის და შემოსავლის მუხლებს; ეს საჭიროა იმისათვის, რომ სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობა თავიდანვე დაუკავშირდეს იმ მოთხოვნილებებს და სურვილს, რომლებიც წამოყენებულია ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების მიერ (ტაში).

# ამხ. კუიბიშევის თანამოხსენება ბიუჯეტის შესახებ

## შემოსავალმა გადააჭარბა ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვას

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. კუიბიშევი ლაპარაკობს საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაზე და აღნიშნავს იმ პირობებს, რომელშიაც ამ კომისიას უხდებოდა მუშაობა. ის ამბობს, რომ საბიუჯეტო კომისია შედგენილი იყო ყველა საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან და მას ჰქონდა საშუალება განეხილა საკავშირო რესპუბლიკების ყოველგვარი საჭიროებანი, რამდენადაც ამას ბიუჯეტი გამოხატავს. იმ მოკლე ვადაში, რომელიც საბიუჯეტო კომისიას ჰქონდა, შეუძლებელი იყო ამ მუშაობის შესრულება ისე, როგორც იგი უნდა იქნას შესრულებული მომავალში.

საბიუჯეტო კომისია პირველ ყოვლისა შეჩერდა ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილზე და ეს იყო უმთავრესი მუშაობა, რომელიც ჩვენ შევასრულეთ. ჩვენ გადავსწყვიტეთ შეგვედარებიი იმ ბიუჯეტის პროექტში შეტანილი საშემოსავლო ნაწილი, რომელიც წარდგენილია სესიაზე დასამტკიცებლად, ამ საბიუჯეტო წლის პირველ მეოთხედის შემოსავალთან. და აქ შედარებიდან ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ შემოსავალი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო ბიუჯეტში. მუშაობის პროცესში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ შემოსავლის ზედმეტი რაოდენობა, ნავარაუდევ ციფრთან შედარებით, უდრის 187 მილიონ მანეთზე მეტს.

აი შემდეგი ციფრები იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი იყო არასაგადასახადო შემოსავალი ამა წლის პირველ მეოთხედში. ნავარაუდევი იყო, რომ საქციზო გადასახადებით პირველ მეოთხედში ჩვენ უნდა მიგვეღო 70 მილიონი მანეთი, ხოლო მივიღეთ 87 მილიონი. აქ ჩვენ გვაქვს მომატება 18 მილიონი მანეთი. საბაჟო შემოსავლიდან 14 მილიონის ნაცვლად ჩვენ მივიღეთ 19,8 მილიონი, ე. ი. გადიდებულია თითქმის 6 მილიონი მანეთით.

ავიღოთ ზოგიერთი არასაგადასახადო ხასიათის შემოსავალი, მაგალითად ტრანსპორტი. ნავარაუდევ 183 მილიონი მანეთის ნაცვლათ ჩვენ გვქონდა 203 მილიონი, ე. ი. გადიდებულია 10 მილიონით. დანარჩენ არასაგადასახადო ხასიათის შემოსავლიდან 39 მილიონი მანეთს ნაცვლათ, ჩვენ მივიღეთ 45 მილიონი მანეთი.

შევნიშნავ აქვე, რომ ზოგიერთ გადასახადების მხრივ შემჩნეული იყო საწინააღმდეგო სურათი: ნაკლები შემოსავალი იმაზე, რაც ნავარაუდევი იყო. მაგრამ ეს განსხვავება იყო ნაკლები, ვიდრე გადიდების პროცესი. თუ ავტომატიურად გავავრცელებდით იმ ზედმეტ შემოსავალს, რომელიც გვქონდა პირველ მეოთხედში, მთელ ბიუჯეტზე ჩვენ შეგვეძლო მოგვემატებია ბიუჯეტისათვის დაახლოვებით 200 მილიონი მანეთი და შეიძლება მეტიც. მაგრამ საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად სცნო, რომ წლის პირველი მეოთხედის გამოცდილების ავტომატიურად გავრცელება მთელ წელიწადზე შეუძლებელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველ მეოთხედში არის ზოგიერთი სასეზონო გადასახადები, მეორეც სიფრთხილის გამო იმ პერსპექტივებისადმი, რომელიც გათვალისწინებულია მიმდინარე საოპერაციო წლისათვის.

ჩვენ განვიცდით ამჟამად ამა წლის კრიტიკულ პერიოდს. მახლობელ თვეებსა და, შესაძლებელია, კვირეებზე დიდათ იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წავა ჩვენი ბიუჯეტის საქმე და როგორ განვითარდება ჩვენი სახალხო-სამეურნეო ცხოვრება. თუ ჩვენ გვექნა მოუსავლობა, თუნდაც იმავე რაოდენობით, როგორც შარშან გვქონდა, უნდა გათვალისწინოთ, რომ არამარტო უშუალო გადასახადები გლეხობისაგან შემცირდება, არამედ მთელ სამეურნეო ცხოვრებას მიადგება ზიანი, რაზედაც დამოკიდებული იქნება სხვა წყაროებიდან გადასახადების ნაკლები შემოსავალი, კერძოთ არაპირდაპირი გადასახადები, აქციზი და სხვა. ამიტომ ფრთხილად უნდა მივუდგეთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გადიდებული ბიუჯეტი.

მაგრამ უბედურება არ არის, როდესაც შემოსავალი გადააჭარბებს ნავარაუდევ ციფრს. გაცილებით უფრო ცუდი იქნებოდა, რომ შემოსავალი გამოანგარიშებული ყოფილიყო იმგვარად, რომ ბოლოს და ბოლოს გამორკვეულიყო შემოსავლის შემცირება ნავარაუდევ ციფრთან შედარებით. მაშინ იქნებოდა არა მარტო წინააღმდეგობა ჩვენი მეურნეობის გეგმაშეწონილობასთან, არამედ მოხდებოდა კონფლიქტი განზრახულ საგეგმო მუშაობასა და შესაძლებლობას შორის. ამ შემთხვევაში მოგვიხდებოდა შეგვემცირებია, უარი გვეთქვა მთელ რიგ სამუშაოზე, რომელიც უკვე დაწყებული იყო.

## ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდება

შემოსავლის რომელ ნაწილში ვფიქრობთ ჩვენ შევსცვალოთ ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია სესიაზე განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოს მიერ? პირველ ყოვლისა საქციზო ნაწილში ჩვენ ვსცანით შესაძლებლათ გავადიდოთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 40 მილიონი მანეთით, სარეწავო გადასახადები—6 მილიონი მანეთით და 5 მილიონი მანეთით ტრანსპორტის გამათანასწორებელი გადასახადი, რამდენადაც ტრანსპორტი ადიდებს თავის შემოსავალს. განსაკუთრებით მეტ გადიდებას ნავარაუდევ შემოსავალთან შედარებით გვაძლევს ჩვენ ტრანსპორტი. 810 მილიონის ნაცვლად, რომელიც შეტანილია ბიუჯეტში ჩვენ ვფიქრობთ ტრანსპორტში გავადიდოთ შემოსავალი 850 მილიონი მანეთით, ე. ი. გავადიდოთ იგი 40 მილიონი მანეთით. ალბად ტრანსპორტის შემოსავალი იქნება ზედმეტი და შეადგენს 55 ან 66 მილიონ მანეთს, მაგრამ სიფრთხილის მიხედვით, რომელიც ჩვენ გამოვიჩინეთ შემოსავლის ყოველ მუხლისადმი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ უნდა შევჩერდეთ 40 მილიონ მანეთზე.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შემოსავალში ჩვენ წინადადებას ვიძლევით დაუმატოთ ბიუჯეტში 15 ნახ. მილიონი მანეთი, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თანხა წარმოადგენს წმინდა საბრუნავ საშუალებას და მივიღეთ იგი იმიტომ, რომ მთავრობის დადგენილებით ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იყო სატელეფონო ქსელიც, რომელიც, ამგვარად, თავის შემოსავალ-გასავლით შედის ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში 15 ნახ. მილიონი მანეთის რაოდენობით. მეორე მომგებიან სესხით შეიძლება გავადიდოთ შემოსავალი 5 მილიონი მანეთით.

თუ გამოვიანგარიშებთ ყველა ამ დამატებებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში, იგი შეადგენს 106 ნახ. მილიონ მანეთს და ამ გვარად იმ 187 მილიონ მანეთს, რომელიც დაემატება სახ. კომისართა საბჭოს საკონტროლო ციფრებს, საბიუჯეტო კომისია ფიქრობს დაუმატოს კიდევ 106 ნახ. მილიონი მანეთი.

## ზოგიერთი გადასახადის შემცირება

ჩვენ იძულებული ვიყავით იმავე სიფრთხილის მიხედვით ზოგიერთ შემოსავლის გადიდებასთან ერთად შეგვემცირებია სხვა საშემოსავლო მუხლები ბიუჯეტში. პირველ ყოვლისა ერთიან-სასოფლო-სამეურნეო გადასახადში ჩვენ განზრახული გვაქვს 245 მილიონი მანეთი შევამციროთ 10 მილიონით. ეს აიხსნება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაწილი, რომელიც ნავარაუდევია შემდეგ საბიუჯეტო წლისათვის. შედის იმ წლის ბიუჯეტში, რომელშიაც იგი იკრიბება. განზრახული იყო, რომ იმ ახალ გადასახადიდან, რომელიც აიკრიბება ამ ზაფხულზე და შემოდგომაზე, 1924—25 წლის ბიუჯეტში შევა 35 მილიონი მანეთი, მაგრამ იმის გამო, რომ წელს სასოფლო სამეურნეო გადასახადი შემცირებული იქნება, ჩვენ მიზანშეწონილად დავინახეთ ეს ციფრი შეგვემცირებია 10 მილიონი მანეთით. ეს სრულიადაც არ გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირებას მრავალ წლისათვის. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რა თქმა უნდა, შემცირებული იქნება გაცილებით უფრო მეტად, მაგრამ იგი თავისი ძირითადი ნაწილით შევა მომავალი წლის ბიუჯეტში; განზრახული შემცირება 10 მილიონი მანეთით—ეკუთვნის მიმდინარე წელს.

ჩვენ აგრეთვე წინადადებას ვიძლევით 15 მილიონი მანეთით შევამციროთ თანხა, რომელიც ნავარაუდევია საგლეხო სესხისათვის, იმის გამო, რომ შექმნილია მისი რეალიზაციის ახალი პირობები, თუ მხედველობაში მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო შემცირებას მომავალი წლისათვის. ბოლოს სარენტო შემოსავალი განზრახული გვაქვს შევამციროთ 800.000 მანეთით.

ამგვარად, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ საშემოსავლო ნაწილის შემცირებას 25.800.000 მანეთით, ჩვენ გვექნება საერთო დამატება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 80.800.000 მანეთი.

## რაზე უნდა დაიხარჯოს დამატებითი შემოსავალი

შემდეგ, ამხ. კუიბიშევი ვრცლად ეხება საკითხს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი ბიუჯეტის გადიდება. პირველ ყოვლისა 15 ნახ. მილიონი მანეთი შეტანილია ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში საბრუნავი თანხის სახით.

40 მილ. მანეთი, რომელსაც დამატებით მიიღებს ტრანსპორტი, ჩვენი აზრით, უნდა დარჩეს აგრეთვე გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში, მაგრამ ერთი შენიშვნით: ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამატებითი შემოსავალი ტრანსპორტიდან უნდა იხარჯებოდეს უფრო მნიშვნელოვან საჭიროებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტის ხარჯთ-აღრიცხვასთან, არა მარტო წმინდა საუწყებო ხასიათის, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი და საერთო პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოთხოვნილებებზე.

ფოსტა-ტელეგრაფის და გზათა სახალხო კომისარიატების ხარჯების გადიდების გარდა, ჩვენ გვრჩება 25,2 მილ. მანეთი, რომლის განაწილება საბიუჯეტო კომისიას განზრახული აქვს შემდეგნაირად: 8 მილ. მან. უნდა მოხმარდეს დაღუპულ საზამთრო ნათესების ხელახლა დათესვის მოწყობას. შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ 8 მილ. მანეთი გაღებული უნდა იქნეს კოოპერაციის კაპიტალის შესავსებად.

საბიუჯეტო კომისიას უნდა გაეთვალისწინებია აგრეთვე სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის უკვე მომხდარი გადიდება 5,600.000 მანეთით, მაშასადამე, ეს თანხაც შედის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში. ამას გარდა საბიუჯეტო კომისიას განზრახული აქვს მისცეს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკას 2 მილ. მანეთი სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლისათვის. აგრეთვე უკრაინას 775,000 მან. და ბელორუსიას 825,000 მანეთი მათი გადაუდებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რასაკვირველია, ეს მატერიალური ცვლილებები, რომელთაც ჩვენ გიდგენთ თქვენ, არ ამოსწურავენ იმ დედგენილებებს, რომლებიც თქვენ უნდა მიიღოთ თქვენი დასკვნის მიხედვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითქმის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს იქიდან, რაზედაც ჩვენ ვაპყრობთ თქვენს ყურადღებას, წარმოადგენენ ის დირექტივები, რომლებიც თქვენ უნდა მისცეთ კავშირის მთავრობას იმ დამატებით შემოსავალთა დახარჯვის შესახებ, რომლებიც ალბად გვექნება, თუ რაიმე განსაკუთრებული უბედურება არ ეწვია ჩვენს სახალხო მეურნეობას. ისინი დახარჯული უნდა იქნენ არა პირველსავე შემთხვევით საჭიროებისათვის უგეგმოთ, არამედ განაწილებული უნდა იქნენ განსაზღვრული გეზით, რომელიც წინასწარ შემუშავებული და სისწორით მოფიქრებული იქნება ჩვენი სახალხო მეურნეობის და მთელი სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით. ეს საშუალებები უნდა დაიხარჯოს შემდეგ საჭიროებებზე: პირველი—მძიმე ინდუსტრიაზე, მეორე—მიწად მოწყობაზე, შემდეგ იმ მოთხოვნილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია გადასახლების საქმესთან, კოოპერაციის საბრუნავ საშუალებების გადიდებაზე, სკოლების და საავადმყოფოების აღშენებლობაზე, საბინაო აღშენებლობაზე, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საშუალებების გადიდებაზე, გზების აღშენებლობაზე. აი ის წინადადებები 1924—25 წლის ბიუჯეტის შესახებ, რომელთაც თქვენ განსახილველად გიდგენთ საბიუჯეტო კომისია.

## 1925—26 წლის მტკიცე ბიუჯეტი

მაგრამ ჩვენ ჩვენს მოვალეობათ ვსცანით შევჩერებულიყავით მომავალი 1925—26 წლის ბიუჯეტის შედგენის ზოგიერთ დირექტივებზე. ეხლავე უნდა შეუდგეთ ამ ბიუჯეტის შემუშავებას. საბიუჯეტო კომისია ფიქრობს, რომ ჩვენ საორიენტაციო ბიუჯეტიდან უნდა გადავიდეთ მტკიცე ბიუჯეტზე, რომელიც შედგენილი და დამტკიცებული იქნება წინასწარ, საოპერაციო წლის დაწყებამდე ისე, რომ ყველა დაწესებულებებს და სახალხო კომისარიატებს შეეძლოთ ააგონ თავისი მუშაობა გეგმაზე. ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი საბიუჯეტო ერთეულები, საკავშირო რესპუბლიკები უნდა შეუდგენ ამ მუშაობას ძალიან ინტენსიურად, რათა ჩვენ საშუალება გვქონდეს ოქტომბრიდან მზად გვქონდეს 1925—26 წლის ბიუჯეტი.

ცხადია ცაკის სესიამ ერთგვარი დირექტივები უნდა მისცეს მთავრობას თვით ამ ბიუჯეტის შინაარსის შესახებ და აგრეთვე ფორმალური ხასიათის დირექტივებიც. ჩვენ მოვითხოვთ 24—25 წლის ბიუჯეტსაც არ დავარქვათ საორიენტაციო ბიუჯეტი და დავამტკიცოთ ის, როგორც კავშირის ერთად-ერთი სახელმწიფო ბიუჯეტი. მით უფრო, ეს უნდა შეეხებოდეს მომავალი წლის ბიუჯეტს. კავშირის ცაკმა გადაჭრით უნდა სთქვას, რომ ჩვენ უნდა გადავიდეთ მტკიცე ბიუჯეტზე, რომელიც შეფარდებული უნდა იქნეს სახელმწიფო და სამეურნეო მართვა-გამგეობის თვითეულ ცალკე დარგებთან და დამტკიცდეს საოპერაციო წლის დაწყებამდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავშირის ცაკმა დირექტივები უნდა მისცეს მთავ-

# კამათი სახელმწიფო ბიუჯეტის გარშემო

## ბელობოროდოვის სიტყვა

ამხანაგებო, ის დიდი მიღწევები, როგორიც გვაქვს ბიუჯეტის დარგში, არ ხდის ზედმეტად აქ იმ ზოგიერთ საკითხების დასმას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში ან გათვალისწინებულია არა საკმაოდ.

მე მინდა გამოვჰყო ორი საკითხი: პირველი—საკითხი დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის შესახებ და მეორე—კომუნალური და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური ბანკის კაპიტალის რაოდენობის შესახებ.

ამხ. ბრიუხანოვმა, როცა ის ლაპარაკობდა ჩვენი სახელმწიფო აპარატის და მისი ხარჯების შესახებ, მიუთითა ხარჯების შემდეგი შემცირების აუცილებლობაზე. ეს აზრი სწორი იქნებოდა, თუ ამხ. ბრიუხანოვი შენიშვნას გაუკეთებდა ამას და იტყოდა, რომ აქ ერთიმეორისაგან უნდა გავარჩიოთ სახელმწიფო აპარატის დაბალი და ზედა ნაწილი.

რაც შეეხება ზედა ნაწილს, შემდეგი შემცირება შესაძლებელია და საჭიროც არის. დაბალი საფეხურის აპარატის შესახებ კი ჯერ არ შეიძლება დაისვას მისი ან შემცირების ან გაიაფების საკითხი. აი რატომ არ შეიძლება ამ საკითხის დასმა. ჩემი აზრით, ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის მთელმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ იაფი საბჭოთა დაბალი საფეხურის აპარატი სრულებით არ არის საუკეთესო აპარატი. ჩვენ გვქონდა ისეთი დრო, როცა დაბალი საფეხურის აპარატის შენახვა თითქმის სრულებით არ იყო აღნიშნული ბიუჯეტში. ის იყო ჩვენთვის ძალიან იაფი, მაგრამ გლეხისათვის კი—ძალიან ძვირი. და ეხლაც კი, როცა მთავრობა თვითონ კისრულობს სათემო (ვოლოსტის) აპარატის შესანახი ზოგიერთი ხარჯების დაფარვას, დაბალი საფეხურის აპარატის—სასოფლო საბჭოების—დიდი მნიშვნელობა კვლავ არ არის საკმაოდ გათვალისწინებული. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენი ადმინისტრატიული ერთეულების განმტკიცება, განსაკუთრებით სასოფლო-საბჭოების მხრივ, სწარმოებდა წმინდა საბიუჯეტო მოსაზრებებით.

აქ უკვე აღნიშნული იყო ერთგვარი კავშირი დაბალი საფეხურის აპარატის ორგანიზაციულ სტრუქტურისა და იმ პოლიტიკურ შედეგებს შორის, რომელთაც იწვევს ეს სტრუქტურა. კავშირის ცენტრალურ რაიონში (რ. ს. ფ. ს. რ.) და განაპირა მხარეებში ახლო მომავალში დაისმება ჩვენი დაბალი საფეხურის ადმინისტრატიული ერთეულების ახალი გადამიჯვნის საკითხი. ჩვენ დაგვჭირდება სასოფლო საბჭოების შემცირება, რადგან ისინი ძალიან გამსხვილდენ. შეიძლება, მხოლოდ სამხრეთ რაიონში იყოს გამართლებული ეს გამსხვილება. ჩრდილოეთ და შუა რაიონებში ჩვენ გვაქვს, როგორც ადმინისტრატიული, ისე თვით გლეხობის ინტერესების თვალსაზრისით ყოვლად გამოუსადეგი სტრუქტურა დაბალი საფეხურის აპარატისა. სასოფლო საბჭოების რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს, ამით გადიდდება დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატი. ეს უნდა მოხდეს, უნდა გავადიდოთ ხარჯები მის შესანახად: ჩვენ ბევრი საჩივარი მოგვდის გლეხებისაგან იმის შესახებ, რომ ისინი ძალიან დიდი მანძილით არიან დაშორებული სასოფლო საბჭოებისაგან, ეს მანძილი აღწევს 5—8 ვერსს, ზოგჯერ 15—20 ვერსსაც. ასეთი დიდი მანძილი წარმოადგენს გლეხების უკმაყოფილების ერთ-ერთ საბაბს. ჩვენ ეს უნდა მოვსპოთ. თავისთავად ცხადია, რომ ეს გამოიწვევს სასოფლო საბჭოების რიცხვის გადიდებას და ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი ადგილობრივ ბიუჯეტების გაძლიერების შესახებ, სასოფლო საბჭოების ასეთი გადიდებული რიცხვის შესანახ ხარჯებთან დაკავშირებით. მე არ შევჩერდები იმ ანგარიშზე, რომელიც სწარმოებს ცაკთან არსებულ თათბირზე საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ. იქ, ეჭვს გარეშეა, აუცილებლად იქნა ცნობილი ხარჯების გადიდება დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის ამ ნაწილის შესანახად. უსათუოდ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ შეუდგებოდით სასოფლო საბჭოების მოწყობას და ამავე დროს არ უზრუნველვყოფდით მათ მუშაკებს სათანადო ხელფასით.

გადავდივარ მეორე საკითხზე, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე—ეს არის კომუნალური და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური ბანკის კაპიტალის საკითხი. მე არ შემიძლია არ მივუთითო იმაზე, რომ აუცილებელია დიდი საშუალებების გაღება ჩვენი ქალაქების აღდგენაზე, საბინაო აღმშენებლობაზე, ჩვენი კომუნალური დაწესებულებების გადაკეთებაზე, მოწყობაზე და გაფართოვებაზე. კომუნალური და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური ბანკის მოწყობის საკითხში გვაქვს არა თუ ორგანიზაციული ხასიათის ნაკლულოვანებანი (ამის შესახებ ილაპარაკა ამხ. რიკოვმაც, როცა მიუთითა იმაზე, რომ ამ ბანკის ოპერაციების დაწყება დაგვიანდაო), არამედ ამ საკითხს აქვს კიდევ მეორე მხარე.

ბანკის თანხად გაღებული ფული არ არის საკმარისი. ეს არა თუ საკმარისი არ არის, არამედ თვით თანხების გაცემის წესი ისეთია, რომ ეს ბანკი თითქმის ყოველგვარ საკრედიტო დახმარების გარეშე სტოვებს მომავალ საამშენებლო სეზონს. გადადებული 25 მილ. მანეთის გაცემა ხდება ასეთი წესით: 5 მილ. მანეთი გაცემული იქნება ეხლა, ბანკის გახსნისას, საბიუჯეტო წლის მესამე და მეოთხე კვარტალებში გაცემული იქნება ათ-ათი მილიონი მანეთი, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ბანკის კაპიტალის მეტი ნაწილი გამოუყენებელი იქნება უკვე საამშენებლო სეზონის დამთავრების. შემდეგ, ან მისი დამთავრების დროს. თავისთავად გასაგებია, რომ ბანკს არ შეუძლია ფულის გაღება საამშენებლო მასალების დასამზადებელ კამპანიისათვის, არ შეუძლია აგრეთვე გასცეს ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი სესხი.

დირექტივებში, რომელთაც მოითხოვს საბიუჯეტო კომისია, შეტანილი უნდა იქნეს მუხლი, რომელიც მიუთითებს მთავრობას იმაზე, რომ მას აუცილებლად სახეში ჰქონდეს დამატებითი ხარჯები დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატზე. აუცილებელია აგრეთვე აღინიშნოს, რომ ფულის გადადება კომუნალური და საბინაო აღმშენებლობის ცენტრალური ბანკისათვის უნდა იდგეს არა მეექვსე, არამედ მეორე ადგილზე, რადგან საბინაო აღმშენებლობის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია მრეწველობის განვითარების საკითხთან. ჩვენ უკვე ეხლაც განვიცდით ბინების უქონლობას ზოგიერთ სამრეწველო დაწესებულებებში, ამას გარდა გაცემული უნდა იქნენ დირექტივები იმ მხრივ, რომ მომავალი საამშენებლო სეზონში ცენტრალური ბანკი შევიდეს საკმაო კაპიტალით. ეს საშუალება მისცემს მას ეხლავე შეუდგეს მუშაობას და ერთგვარი გავლენა მოახდინოს საბინაო აღმშენებლობის განვითარებაზე ქალაქებში და მუშათა მოსახლეობაში.

## ჰუსეინოვის სიტყვა

ამხანაგებო, მე მინდა შევჩერდე ერთ საკითხზე, რომელზედაც ნაწილობრივ შეჩერდენ აქ გამოსული ორატორები. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიიღო ამიერ-კავკასიამ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით. ბრიუხანოვის ციფრებიდან გამოდიოდა, რომ ამიერ-კავკასია ერთ სულ მცხოვრებზე მეტს ღებულობს, ვიდრე სხვა რესპუბლიკები.

ეს რას ნიშნავს? ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას მართლაც აქვს შესაძლებლობა იცხოვროს ბევრად უფრო მდიდრათ, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს? რა თქმა უნდა, არა. მართლაც, რით აიხსნება, რომ წელს ჩვენში ერთ სულ მცხოვრებზე მეტი მოდის, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში?

აქ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ორი გარემოება, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. პირველ ყოვლისა ის, რაზედაც მიუთითებდა ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ორახელაშვილი, სახელდობრ: რომ წარსულ წელშიც, როდესაც ჩვენ ვცხოვრობდით საემისიო შემოსავლით, რომელიც წელს უკვე აღარ არის, ჩვენ ერთ სულ მცხოვრებზე მეტი გვქონდა, ვიდრე წელს. თუ შევადარებთ ჩვენი წარსული წლის ბიუჯეტს ამ წლის ბიუჯეტს (მე არ შევჩერდები ციფრებზე, რომ თქვენი ყურადღება არ დავღალო), პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ წელს ჩვენ გვაქვს ბიუჯეტი, მართალია დიდით არა, მაგრამ 1 პროცენტით უფრო ნაკლები, ვიდრე წარსულ წელს იმ დროს, როდესაც ყველა მოკავშირე რესპუბლიკებს, ერთად აღებულთ, აქვთ მომატება დაახლოვებით 20 პროც. აი ერთი გარემოება, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ.

შემდეგ მეორე საკითხი. მხედველობაში უნდა მიიღოთ ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის მცირე ტერიტორიაზე, სადაც სულ 5,600,000 სული სცხოვრობს, არის 9 სახელმწიფო ერთეული. ჩვენი აპარატი იმდენად დიდია, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ამ პატარა მასშტაბში ნამდვილად დავკმაყოფილდეთ იმ ციფრებით, რომელთაც შეიძლება დაკმაყოფილდენ სხვა რესპუბლიკები. მაგალითად, მაშინ, როდესაც უკრაინაში იმყოფება 27 მილიონი ადამიანი არის ერთი განათლების სახალხო კომისარიატი, ერთი სახალხო კომისართა საბჭო, ერთი ცაკი, ერთი შინსახკომი, ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე კი, სადაც მოსახლეობა უდრის 5-ნახ., მილიონს, ჩვენ საქმე გვაქვს 9 განათლ. სახკომთან, 9 ჯანსახკომთან და სხვ., ამდენივე სახელმ. საბჭოსთან და ცაკთან.

აი სწორედ ამაზე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

თუ შევხედავთ, რამდენი მოდის ყოველ საშტატო ერთეულზე ჩვენში და სხვა რესპუბლიკებში, მაშინ სულ სხვაგვარ ციფრებს მივიღებთ.

ავიღოთ, მაგალითად, შრომის ხელფასი თვითეულ საშტატო ერთეულზე თვეში სახ. განათლ. კომისარიატის დარგში: რ.ს.ფ.ს.რ.-ში მოდის 41 მ. და 24 კ., უკრაინაში—45 მ. და 23 კ., ბელორუსიაში—37 მ. და 80., ამიერ-კავკასიაში—36 მ. და 02 კ.

თუ ავიღებთ ჯანსახკომს, აქაც ამგვარივე სურათს დავინახავთ: რ. ს. ფ. ს. რ-ში—32 მ. 10 კ., უკრაინაში 40 მ. 99 კ., ბელორუსიაში—30 მ. 30 კ. ამიერ-კავკასიაში—29 მ. 8 კ.

ასეთივე მდგომარეობაა შინსახკომში: ჩვენში 25 მ. 50 კაპ., უკრაინაში—36 მან. რ. ს. ფ. რ.-ში 35 მ.

თუ ჩვენ ავიღებთ ერთ შტატიან ერთეულს მცხოვრებთა რიცხვზე, მაშინაც ისე გამოდის, რომ ამიერ-კავკასიაში შტატიანი ერთეული მოდის 198 მცხოვრებზე, მაშინ, როდესაც, მაგალითად უკრაინაში ასეთივე ერთეული მოდის 737 მცხოვრებზე.

ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენ აპარატს ჩვენს პირობებში უჭირავს ბევრად უფრო მეტი ადგილი, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში.

მე დრო არა მაქვს შევჩერდე დაწვრილებით სხვა საბუთებზე. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ საკითხს, რომელსაც ამიერ-კავკასიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რის შესახებაც ლაპარაკობდა ამხ. ორახელაშვილი. ეს არის საკითხი აქციზის შემოღების შესახებ თხელ ღვინოებზე. საქმე იმაშია, რომ მეღვინეობის შემოსავალს ამიერ-კავკასიელ გლეხის ბიუჯეტში მეტად დიდი ადგილი უკავია. საერთოდ მეღვინეობა შეადგენს ჩვენი გლეხის შემოსავლის 20 პროც.-ს. იმ დროს, როდესაც ომამდის გლეხი საერთოდ მეღვინეობიდან არ იხდიდა არავითარ აქციზს, ამ ჟამად აქციზი საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აქციზი ამიერ-კავკასიაში უფრო მცირეა, ვიდრე კავკასიის სხვა ნაწილებში და აგრეთვე იმას, რომ ჩვენი ღვინოები გააქვთ კავშირის სხვა ნაწილებში, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა ემართება ჩვენ სასოფლო-მეურნეობას ამჟამად იმიტომ, რომ ჩვენ გლეხს არ შეუძლია შეიტანოს ის ნაწარმოები, რომელიც მისი მეურნეობის 1 | 5 შეადგენს.

მე არა მაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე. მე მხოლოდ მინდა ვსთხოვო ცაკს მიიღოს მხედველობაში, რომ აუცილებელია თხელ ღვინოებზე აქციზის შემცირება, სულ უკანასკნელი იმ ზომამდის, როგორიც არის ამიერ-კავკასიაში, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მეურნეობის განვითარება და ამასთანავე გადიდდეს ხაზინის სათანადო შემოსავალი.

## ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა

ამხანაგებო, მე მინდა შევეხო ჩვენი მრეწველობის მდგომარეობის გამოხატულების ზოგ მომენტებს ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტში. ჩვენ ვიცით, რომ მრეწველობაში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული წარმატება, ჩვენი მთავრობის მიერ გაძლიერებულ ღონისძიებათა მიღების გამო, მაგალითად ლითონის მრეწველობაში, დონბასის მრეწველობაში და სხვ. ჩვენ დამშვიდებული მდგომარეობა გვაქვს, როდესაც აღარ არის ის სიძნელენი, რომელიც იყო უკანასკნელ მომენტამდი.

მაგრამ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგის მდგომარეობა არ არის სავსებით ბიუჯეტში გამოხატული. აგრეთვე არ არის გამოხატული ჩვენი ბიუჯეტის მიმართულება,—როგორ წავალთ წინ ჩვენი მრეწველობის აღორძინებისა და გაუმჯობესების საქმეში. ჩვენს გაზეთებში ამ უკანასკნელ ხანში კამათი იყო საფეიქრო მრეწველობის შესახებ; ჩვენ გვაქვს კატეგორიული განცხადება საფეიქრო სინდიკატისა იმაში, რომ მას შეუძლია სესხათ გასცეს საქონელი მხოლოდ 12 დღით.

საინფორმ. ცოდ-განყოფილების კომპლექტი

იმ გარემოებაში, როდესაც ჩვენ სავაჭრო ორგანოებს არა აქვთ ნაღდი კაპიტალი, იმ მდგომარეობაში რომელსაც განიცდის ჩვენი კოოპერაცია, რომელსაც აგრეთვე არა აქვს საშუალებანი,—ასეთ მდგომარეობაში ჩვენ საშიშროებს მოგველის, რომ საქსოვი მრეწველობის პროდუქცია საწყობებშივე დარჩება. ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავიტანოთ ბაზარზე საქსოვი მრეწველობის საქონელი და მივაწოდოთ მომხმარებელ გლეხს. 21 დღის განმავლობაშიაც ჩვენს ტერიტორიაზე ყოველთვის არ შეიძლება საქსოვი პროდუქციის მიწოდება მომხმარებლისთვის. ჩვენს ბიუჯეტში უნდა აღინიშნოს, რომ საქსოვი მრეწველობისათვის საჭიროა განსაზღვრული დახმარება.

მეორედ ტყის მრეწველობა. რუსეთის სოც. საბ. ფედ. რესპუბლიკის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში აღძრულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ სატყეო მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა 5 მილიონი ხსნის გაღება. მე გამოვიანგარიშე და ვფიქრობ, რომ აქ შედის ცენტრალური სატყეო მრეწველობა, ხოლო ადგილობრივი არ არის მხედველობაში მიღებული. სატყეო მრეწველობაში ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მომენტები. უპირველეს ყოვლისა—გამოყენება იმ სიმდიდრისა, რომელიც ჯერ-ჯერობით გამოყენებული არ არის და ხელუხლებელია. მეორედ,—ჩვენი ბიუჯეტის შევსება იმ გადასახადებით, რომლის მიღება ჩვენ შეგვიძლია ამ სიმდიდრიდან. მესამედ, ჩვენი საამშენებლო საქმისათვის მომარაგება იმ საამშენებლო მასალისა, რომელიც მისთვის საჭიროა. და, ბოლოს, სატყეო მრეწველობის განვითარება სამუშაოს მისცემს უმუშევარ გლეხთა იმ უდიდეს არმიას, რომელიც ჩვენ გვყავს ადგილებზე.

მე ხშირად ვარ სოფელში და ვიცი, რომ იქ ნაკლებ აწუხებთ ჩვენი გადასახადები, რომლებზედაც აქ ბევრს ლაპარაკობენ, და უფრო აწუხებთ ის, რომ არის თავისუფალი მუშა ხელი და არაფერია გასაკეთებელი. მე მგონია, რომ აქ არის გლეხებთან დაკავშირების უმთავრესი საფუძველი. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შევამციროთ გადასახადი. ჩვენ მუშაობაში უნდა ჩავაბათ უმუშევრები და საქმე უნდა მიუჩინოთ მათ. მე მგონია, რომ საჭიროა ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ამ საკითხსაც მიუდგეს განსაზღვრულად კონკრეტიულად ე. ი. განავითაროს ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენ ადგილებზე გვაქვს. ავიღოთ მაგალითად ნიჟეგოროდის გუბერნია. ჩვენ მხოლოდ 30 პროც. ვსარგებლობთ საჩეხი ტყით, რომელიც ჩვენ იქ გვაქვს.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. ეს არის ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობების თანახმად, შეადგენს 30 პროცენტს ჩვენი კავშირის საერთო პროდუქციასთან შედარებით. ადგილობრივმა მრეწველობამ დაამტკიცა, რომ ის ცენტრის დაუხმარებლად დადგა მკვიდრ ნიადაგზე. ეს კიდევ ცოტა,—ადგილობრივი მრეწველობა სავსებით უძლებს ფასების დაკლებას. ადგილობრივმა მრეწველობამ, როგორც ასეთმა, რომელიც არის ადგილობრივი საგლეხო ბაზრის მომარაგების უახლოესი ორგანო, შესძლო გამოენახა საშუალება თავის ბრუნვის ორჯერ უფრო ჩქარა საწარმოებლად, ვინემ ამას შვრება ცენტრალური მრეწველობა. და ეხლა ადგილობრივ მრეწველობის მოგებიდან იმავე ფინ. სახ. კომის წინადადებით, 50 პროცენტი უნდა მიეცეს ადგილობრივ ბიუჯეტს, რასაც ჩვენ, ადგილობრივ მეურნეობის მუშაკები სავსებით მხარს ვუჭერთ, თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ მრეწველობა მრეწველობისათვის არა გვაქვს, მაგრამ უნდა უჩვენოთ გლეხობას, რომ ჩვენ არა მარტო ვართმევთ მას, არამედ ვაძლევთ კიდეც თავისი მრეწველობიდან.

ჩვენ ძლიერ მოხარულნი ვიქნებით, თუ ყველაფერი იქნება ისე, როგორც აღნიშნავდა ამხ. ბრიუხანოვი,—რომ არ მოხდება 8 პროც. სესხის ძალდატანებითი გატარება, აქამდის იყო ერთნაირი ძალდატანება, გვიხდებოდა საკმაო თანხის გაღება პროცენტიან ქაღალდებისათვის, ასე რომ ნაღდათ სამეურნეო მუშაკის ხელში ერთი მანეთიდან რჩებოდა 8 კაპ. მოგება. ასეთ მდგომარეობაში, ჩვენი ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც წარმოადგენს ფუძეს მუშათა და გლეხთა კავშირის განვითარებისა და გამაგრებისათვის, შემდეგში ველარ განვითარდება. მე მგონია, რომ ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა ამ პროლეტარულ ბაზის განვითარების სფეროში, როგორც წვრილ რესპუბლიკებში, ისე ადგილებზე გუბერნიებში, იქ გამეფებულ უმუშევრობის მოსასპობად, ადგილობრივი ბაზრის მომარაგების მიზნით. ჩვენ ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, რომ მხოლოდ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისა და გაფართოების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გაუძლოთ ფასების იმ დაკლებას, რომელსაც ეხლა ადგილი აქვს. მე მგონია, რომ რეზოლიუციაში შეტანილ უნდა იქნენ დამატებითი მუხლი კრედიტების გადიდების შესახებ, პირველ ყოვლისა ვაჭრობისთვის საქსოვი მრეწველობის სფეროში, შემდეგ ჩვენი სატყეო მრეწველობის განსავითარებლათ და საერთოდ ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლათ, რომელიც შეადგენს ძირითად ბაზარს ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანების გასატარებლათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩვენ შევსძლებთ არა მარტო მივიღოთ ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ კიდეც მივსცეთ სახელმწიფო ბიუჯეტს ცოტა რამ. ამის დამამტკიცებელი ფაქტები კი ჩვენ გვაქვს.

## რეინგოლდის სიტყვა

ამხანაგებო, ვინაიდან ბიუჯეტი სასრულად იყო ცნობილი ყველას ზერ, მე მინდოდა სესიის ყურადღება მიმექცია იმ საშიშროებაზე, რომ შესაძლებელია ამ ფაქტიდან ზოგიერთი გადაჭარბებული დასკვნები იქნას გამოყვანილი.

მართლაც ყოველთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს, როდესაც საყოველთაო გაჭირვებას ხანიდან გამოვდივართ ისეთ ხანაში, როცა მთავარი საჭიროებანი ასე თუ ისე დაკმაყოფილებულია. ამ დროს ძალიან ხშირად წარმოიშობა ილიუზიები იმის გამო, რომ ჩვენ შეგვიძლია ბევრ რამეზე ვიფიქროთ. აქ საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ჩვენი ბიუჯეტს აღარ შეიძლება უწოდოთ საორიენტაციო, არამედ მას უნდა უწოდოთ სახელმწიფო მტკიცე ბიუჯეტი. ამით მას უნდოდა ხაზი გაესვა, რომ მასში არ უნდა იყოს შეტანილი ბევრი შესწორებები.

მეორეს მხრივ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ არსებულ ნიშნების მიხედვით უნდა მოველოდეთ წლის მეორე ნახევარში ბიუჯეტის შემდეგ გაფართოებასო. არის თუ არა აქ რაიმე წინააღმდეგობა? მე მგონია, რომ აქ წინაამდეგობა არ არის, და რომ ამხ. რიკოვი სავსებით მართალი იყო, როდესაც ლაპარაკობდა წლის მეორე ნახევარში ბიუჯეტის შემდეგ გაფართოების შესაძლებლობაზე. ეხლა ძნელია თქმა იმისა, რა ფარგლებში შეიძლება მოხდეს ეს გადიდება. ზოგიერთი წინასწარი ცნობები, რომელიც ჩვენ ფინანსთა სახ. კომისარიატში მოგვეპოვება, წლის 1-ლ მეოთხედის გამოცდილების მიხედვით საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, რომ წლის მეორე ნახევარში ჩვენ შეგვეძლება წარმოვიდგინოთ ბიუჯეტი, რომელიც ათეული მილიონ მანეთ. იქნება გადიდებული ეხლანდელთან შედარებით. ეს ათეული მილიონი მანეთი დღეს არ შეიძლება გახდეს სესიის ყურადღების საგნად, რადგან შეუძლებელია მისი დეტალურად დამუშავება და სისწორით აღნუსხვა.

ამგვარად პერსპექტივები თითქოს სასურველია და საშუალებას გვაძლევს რამდენიმეთ დამშვიდებული და კმაყოფილი ვიყოთ... მაგრამ არა ამისათვის, არამედ შემდეგ წლის ბიუჯეტისათვის, ჩვენი საბიუჯეტო პოლიტიკის გასათვალისწინებლად, მე მინდოდა თქვენი ყურადღება შემეჩერებია ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტზე.

ჩვენ ვკრებავთ მილიარდ მანეთს გადასახადებით, ამ მილიარდიდან 600 მილიონი მანეთი ხვდება ქალაქს დაახლოვებით 400 მილიონი—სოფელს. მე ვფიქრობ, რომ 600 მილიონი მანეთი, რომელიც ამჟამად ქალაქს ხვდება წარმოადგენს საკმაოდ მძიმე ტვირთს. ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც თქვენ, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დაუყენოთ საკავშირო მთავრობას, საბიუჯეტო პოლიტიკაში დირექტივების მიცემის დროს, უნდა იყოს შემდეგი: ჩვენი გასავალი, ყოველგვარი განზრახული ხარჯები, ყოველგვარ აღმშენებლობის გეგმა, ყოველგვარი დიდი პროექტები იმ ახალ მშენებლობის შესახებ, რომელზედაც აქ ჩემზე წინ გამოსული ორატორები ლაპარაკობდენ. ვოლგადონის არხი, „დნეპროსტროის“ და სხვა, ყველა ეს გეგმები უნდა შეუთანხმოთ დაბეგვრის სიმძიმეს. დაბეგვრის სიმძიმე, უეჭველია, ამჟამად არსებობს და ხელს უშლის საქონლის ტრიალის შემდეგ განვითარებას. მომავალ საბიუჯეტო წელს ეს სიმძიმე შემსუბუქებული უნდა იქნეს. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ უკვე დღეს ჩვენი კავშირის ბევრ ადგილებში (ცაკის სესიის ბევრი წევრები აქ, ამიერ-კავკასიაში, ადგილობრივ ცხოვრების დაკვირვებით, დარწმუნდებოდენ ამაში) ეს 600 მილიონი არის მძიმე ბეგარა, რომელიც ამჟამად აწვება ქალაქს უნდა ვიაროთ ერთგვარ შემსუბუქების გზით, და მართალი იყო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, როდესაც ის ლაპარაკობდა, რომ ერთგვარი გამოსავალი ჩვენ შეგვიძლია გამოვნახოთ არასაგადასახადო შემოსავლის შემდეგი განვითარებითო.

ძალიან საშიში ილიუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ გზით ჩვენ შეგვიძლია გადავსწყვიტოთ ჩვენი საბიუჯეტო პრობლემები. მრეწველობის, სახელმწიფო ვაჭრობის, ბანკების, ტყის შემოსავალი (რომელზედაც უკრაინის წარმომადგენელი ლაპარაკობდა, რომ საჭიროა შემცირება, რადგან იგი ბიუჯეტში ზედმეტათაა ნაანგარიშევი), ყველა წყაროები ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტის გაფართოებას.

მრეწველობის წინაშე დასმულია მთელი რიგი უდიდეს ამოცანათა. თქვენ იცით, რომ ძერჟინსკი და მთელი რიგი სხვა ამხანაგებისა აყენებენ პრობლემას ძირითად თანხის აღდგენის, სახელმწიფო ხაზინაში მრეწველობის მოგების გადარიცხვის გაძლიერების და სხ. შესახებ. როგორ უნდა შევათანხმოთ ჩვენი მრეწველობის შემდეგი განვითარება და ხაზინაში მოგების გადარიცხვის შემცირება ჩვენ ცდასთან გავადიდოთ არა საგადასახადო შემოსავალ სახელმწიფო ბიუჯეტში? აქ მოსალოდნელია ბრძოლა, ბრძოლა მძიმე და დაჟინებითი. დავიცავთ ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებს, როგორც მთელი მეურნეობის ინტერესებს მთლიანად, თუ ჩვენ იძულებული ვიქნებით შევანელოთ არა-საგადასახადო შემოსავლის ზრდის ტემპი მრეწველობის გაფართოების გამო, ამჟამად ამის თქმა ძნელია. აი ამიტომ არ უნდა დაუშვათ ილიუზიები ამ დარგში. საკავშირო რესპუბლიკებთან ზოგიერთ ამხანაგების გამოსვლებმა—მე სახეში მყავს პირველ ყოვლისა ამხ. ნოდელი—დაგვანახვეს რომ ისინი ზედმეტად აფასებენ მდგომარეობას. ის ამბობს: „მოდით, გაუთანასწორდეთ ყველაზე მდიდარ რესპუბლიკებსო“! თურმე, სხვათა შორის, ყველაზე მდიდარ რესპუბლიკას წარმოადგენს ჩვენი სტუმართ მოყვარე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა. როდესაც ჩვენ აქ მოვდიოდით ჩვენ წარმოდგენილი არ გვქონდა, რომ ამიერ-კავკასიაში დაფარულია ასეთი უამრავი სიმდიდრეები, ჩვენ ეს აღმოვაჩინეთ მხოლოდ ეხლა ამხ. ნოდელის გამოსვლის შემდეგ.

ჩვენ განვიხილეთ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი, და მე გულახდილათ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არავითარი ზედმეტი თანხები არ მიგვიცია ამიერკავკასიის ფედერაციისათვის არც საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატში და არც სახალხო კომისართა საბჭოში. არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ ხარჯების იმ დონეს, რომელიც ჩვენ დაგვხვდა ამიერ-კავკასიაში მისი გასაბჭოების დროს. არ შეიძლება ყველა რესპუბლიკებთან ერთნაირი საზომით მისვლა, როგორც აქ ამბობდა ერთი ამხანაგი, არ შეიძლება იმ ხარჯების და თანხების, რომლებიც რესპუბლიკებს ეძლევა, მოსახლეობის რაოდენობაზე გაყოფა. ეს საზომათ არ გამოდგება, იმიტომ, რომ თუ თანხებს გავყოფთ კვადრატიულ ვერსებზე, მაშინ რ. ს. ფ. ს. რ. ყველაზე უფრო ხელსაყრელ პ რობებში აღმოჩნდება, და თუ ჩვენ ამ თანხებს გავანაწილებთ სხვა ნიშნების მიხედვით- მაშინ მეტს მიიღებენ სხვა რესპუბლიკები. მოსახლეობის რაოდენობა —ეს არ არის საიმედო ნიშანი, რომ მასზე ავაშენოთ სახელმწიფო ბიუჯეტი. აი ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ ცალკე რესპუბლიკების თავისებურებას, არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ პოლიტიკურ, ყოფაცხოვრების და ნაციონალურ თავისებურებას, რომლებიც ახასიათებენ ცალკე რესპუბლიკებს და რომლებიც საშუალებას არ გვაძლევენ ერთნაირი საზომით მიუდგეთ ყველა რესპუბლიკებს და გავათანასწოროთ მათი ბიუჯეტი. ეს მეტად უხეში ნიშანი იქნებოდა. ჩვენ მას დიდი ხანია დავშორდით და მე მგონია საჭირო არ არის ხელახლა დავუბრუნდეთ მას.

მეორე საკითხი, რომელიც აქ წამოაყენეს ამხანაგებმა, და კერძოთ ამხ. პოლოზმა, ეს არის საკითხი ვექსილების განაღდების შესახებ. მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ის არ მოითხოვს მატერიალურ საშუალებებს, არამედ მოითხოვს მხოლოდ უფლებას, როგორც მან სთქვა: „უფლებას ბოჭკაზე!“. მაგრამ აქ უნდა დაისვას კითხვა: რა უნდა იყოს ამ ბოჭკის შიგნით? თუ ამ ბოჭკაში უნდა იყოს კუპრი, მაშინ ასეთი უფლების მიღება ადვილია, და თუ ლაპარაკია იმაზე, რომ მოპოვებული იქნეს უფლება თაფლიან ბოჭკაზე, მაშინ, ამხ. პოლოზის რეცეპტით, საჭიროა ერთი კოვზი კუპრის ჩასხმა თაფლიან ბოჭკაში (სიცილი). მართლაც და, თუ ჩვენ დავაყენებთ კითხვას, რა იმალება კონკრეტიულათ იმ მოთხოვნილებების უკან, რომლებსაც აყენებს ამხ. პოლოზი,—დავინახავთ, რომ აქ ლაპარაკია რესპუბლიკანური ბიუჯეტის გადიდებაზე.

ამხ. ბრიუხანოვი დღეს ამბობდა, რომ რესპუბლიკანური ბიუჯეტები უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე საერთო საკავშირო ბიუჯეტი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ყველა მოკავშირე რესპუბლიკების საჭიროებებს და სწორეთ ისეთ საჭიროებებს, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

აქ აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მეტი თანხების მიცემა წითელი არმიისათვის. ამ საკითხის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. პოდვოისკი, მას ტაში დაუკრეს და თანაგრძნობა გამოუცხადეს. ჩვენში სამხედრო ბიუჯეტი უდრის 400 მეტ მილიონ მანეთს, ამ ბიუჯეტის მოთხოვნილებები კი დიდია. წითელი არმიის დაკმაყოფილება ისე, როგორც ეს საჭიროა, ჩვენ არ შეგვიძლია. ამისათვის საჭიროა გვქონდეს არა საბჭოთა ბიუჯეტი, არამედ ამერიკის ბიუჯეტი, ე. ი. დაახლოვებით ექვსჯერ უფრო მეტი, ვიდრე გვაქვს.

ეხლა ჩვენი წითელი არმიის მოთხოვნილებები საკმაოდ ვერ არის დაკმაყოფილებული. და იმ დროს, როდესაც ჩვენ საკმაოდ ვერ ვაკმაყოფილებთ წითელი არმიის საჭიროებებს, როდესაც ჩვენ იძულებული ვართ შევუმციროთ კრედიტები მრეწველობას (ამაზე ლაპარაკობდა ამხანაგი კუიბიშევი), როდესაც ჩვენ ვაყენებთ კითხვას იმის შესახებ, რომ არ დავიწყოთ დიდი საქმეები, არამედ დავამთავროთ ის სამუშაოები, რომლებშიაც ჩვენ ჩაბმული ვართ და რომლებსაც შევუდექით სამი წლის წინათ,—ასეთ პირობებში ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაფართოვოთ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი, ჩემის აზრით, რამოდენიმეთ ნაადრევია. მე არ უარვყოფ იმას, რომ ჩვენი საერთო საბიუჯეტო პოლიტიკა მიმართული იქნება იქითკენ, რომ გავადიდოთ მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილი, რომ შემოსავლის მთელი რიგი ახალი წყაროები 1925—26 წლიდან შეიძლება უკვე გადაცემული იქნეს რესპუბლიკანურ ბიუჯეტებს. მაგრამ აქ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე, საჭიროა მხედველობაში მიღებული იქნეს ის გარემოება, რომ მომავალში ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი უფრო ნელა გაიზრდება, ვიდრე აქამდი იყო, და თუ ჩვენ გვინდა გავატაროთ გადასახადების სიმძიმის შემსუბუქების ის პოლიტიკა, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი,—მაშინ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენი ბიუჯეტის ზრდის შენელებულ ტემპს. ეს ჩვენ გვავალებს რამოდენიმეთ შევამციროთ ჩვენი სრულიად კანონიერი მადა და ის დავუკავშიროთ იმ რეალურ შესაძლებლობას, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იქნება უახლოესი წლების განმავლობაში.

# სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

## ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ბრიუხანოვი ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობას როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე ჩვენი მთავრობის პოლიტიკაში გლეხობის მიმართ, ის ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ეხება 22 მილიონ კომლ გლეხობის ინტერესებს; გადამხდელთა ასეთი დიდი რაოდენობის გამო, გადასახადის აკრეფის სათანადოთ მოგვარება მეტად რთული საქმეა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ყოველგვარ სისტემას ყოველთვის მრავალი ნაკლი ექნება, რომლებიც თანდათან უნდა გამოსწორდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი მეურნეობის განვითარების და განმტკიცების პროცესში.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაკლოვანებანი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არსებული სისტემის პირველი და ძირითადი ნაკლი—ამბობს ამხ. ბრიუხანოვი—მდგომარეობს იმაში, რომ ეს გადასახადი მეტათ მძიმეა. და პირველი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ ამ მიმართულებით, ეს არის ამ გადასახადის შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შარშანდელი ცხრილი შედგენილი იყო იმ ანგარიშით, რომ ჩვენ უნდა მიგვეღო 470 მილიონი მანეთი. მაგრამ ფაქტიურათ შეგროვებულია 330—335 მილ. მანეთი. აი რა დიდი განსხვავებაა იმ ციფრს შორის, რომელიც გლეხობას წავუყენეთ და რომელიც ფაქტიურათ შევიდა სახელმწიფოს ხაზინაში.

ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ თვით დეკრეტი მრავალ შეღავათს ანიჭებდა ყველაზე უფრო ღარიბ და უსაღსრო გლეხურ მეურნეობებს. ჩვენ მოგვატყუვა კიდევ მოსავალმა. ის საშუალო კი არ აღმოჩნდა, როგორც ჩვენ ვფიქრობდით, არამედ საშუალოზე ნაკლები.

შეიძლება თუ არა მიმდინარე წელში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს შეღავათების ამ სისტემაში? სახალხო-კომისართა საბჭო ფიქრობს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა ამ სფეროში ძნელი იქნება.

მაგრამ, ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მომქმედ სისტემას კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი მომენტი ახასიათებდა. ამ სისტემის მიხედვით ის ციფრი, რომელიც გლეხებისაგან უნდა მიგვეღო, ჩვენ განვსაზღვრეთ მხოლოდ შემოდგომაზე და ის დაუკავშირეთ მიმდინარე წლის მოსავალს. იმ რაიონებში, სადაც მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო, ჩვენ უფრო დიდი ციფრი წამოვაყენეთ, ვიდრე ეს ნაანგარიშევი იყო უკანასკნელი მოსავლის დროს, იმ რაიონებში კი, სადაც მოსავალი საშუალოზე ნაკლები აღმოჩნდა, ჩვენ ეს ციფრი შევამცირეთ. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ჩვენ უფარდებდით მოსავლიან რაიონებს და მათ ხარჯზე ვამცირებდით გადასახადის ნორმებს იმ რაიონებში, სადაც მოსავალი ნაკლები იყო.

ამ საკითხის განხილვის დროს სახალხო კომისართა საბჭოში შეტანილი იყო წინადადება იმის შესახებ, რომ ჩვენ უარი გვეთქვა დაბეგვრის იმ სისტემაზე, რომელიც დაბეგვრის ხარისხებს უკავშირებს მიმდინარე წლის მოსავალს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ რაიონებში, სადაც მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება, პროდუქციის ზედმეტი რაოდენობა დარჩება გლეხობის განკარგულებაში და მათზე არ გავრცელდება იმ გადასახადის განსხვავება, რომელიც მიღებული უნდა ყოფილიყო იმ რაიონებში, სადაც მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. გადასახადის განსხვავება მოუსავლიანობით დაზარალებულ რაიონებში უნდა ჩაითვალოს ძველი გადასახადის დარჩენილ ნაწილათ (недоимка), რომელიც შეიძლება შეტანილი იქნეს ხაზინაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ წლებში მოსავალი კარგი იქნება.

შემდეგ ბრიუხანოვი აცხადებს, რომ საჭიროა ეხლავე უარი ვსთქვათ იმ სისტემაზე, რომელიც მოითხოვს გადასახადის ნორმების გამოცხადებას შემოდგომაზე და ამ ნორმების მიმდინარე წლის მოსავალთან დაკავშირებას, და გადავიდეთ ახალ სისტემაზე, რომლის თანახმად გადასახადის ნორმები უნდა გამოცხადდეს გაზაფხულზე და ისინი დამყარებული უნდა იქნეს ამა თუ იმ რაიონის საშუალო შემოსავლიანობაზე.

ის ამბობს, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის და, კერძოთ, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის განვითარების ისეთ საფეხურს, როდესაც ჩვენ შეგვიძლია აღარ მოვითხოვოთ ისე, როგორც აქამდი მოვითხოვდით გლეხობისაგან—შემოიტანე დღესვე, როდესაც ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ გადასახადის აკრეფა იმ შემთხვევაში, თუ მოსავალი ცუდი იქნება და მის აკრეფას შევუდგეთ უფრო ხელსაყრელ პირობებში.

გლეხთა მეურნეობის დაბეგვრის ეს ახალი სისტემა, უეჭველათ, გამოიწვევს დამატებით განსხვავებას იმ ციფრთან შედარებით, რომელიც ჩვენ წავუყენეთ გლეხობას, რადგან ჩვენი კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, რასაკვირველია, რომელიმე რაიონში ადგილი ექნება მოუსავლიანობას.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრი მომავალი წლისათვის

სახალხო კომისართა საბჭო სავსებით გრძნობდა აუცილებლობას დახმარება გაეწია გლეხობისათვის გადასახადების სიმძიმის შემსუბუქების გზით და ამ საკითხის დაწვრილებით განხილვის შემდეგ მან საჭიროთ სცნო ახალი ცხრილის შედგენა მომავალი წლის გადასახადისათვის; ამასთანავე ეს ცხრილი გამოცხადებული უნდა იქნეს გაზაფხულზე და გადასახადი უნდა განისაზღვროს 300 მილიონ მანეთით. ამრიგათ, მომავალი წლის გადასახადი ეხლანდელთან შედარებით შემცირებულია 40 პროც.

ეს მეტათ მნიშვნელოვანი შემცირებაა. და მე დარწმუნებული ვარ, რომ გლეხობის ფართო მასები ღირსეულად შეაფასებენ გადასახადის ასეთ შემცირებას.

### რაზე უნდა იქნეს დამყარებული სასოფლო-სამეურნეო დაბეგვრის სისტემა

ეხლა გადავიდეთ მეორე საკითხზე. ეს საკითხი შეეხება იმას, თუ რა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რაზე უნდა იქნეს დამყარებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა. ყველაზე უფრო სწორი ამ შემთხვევაში იქნებოდა თვითეული ცალკე კომლის შემოსავლიანობის აღრიცხვა, მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი აღრიცხვის მოხდენა ამ ჟამათ შეუძლებელია. სახალხო კომისართა საბჭომ და თქვენ მიერ არჩეულმა სექციამ, რომლებმაც განიხილეს ეს საკითხი, ის აზრი გამოსთქვეს, რომ მიმდინარე წელში საჭირო არ არის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მომქმედი კანონის სერიოზულათ შეცვლა; მიმდინარე წელში თავი უნდა შევიკავოთ ცალკე კომლების შემოსავლიანობის აღრიცხვისაგან და საჭიროა ჯერჯერობით შენარჩუნებული იქნეს აღრიცხვა გლეხთა მეურნეობის გარეგნული ნიშნებისა, რომლებსაც ემყარებოდა მიმდინარე წლის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. საჭიროა შენარჩუნებული იქნეს მხოლოდ მიწის და მსხვილფეხა საქონლის აღრიცხვა, რადგან ისინი წარმოადგენენ გლეხთა მეურნეობის სიძლიერის ძირითად ნიშნებს.

მაგრამ არსებულ დეკრეტში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს შეეხება, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის და ეს აღიარეს თქვენ მიერ გამოყოფილ კომისიის ყველა წევრებმა, რომლებმაც განიხილეს ეს საკითხი.

ამ მხრივ უნდა მოხდეს საქონლის დაბეგვრის წესის გადასინჯვა. თქვენ იცით, რომ დაბეგვრის არსებული სისტემის მიხედვით დაწესებული იყო სხვადასხვა ნორმები საქონლის სახნავ მიწაზე გადაყვანის შესახებ ნორმების დაწესება მოხდა

---

# კალინინი ქუთაისში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

როგორც დეპეშით გაცნობებდით 7 მარტს, დილით 10 საათზე კალინინის მატარებელი ჩავიდა ქუთაისში.

ნამდვილი გაზაფხულის ამინდი ტრიალებს. მატარებელი ჩერდება. სადგურის ბაქანი იტევს უმნიშვნელო ნაწილებს ჯარისას და სხვა დაწესებულებისას. ეს არის წინამორბედი სხვა უფრო ხელგაშლილი აღლუმისა, რომელიც ქალაქის შუა გულში ელოდება ძვირფას სტუმარს.

თბილისიდან მას ჩამოჰყვენ ამხ. ფილიპე მახარაძე, ვ. სტურუა, ს. თოდრია, ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ლორთქიფანიძე და სხვანი.

ამხ. კალინინმა თავისი პირველი სალამი მიუძღვნა ამ ნაწილებს, სადგურის ბაქანზე რომ საგანგებოთ შეგებებენ მის პირველ ფეხის ჩამოდგმას.

**კალინინი.** სალამი წითელარმიელებს!

**წითელარმიელები.** გამარჯობათ! გამარჯობათ! გამარჯობათ!

ამ პირველი მისალმების შემდეგ ამხ. კალინინი სხვა ამხანაგებთან ერთად გამოდის სადგურის მეორე მხარეს.

აქ კი მუშების სხვა და სხვა რაზმები და მრავალი ხალხი მოუთმენლად ელის იშვიათ სტუმრის დანახვას.

გამოჩნდება კალინინი და ტაშის ცემაც არყევს მთელს გარემოს.

* * *

პირველ სალამს ქუთაისის მაზრის გლეხების სახელით მიუძღვნის გლეხი სირაძე.

იმის შემდეგ ქუთაისის მუშებისა და საბჭოთა მოსამსახურეების სახელით ესალმება ამხ. შუმბურიძე. მისი დალაგებული და ლამაზი ლაპარაკი ნამდვილი ნიმუში იყო იდეური და პროგრამული სიტყვისა.

მოკლეთ მისი საუცხოვო სიტყვის შინაარსი ასეთი იყო.

დღეს საქართველოს არამკითხე მეპატრონე ევედრებიან თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვას ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც თვითონვე არიან ყოველგვარ ეროვნულ დამოუკიდებლობის დამთრგუნველნი.

მეორე მხრივ აღმოსავლეთის და ჩაგრული ერები იცქირებიან საბჭოთა კავშირისაკენ და მასში ეძებენ ევროპიელებისაგან თავიანთ შელახულ ეროვნულ ინტერესების გამოსარჩლებას.

სწორეთ ამ პირობებში საბჭოთა კავშირის განაპირა რესპუბლიკაში, საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში იმართება კავშირის უმაღლეს ორგანოს სესია.

სესიის პირველი განცხადება ის არის, რომ ხალხის ეროვნულ და კლასიურ განთავისუფლებას ამყარებს სხვადასხვა ერთა თანამშრომლობასა და მეგობრობაზე.

ეს არის ის მკვიდრი ნიადაგი, რომელზედაც მუშაობს თბილისში გახსნილი სესია საკავშირო ცაკისა:

ჩვენ, კერძოთ ქართველი ხალხი, უნდა ვამაყობდეთ, რომ ასეთ ყურადღებას ვიპყრობთ ცენტრალურ ორგანოებისაგან. დღეს ჩვენ დედაქალაქში სწყდება უდიდესი და პირველხარისხოვანი საკითხები მთელ საბჭოთა კავშირისა.

ეს არის საუცხოვო დემონსტრაცია იმისი, რომ საქართველოს უჭირავს საბჭოთა კავშირში ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი და ქართველი მშრომელი ხალხიც მუდამ მზად არის მხარი დაუჭიროს თავის რევოლიუციონურ მთავრობას ყოველგვარ გასაჭირში.

* * *

შემდეგ ამხ. ვ. სტურუა ხალხს გააცნობს ამხ. კალინინის ბიოგრაფიას. ყველაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ იგი ყოფილა უბრალო მუშათ თბილისში სახელოსნოებში. მაშინ ეს კაცი არავის შეუმჩნევია, დღეს კი ასეთის დიდებით და სიხარულით ეგებება ხალხი.

* * *

სტურუას მოსდევს ამხ. ფ. მახარაძე. მის დანახვას ხალხი ტაშისცემით ეგებება.

მოკლე სიტყვაში საქართველოს მშრომელი ხალხის სახელით სალამს მიუძღვნის ამხ. კალინინს, რომელსაც ენატრება ქართველ გლეხებთან და მუშებთან უშუალო დალაპარაკება, რომ საკუთარი ყურით გაიგოს მათი ნამდვილი გულის პასუხი.

* * *

ბოლოს სიტყვას იღებს თვით ამხ. კალინინი.

მისი სადა სიტყვა საუცხოვო დამახასიათებელია ხალხის გულიდან გამოსულ ნამდვილი მებრძოლისა, რომელსაც მოვალეობა კი დიდი დაკისრებია, მაგრამ ხალხის ტკივილებს და გულისპასუხს კი ოდნავადაც არ ჩამოშორებია განა თუ მარტო თავისი იდეით, არამედ თავისი ალღოთიც.

ამიტომაც არის მისი სიტყვა ყველასათვის გასაგები, ყველასთვის ჭეშმარიტათ მისაღები.

მისი სიტყვის შინობა და დედააზრი შემდეგი იყო:

— ცაკის მესამე სესია სალამს უძღვნის იმ ქვეყნის შვილებს, რომელთა დედა-ქალაქში იმართება მორიგი სხდომები.

მოსკოვის მაგიერ დღეს თბილისში იწერება საბჭოთა კავშირის უმაღლესი კანონმდებლობა.

ეს არხილული საქმეა, მაგრამ ჩვენ ამას ჩავდივართ, რადგან საამისოდ ნებას გვაძლევს საქართველოს რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხობა.

საბჭოთა კავშირი სულ ახალგაზრდა სახელმწიფოა. მას მხოლოდ შვიდი წლის ისტორია აქვს, თუმცა მის სათავეში ბევრი ჭაღარა შერთული ხალხიც მოღვაწეობს.

ამ საბჭოთა ხელისუფლების დაარსებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე კავკასიის ერებიც. ქართველი ხალხის დღევანდელი აქ დასწრება შემთხვევითი არ არის, მან ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო რევოლიუციის გასამარჯვებლათ და ამიტომ სრული უფლებით ესწრება იმის ზეიმსაც.

ეს წესწყობილება ახალი არ არის ჩვენთვის. მას ვესწრაფოდით ოცდახუთი წლის წინეთაც საქართველოს ისეთ რჩეულ მუშებთან ერთად, როგორიც აგერ ეს ვანო სტურუაა.

შეიძლება ჩვენ ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ ვისაც ახსოვს თვითმპყრობელობის ხანა, მან გულზე ხელდადებით უნდა აღიაროს, რომ ერთი ნაბიჯით მაინც წავსულვართ წინ.

და თუ სამუდამოდ ჩამოვიშორებთ ყველა შინაურ და გარეულ მტრებს, მაშინ უფრო მეტი საშუალება მოგვეცემა ყველა დარგში წავიდეთ წინ. მაშინ დაუახლოვდებით სწორედ ჩვენ ნამდვილ მიზანს. და ეს იქნება სრული გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებისა.

ეხლა კი ბევრ დროს ნუღარ დამაკარგვინებთ ზეიმობაზე. მე მეჩქარება ვნახო ქართველი გლეხი თავის სოფელში, თავის ქოხში—ათავებს ამხ. კალინინი.

აქ აღტაცებული ხალხი დასტაცებს ხელს და ისე ციმციმ მიჰყავთ ავტომობილამდის, ასევე ექცევიან ამხ. მახარაძესაც.

ამხ. კალინინი ცოტა შეწუხებულია ასეთი პატივისცემით და ხუმრობით მიმართავს ხალხს:

— გმადლობთ ასეთი პატივისცემისათვის! მაგრამ ამხანაგებო, ნუ მიეჩვევით თქვენი მთავრობის ხელში ტარებას, ჯერ მსუბუქი ვართ, მაგრამ, თუ გავსუქდით, მაშინ ძალიან გაძნელდება ჩვენი ტარებაო!

* * *

სადგურიდან ბულვარამდის ქუჩები გაჭედილია ხალხით. წინ კი დარაზმულათ დგანან პროფკავშირები, პიონერები, კომკავშირელები, სპარტაკელები, მოსწავლეები. მათი ტაშისცემა და ვაშა არა სწყდება მთელი გზის სავალზე.

ბულვართან ჩამწკრივებულია ჯარის ყველა ნაწილები. გარშემო აქაც ზღვა ხალხია.

კალინინიც და სხვა ამხანაგებიც ჩამოდიან და ფეხით ჩაუვლიან ყველა ნაწილებს.

ყველა მისალმებაზე ისმის:

— ვაშა! ვაშა! ვაშა!

ბოლოს ხდება მთელი ჯარებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა პარადი.

ამხ. კალინინს წინ საათნახევრის განმავლობაში გაიარა მთელმა დარაზმულმა ქუთაისის მშრომელმა ხალხმა.

შეუწყვეტელი მუსიკის ხმაზე შახიანათ ჩამოივლიან ფეხოსანნი, ცხენოსანნი, არტილერია.

მშვენიერი სანახავი იყო, თუ ნაურულ მუსიკის ხმაზე როგორ მოსცეკვავდენ ჯარისკაცთა ცხენები.

სამწუხაროთ პიონერებს აშკარათ აკლიათ გაწვრთნა.

პარადის შემდეგ კალინინი სხვა ამხანაგთა თანხლებით გაემგზავრა არხ—„მაშველას“ სანახავად.

ეს არხი ქუთაისთან იწყება რიონიდან და რწყავს 30 ათას ქცევამდე. გაყვანილია თვით სოფლების ხარჯითა და თავგამოდებით, რასაკვირველია მთავრობის ხელის მომართვითაც.

იქიდან ამხ. კალინინი გაემგზავრა ბაგრატის ტაძრის სანახავათ.

მან გულმოდგინეთ დაათვალიერა საქართველოს ეს სანიმუშო ისტორიული ნაშთი.

ამხ. კალინინი კითხულობს, არის თუ არა აქ სემინარია.

ვანო სტურუა უპასუხებს, რომ სემინარიები, როგორც კონტრ-რევოლიუციის საბუდარი, დიდი ხანია წარსულს ჩაბარდაო.

— მოსკოვში კი არსებობს. ჩვენი კონსტიტუცია ამის სრულ ნებას აძლევს.

— ჩვენსა არ მოუთხოვნიათო, ხუმრობით უპასუხებს ვანო.

— ჰაი, ვანო, ვანო! მე მოვალ თქვენ სოფელში და იქა ვნახავ ყველაფერს! ხუმრობის საყვედურითა და მხარზე ხელის მოხვევით შენიშნავს ამხ. კალინინი.

სამ საათზე ამხ. კალინინის პატივსაცემათ კოოპერატიულ სასადილოში გამართული იყო წვეულობა.

ექვს საათზე კი თეატრის შენობაში მოხდა სამაზრო ყრილობის საზეიმო გახსნა.

* * *

თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. ხარაბაძე.

იყო ლამაზი მისალმებანი ქართული წითელი ლაშქრიდან, მუშებიდან, საბჭოთა განათლების მუშაკთაგან.

ყველა მოუთმენლად ელის თვით ამხ. კალინინის სიტყვის გაგონებას.

და აი ტაშის ქუხილთან ერთად იგიც წამოდგა წინ ტრიბუნაზე.

უმაღლეს თანამდებობას მისთვის სრულიადაც არ წაურთმევია ის სადა შეხედულობა, როგორიც ახსოვთ მისგან ამ ოცდა ხუთი წლის წინეთ თბილისის სახელოსნოებში.

კალინინის მთელი სიტყვა დამკვიდრებული, ნათლად ჩამოყალიბებული და კანონათ მისაღებია.

ცხადათ ეტყობოდა, რომ ლაპარაკობს ისეთი კაცი, რომელიც თავისზე მაღლა აღარავითარ შიშს არა გრძნობს. ამიტომ მისი სიტყვა ერთგვარათ პროგრამასაც წარმოადგენდა ყველასთვის.

იმის სიტყვაში ხანდახან გაერევა უბრალო იუმორი, რაც ხალხში იწვევს გულწრფელ სიცილს.

ის აღნიშნავს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის რამდენიმე მომენტს, უფრო ყურადღებით ჩერდება საგარეო პოლიტიკაზე და ვალების საკითხზე.

იგი აღნიშნავს ორი მსოფლიოს ორ შეურიგებელ პოზიციას:

ბურჟუაზია გადაწყვეტით მოითხოვს ვალების გადახდას. ჩვენ გადაწყვეტით უარს ვამბობთ ამაზე.

ბურჟუაზიას ძალიანაც ვეჯავრებით, მაგრამ გვცნობს იმდენათ, რამდენათაც ძალას ატანს აუცილებლობა, და ჩვენი დიპლომატიაც სწორედ ამ აუცილებლობით სარგებლობს.

ბურჟუაზია თვით თავის თანამედროვე არსებაში ატარებს სასტიკ პოლიტიკურ და ეკონომიურ წინააღმდეგობას. ამიტომ ის ვერას დროს ვერ დაირაზმება სავსებით ჩვენს წინააღმდეგ.

ევროპის ბურჟუაზია ჩვენ გვიწევს ანგარიშს იმდენათ, რამდენათაც მტკიცე და ძლიერი ვართ შიგნით. საკმარისია შესუსტდეს საბჭოთა ხელისუფლება შიგნით, და ბურჟუაზიაც აღარავითარ ანგარიშს არ გაგვიწევს.

შემდეგ ამხანაგმა კალინინმა ილაპარაკა გლეხობისა და სასოფლო-მეურნეობის საკითხზე. იგი აღნიშნავს ყველა იმ პრაქტიკულ ეკონომიურ და კულტურულ ღონისძიებათ, რომელთა შემწეობითაც უნდა მოხდეს ქალაქის სოფელთან დაკავშირება.

დიდის ყურადღებით შეჩერდა აგრეთვე სარწმუნოების საკითხზე და გამოსთქვა ისეთი თავისუფალი მოსაზრებანი, რაც ბევრ ჩვენ პროვინციალურ ამხანაგს უდიდეს რეფორმათ მოეჩვენება.

ხალხი დიდის ყურადღებით ისმენდა ამ საფუძვლიან მოხსენებას და ალბად შესამჩნევ კვალსაც დასტოვს როგორც ახალ საბჭოს წევრებზე აგრეთვე სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებზეც.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. კვიცარიძემ, მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია უპარტიო მუშაკებთან და მასსებთან დაახლოვებას.

ბოლოს სიტყვა აიღო ამხ. ფ. მახარაძემ, ის განსაკუთრებით შეჩერდა საქართველოს მდგომარეობაზე, აღნიშნა საბჭოთა წყობილების ყოველმხრივი სიმტკიცე ჩვენში და სწორეთ ამიტომ ეხლა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველგვარ ჩვენი ნაკლის გამოსწორებას.

აღნიშნავს იმ შეცდომებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ არჩევნებში, უპარტიო მასსებისადმი, ადმინისტრატიულ დარგში, სოფლის საქმეში, სარწმუნოების საკითხში.

ამ შეცდომების თანდათანი გამოსწორებით საბჭოთა წყობილება უეჭველათ კიდევ უფრო მკვიდრათ მოიკიდებს ფეხს ხალხის შემეცნებაში და ეს იქნება ჩვენი სრული გამარჯვებაო. კრება დაიხურა ათ საათზე.

კვირა დილით ამხ. კალინინი დარჩენ ამხანაგთა თანხლებით მიემგზავრება ს. მათხოჯში.

ამაზე შემდეგ.

**მოამბე.**

8 მარტი, ქუთაისი.

# ამხ. კალინინი ხონის რაიონში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

**ხონი.** 9 მარტი. ორშაბათს დილით სოფელ მაღლაკში კალინინი ისმენს კერძოსა და საზოგადო ხასიათის საჩივრებს. ნაწილი გლეხობისა მოითხოვს ეკლესიების გახსნას. ხალხი გულახდილად ლაპარაკობს. კალინინი ეუბნება სიტყვა-დარიგებას. ხალხი დიდათ კმაყოფილია. შუადღისას მივედით სოფელ გუბში. ამხ. კალინინმა იქაც მოისმინა საჩივრები, გლეხები მოითხოვენ, რომ ადგილობრივ ყველაფერი ისე სრულდებოდეს, როგორც ცენტრში ადგენენ. მოითხოვენ გადასახადის შემცირებასაც. სოფელ კუხში ხალხის ნაწილი მოითხოვს ეკლესიის გახსნას. ხონში გაიმართა დიდი მიტინგი. კალინინმა წარმოსთქვა სიტყვა. მან სთქვა მთელი ძალა უნდა მოვანდომოთ შინაურ კეთილდღეობას, ეკონომიურ წარმატებასო. საღამოზე ნახახულევში ამხ. კალინინმა მოისმინა გლეხების კრებაზე საჩივრები. მან მიმართა კრებას სიტყვით. ბოლოს მათხოჯში ვნახეთ დამწვარი სასახლე. დიდძალი ხალხი აღტაცებით ეგებება კალინინის იშვიათ დაკვირვებულ სიტყვას ხალხის ქონების წესიერად მოხმარებაზე. მივდივართ სამტრედიაში, ფოთში, ბათუმში. წერილები ცალკე.

**მოამბე.**

იმ ცნობების მიხედვით, რომლითაც იძლეოდა სტატისტიკა და იმის გამო, რომ სტატისტიკის ცნობები არ ყოფილა შემოწმებული პრაქტიკით-დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომებისა და ეს შეცდომები უმეტეს შემთხვევაში გამოიხატებოდა ნორმების გადამეტებაში. საერთოდ ცვლილება არსებული სისტემის ამ ნაწილში უნდა გამოიხატოს საქონლის სახნავ მიწაზე გადაყვანის ნორმის შემცირებაში.

რასაკვირველია, ჩვენ აქ არ შეგვიძლია პირდაპირ და გადაჭრითვსთქვათ, რომ ჩვენ შევამცირებთ ნორმას განურჩევლად ყველა რაიონებისათვის, მაგალითად, ერთი მესამედით. ჩვენ ეს მუშაობა უნდა გავწიოთ, გამოცდილების გულდასმით გათვალისწინების გზით, ყურადღებით უნდა მოვისმინოთ ის აზრები, რომელთაც მივიღებთ ადგილებიდან, უნდა გავითვალისწინოთ თვითეული გუბერნიის და თვითეული რაიონის თავისებურობანი.

მე უკვე არ ვლაპარაკობ არსებული დეკრეტის სხვა მნიშვნელოვან მხარეებზე, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებიან გადასახადის გადამხდელ გლეხს, მაგალითად, თუნდაც ავიღოთ გადასახადის შეტანის ვადა. აქ ყველა მუშაკების აზრი ერთნაირია. კატეგორიულად უნდა იქნეს დაწესებული, რომ ვადა დაწერილი უნდა იქნეს თვით დეკრეტში და არავის უფლება არ აქვს ის შესცვალოს შემცირების მხრივ, ან დააწესოს რაიმე საშუალო ვადა. ამას გარდა აუცილებლად საჭიროა რამოდენიმედ გაგრძელებული იქნეს გადასახადის შეტანის პირველი ვადა. გლეხს უნდა მიეცეს უფრო მეტი ვადა მოსავალის აკრეფიდან გადასახადის შეტანამდე, რათა მას საშუალება ექნეს გაჰყიდოს თავისი პროდუქციის ზედმეტი ნაწილი ისეთ პირობებში, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის.

აი ის ძირითადი ცვლილებები, რომელთა შეტანას სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ სთვლიდა და სთვლის არსებულ დებულებაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ჩვენ აქ თქვენთან სესიაზე არ ჩამოგვიტანია შემუშავებული დეკრეტები, დადგენილებები, რომლებშიც არის განაკვეთების ყველა ცხრილები, გადარიცხვის ყველა ნორმები. ამისათვის ჩვენ არ გვქონდა საკმაო დრო. ჩვენ არ ვყოფილვართ დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ სავსებით მოიწონებდით იმ საერთო დირექტივებს, რომლებიც მოიწონა სახალხო კომისართა საბჭომ და არ შესცვლიდით მათ ამა თუ იმ სახით. იმ მითითებაზე, იმ დასტურზე, რომლებიც ჩვენ გვინდა მივიღოთ ცაკისაგან, სავსებით დამოკიდებულია განაკვეთების ცხრილები ცალკე რაიონების მიმართ და დაბეგვრის ამა თუ იმ საგნის გადარიცხვის ესა თუ ის ნორმები. ჩვენ ვსთხოვთ ცაკს მხოლოდ მოიწონოს ეს ჩვენი წინადადებები და დაავალოს კავშირის ცაკის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს უახლოეს ვადაში უკვე ამ ცვლილებების მიხედვით გამოსცეს სათანადო დეკრეტი.

## სათემო (ვოლოსტის) ბიუჯეტის შესახებ

დასასრულ ამხ. ბრიუხანოვი ჩერდება სათემო (ვოლოსტის) ბიუჯეტის განმტკიცების საკითხებზე.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ — ამბობს ის — სათემო ბიუჯეტების განმტკიცების საკითხს. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ იმას, რომ გლეხობისგან აკრეფილი ფული პირველ ყოვლისა იხარჯებოდეს იქვე, თემებში გლეხების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, რომელსაც ჩვენ ავკრებთ მომავალ წელს, ჩვენ საგრძნობი ნაწილი უნდა დავტოვოთ თვით თემებში, მოვახმაროთ სათემო ბიუჯეტების საჭიროებას.

თქვენ გახსოვთ, — განაგრძობს ამხ. ბრიუხანოვი, — რომ შარშან ჩვენ დავაწესეთ დანართის განსაზღვრული პროცენტი, რომელიც ხმარდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის მოთხოვნილებებს და ამას გარდა გამოვეცით დედგენილება იმის შესახებ, რომ ამ დანართის არა ნაკლებ ნახევარისა უნდა დარჩეს თემებში. ამ რიგად იმ თანხიდან, რომელსაც მივიღებთ მიმდინარე საბიუჯეტო წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, დაახლოვებით 45 მილიონი დარჩება თემებში.

ჩვენი სათემო (ვოლოსტის) ბიუჯეტი იზრდება, მისი მოთხოვნილებები ფართოვდება. ის ხდება ჯანსაღი მტკიცე ბიუჯეტად და საჭიროა ამ ბიუჯეტს მივსცეთ მტკიცე საფუძლიანი ბაზა. სახალხო კომისართა საბჭოს აზრით, ასი მილიონი იმ გადასახადიდან, რომელიც აკრეფილი იქნება მომავალ წელს, უნდა დარჩეს თემებში, უნდა მოხმარდეს სათემო, რაიონულ ბიუჯეტების მოთხოვნილებებს.

## დასკვნა

ვიმეორებ, რომ ყველა იმ ცვლილებებითაც, რომელთაც ჩვენ გიდგენთ თქვენ მისაღებად, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა მაინც არ იქნება სავსებით სრული. ვიმეორებ, რომ აქ, რამდენად ჩვენ გამოვდივართ გადარიცხვის იმავე საშუალო ნორმებიდან დესიატინის შემოსავლიანობის საშუალო შეფასებიდან, ჩვენ უშვებთ მთელ რიგ შეცდომებს. დაბეგვრის ერთგვარი უთანასწორობა, რასაკვირველია, იქნება, მაგრამ ჩვენ ჯერ არ გვაქვს საშუალება შეუდგეთ გლეხის კომლის ყველა თავისებურებათა ინდივიდუალურ აღრიცხვას. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა, აგებული სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შემუშავებულ საფუძვლებზე, რომლებზედაც მე აქ ვილაპარაკე, იქნება ძველზე ბევრად უკეთესი და ჩვენ გავაკეთებთ კეთილ და სასარგებლო საქმეს ყველა გლეხებისათვის, თუ მივიღებთ ამ სისტემას და მის შესახებ შეტანილ შესწორებებს.

# კამათი ბრიუხანოვის მოხსენების გამო

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

7 მარტის საღამოს სხდომაზე სესია გადადის კამათზე ბრიუხანოვის მოხსენების გამო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

### ლებედევის სიტყვა

(ტვერის გუბერნია)

პირველად სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი ამხ. ლებედევი (ტვერის გუბ.), რომელიც აღნიშნავს, რომ ბრიუხანოვის მოხსენება ტალღასავით გავრცელდება მთელ საბჭოთა გლეხურ რესპუბლიკაში და მას დიდი აღფრთოვანებით შეხვდებიან. ორატორი აღნიშნავს, რომ გლეხობა ზედმეტადაა დაბეგრილი მსხვილფეხა საქონლის მხრივ და რამდენადაც საქონელი წარმოადგენს შემოსავლის წყაროს, მომავალ წელს დაბეგრილი იქნება, ალბად, ღორებიც, ცხენებიც და ამიტომ გლეხობა არ უცდის სანამ მივიდოდენ სტატისტიკოსები აღწერის მოსახდენად, გამოჰყავს საქონელი გასაყიდად ბაზარზე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საქონლის ფასი დღითი დღე ეცემა. ასე მაგალითად ღორის ხორცი ტვერის გუბერნიაში ფასობს 3 მან. და 50 კაპ. ფუთი. ასეთი ფასი არ ახსოვს არც ერთ გლეხს. შემდეგ საქონლის გაყიდვის გამო დაეცა ფასები თივაზე.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს დაბრკოლებებს, რომელიც გამოწვეულია ვადების შეცვლის გამო. გლეხები მოემზადენ ვადისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესიამ მიიღო. როდესაც გლეხები უკვე მზად იყვენ, მოდის განკარგულება იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ ვადების შეცვლა. უგზოობიის გამო გლეხობამ ვერ შესძლო თავის დროზე გადაეხადა და ამას შედეგად მოჰყვა ჯარიმები, ქონების აღწერა და სხვა რეპრესიები. არაა შესრულებული აგრეთვე ღარიბ-გლეხებისათვის დაპირება ერთგვარ შეღავათების მიცემის შესახებ.

ეხება რა დაბეგვრის ობიექტებს ლებედევი საჭიროდ სთვლის უარყოფილი იქნას მიწის დაბეგვრის პრინციპი, რაც შეადგენს კულაკების ინტერესს დი მხარს უჭერს სახალხო კომისართა საბჭოს პროექტს საქონლის დაბეგვრის 4 პროცენტით შემცირების შესახებ, მაგრამ თავის მხრივ წინადადებას იძლევა შემცირებული იქნას ეს დაბეგვრა 5 პროცენტით.

### ჩაპჩაევის სიტყვა

(კალმიკთა ოლქი)

ჩაპჩაევი აღნიშნავს, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატი დღემდის საკმარისად არ უწევდა ანგარიშს ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების თავისებურებებს, სადაც მეურნეობის ჩამორჩენილი ფორმა—პირველ ყოფილი მეჯოგეობაა განვითარებული. ამავე დროს ფინანსთა სახ. კომისარიატმა არ მოახდინა მესაქონლეობის მომთაბარე მეურნეობის გამორკვევა, რაც სწორ ცნობებს მისცემდა მას მისი შემოსავლიანობის შესახებ. გამოკვლევა ყველაზე სწორი გზაა იმისათვის, რათა გამოირკვეს მომთაბარე მეურნეობის შემოსავლიანობა. ფინანსთა სახ. კომისარიატის საერთო თეზისებიდან არა სჩანს ასეთი ცდის მაგალითი. ფინანსთა სახალხო კომისარიატი მომთაბარე მეურნეობას აკუთვნებს გლეხურ მეურნეობის საერთო ჯგუფს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა მომთაბარე მეურნეობის ისეთივე დაბეგვრა, როგორც ჩვეულებრივი გლეხური მეურნეობის, მაგრამ ასეთი მიდგომა სწორი არ არის.

ორატორს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითებისა, რომელიც ამტკიცებს განსხვავებას მომთაბარე და გლეხურ მეურნეობის ფორმებს შორის. ასე მაგალითად კალმიკთა ოლქში არავითარი შემოსავალი მიწად-მოქმედებიდან მოსალოდნელი არ არის, რადგან ასეთი მეურნეობა იქ არ არსებობს, ამავე დროს ფინანსთა სახ. კომისარიატის თეზისის მე-6-ე მუხლში მიწათ-მოქმედება წარმოადგენს გლეხის ეზოს შემოსავლის ელემენტს.

სწორედ ასევე არავითარი შემოსავალი სათიბეებიდან ბევრ ეროვნულ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე რესპუბლიკებში და ოლქებში მოსალოდნელი არ არის, არაა სწორად გამონგარიშებული შემოსავალი მსხვილფეხა საქონლიდან მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეურნეობაში. ამხ. ჩაპჩაევის გამოანგარიშებით არა თუ არავითარ შემოსავალს არ იძლევა ცხვარი, არამედ ყოველწლიური დეფიციტი უდრის 15 კაპეიკს თვითეულ ცხვარზე.

შემდეგ ორატორი ეხება ძროხებს და აღნიშნავს, რომ არ არის სწორი გლეხური და მომთაბარე მეურნეობის შემოსავლიანობის გათანაბრება; ამიტომ ორატორი ფიქრობს, რომ საერთო რუბრიკაში მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეურნეობათა მოთავსება ცუდ გავლენას მოახდენს ამ მეურნეობათა შემდეგ განვითარებაზე. მომთაბარე მეურნეობა ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი და მიენიჭოს მას უდიდესი შეღავათები და თუ მთელი გლეხური მეურნეობისათვის ფინანსთა სახ. კომისარიატი ამტკიცებს საერთო სასოფლო გადასახადს დაახლოვებით 40 პროც.-ით, მომთაბარე მეურნეობისათვის ეს მეურნეობა სასურველია დაყვანილი იქნას 75 პროც.-დე. მხოლოდ მაშინ შეეძლება ამ მეურნეობას არსებობა და ამით იგი შეასრულებს დიდ როლს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

### სამსონოვის სიტყვა

(კალუგა)

სამსონოვი მხარს უჭერს ფინანსთა სახ. კომისარიატის პროექტს, რომელიც აახლოვებს გლეხურ მეურნეობას პროგრესიულ-შემოსავლის კვალობაზე გადასახადთან. კალუგის გუბერნიის გლეხებმა მხარი დაუჭირეს ასეთ გადასახადს, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება გლეხურ მეურნეობის ყველა ელემენტები. ამით გლეხს საშუალება ეძლევა გამოარკვიოს მეურნეობის შემოსვლიანობის ელემენტები და გამოიტანოს დასკვნა თავის ბიუჯეტის გადიდების შესახებ.

მაგრამ ის, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება, აღნიშნავს სამსონოვი, ეს არის ის, რათა გადასახადის აკრეფის ვადა იყოს არა შემოდგომა, არამედ გაზაფხული. საჭიროა სამეურნეო წლის დასაწყისში უთხრათ გლეხს, რამდენი უნდა გადაიხადოს მან. მაშინ ის დამშვიდებულად იმუშავებს, რადგან ეცოდინება, რომ განსაზღვრულ ვადაში მან უნდა გადაიხადოს ხვედრი გადასახადი. აგრეთვე საჭიროა სისწორით აღნიშნული იქნას გადასახადის რაოდენობაც. ასეთი წესი სასურველ გავლენას მოახდენს საერთო გლეხურ მეურნეობაზე.

### ადამოვიჩის სიტყვა

(ბელორუსიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე)

ადამოვიჩი აღნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე ამჟამად დასმულია ამოცანა შევიტანოთ შესწორება შარშანდელ დეკრეტში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და ამ შენიშვნების მიხედვით გავაუმჯობესოთ და შევასწოროთ იგი გლეხურ მეურნეობის ინტერესებისამებრ. შანშანდელ დეკრეტში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ იყო ის დეფექტი, რომ შეღავათების მინიჭება ღარიბ გლეხებისათვის, იყო მხოლოდ და მხოლოდ საოლქო და სამაზრო აღმასკომების ხელში და არა რაიონების და თემების ხელში. ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დაბალ საფეხურის აპარატის განმტკიცების შემდეგ ეს ნაკლი გამოსწორებელი უნდა იქნას და ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დროს ჩვენ უნდა გადავცეთ შეღავათების მიცემის საქმე რაიონებს და თემებს. ამით თავიდან იქნება აცილებული ბიუროკრატიზმი და შეღავათებიც სისწორით იქნება განაწილებული. შემდეგ საჭიროა მიღებული იქნას წესად სანაპირო რაიონებისათვის, განსაკუთრებით ეს ეხება ბელორუსიას და უკრაინას, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება შედარებით კავშირის სხვა ნაწილებთან. მართალია, საკავშირო მთავრობამ ბელორუსიას მისცა წელს 800 ათასი მანეთი სპეციალურად სანაპირო რაიონებში გადასახადების შესამცირებლად, მაგრამ ეს საჭიროა განმეორდეს მომავალ წელსაც.

შემდეგ ადამოვიჩი აღნიშნავს, რო არაა სასურველი ადგილებისათვის იმ ვალების შემცირება, რომელიც საკავშირო მთავრობამ დააწესა, რადგან ეს გამოიწვევს გლეხობისათვის მისაცემ შეღავათების დარღვევას და ხელს არ შეუწყობს სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესებას. ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა გატარებული იქნას სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სასოფლო-მეურნეობის განვითარების და მაღალ-საფეხურზე აყვანის ინტერესების მიხედვით., კერძოთ ამხ. ადამოვიჩი წინადადებას იძლევა გავრცელებული იქნას მთელ საბჭოთა კავშირზე ბელორუსიაში გატარებული შეღავათები იმ გლეხებისათვის, რომლებიც გადადიან ხუტორებიდან მკვიდრ მოსახლეობაზე და აგრეთვე სამ მინდვრიან სისტემიდან მრავალ მინდვრიან სისტემაზე—ე. ი. გადაიხადოს გადასახადი არა ერთი წლის, არამედ 3 წლის განმავლობაში. ეს აძლევს გლეხობას სტიმულს გადავიდეს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო სისტემაზე: ბალახის თესვაზე და ამით მესაქონლეობის განვითარებაზე, რითაც ხელს შეუწყობს მიწით სარგებლობის მოწესრიგებას.

გარდა ამისა ადამოვიჩის აზრით, საჭიროა წელს რესპუბლიკებს მიეცეს მეტი დრო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასაწერად. საჭიროა უთხრათ რესპუბლიკებს: შენ უნდა შემოიტანო ამდენი და ამდენი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წელს.

მხარს უჭერს რა სახალხო კომისართა საბჭოს პროექტს, ორატორი წინადადებას იძლევა ფინანსთა სახ. კომისარიატის პროექტი გაიგზავნოს განსახილველათ რესპუბლიკების რაიონებში, თემებში მაზრებში და გუბერნიებში.

### სმირნოვის სიტყვა

(ვიატკის ოლქი)

სმირნოვი აღნიშნავს, რომ როგორც ძველ დებულებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ისე ფინსახკომის მიერ წარმოდგენილ პროექტს დიდი ნაკლი აქვს. პირველ ყოვლისა საქონლის ხვნა-თესვაში გადარიცხოს, რომელიც ერთგვარათ უნდა გატარდეს კავშირის ყველა ნაწილის მიმართ, ყველა ისეთი შედეგი, რომ ლენინგრადის გუბერნიაში მყოფი ცხენი უდრის ვიატსკის ოლქის ცხენის ნახევარს, რომლის საშუალებითაც დიდ მუშაობას ვერ გასწევ. ასევეა ძროხის მიმართ. ამიტომ საჭიროა სისწორით იქნას გამოკვლეული საქონლის ხვნა-თესვაში გადარიცხვა. სწორი არ არის აგრეთვე მინიმუმის დაწესებაც. თვითეულ სულზე მიწის დესეტინათა რაოდენობა თანასწორია მთელ კავშირში. ორატორს მოყავს მაგალითი, როდესაც თანახმად ძველი დებულებისა მთელ კავშირში დაწესებულია დესეტინის სამი მეოთხედის მინიმუმი, იმისდამიუხედავათ ჰყავს მეურნეობას ცხენი თუ არა, პრაქტიკაში დიდ გართულებას იწვევს. ზოგიერთ რაიონებში, და მით უმეტეს 1921—22 წლ. მოუსავლიან ადგილებში მრავალ უცხენო და უძროხო მეურნეობაა, მიწა კი თვითეულ სულზე მიდის ორ-ორი დესეტინა. ამგვარად ასეთი მეურნეობანი გადასახადისაგან არ თავისუფლდებიან. ან რას იღებ მისგან, როდესაც მას მთელი მიწა რჩება დაუხნელი და თუ ის ცოტას კი ხნავს,—ქირის საშვალებით. მაშასადამე, ერთგვარი მინიმუმის შემოღება მთელი კავშირისათვის არ არის სწორი და სასურველი. ჩერდება რა მოუსავლიანობის ხარისხებად დაყოფვის გამორკვევაზე, ორატორი აღნიშნავს უარყოფით მხარეებს, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ თემებს არა აქვთ უფლება დააწესონ ხარისხები ცალ-ცალკე სოფლების მოუსავლიანობის შესახებ. ამ ნიადაგზე არის შემთხვევები, როდესაც ორი მეზობელი სოფელი, რომელთაც სხვადასხვაგვარი მოსავალი აქვთ, ერთს, მაგალითად, ასი ფუთი დესეტინაზე, მეორეს კი 20 დ. და იხდიან კი ერთგვარი ზომით გადასახადს; ამის შედეგი ის არის, რომ ის სოფელი, რომელსაც დესეტინაზე მოუვიდა მხოლოდ 20 ფ.. საბოლოოდ ნადგურდება. გადასახადის შესახებ ახალი კანონმდებლობის გამომუშავების დროს ძნელია ამაზე ყურადღების მიქცევა. ამგვარადვე სწორი არ არის მთელი კავშირისათვის გადასახადის შეტანის ერთი ვადის დანიშვნა. ასეთ უზარმაზარ ქვეყანაში, რომელსაც უკავია დედამიწის თითქმის ერთი მეექვსედი ნაწილი, სადაც კლიმატიური და ცხოვრების სხვა პირობები მრავალგვარია, არ შეიძლება ყველგან ერთი ვადის დანიშვნა.

ორატორს მოჰყავს მაგალითი ვიატსკის ავტონომიურ ოლქისა, სადაც ოქტომბრის დამლევს და ნოემბრის დასაწყისში იყო გაუვალი ტალახები და როდესაც მოვიდა პირველი ნოემბერი, გლეხმა ვერ შესძლო ერთი ფუთი პურისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა, გადასახადის ვადა კი გავიდა და აი მას დაადეს ჯარიმა. ამიტომ, რათა თავიდან ავიცილოთ გლეხების სამართლიანი ჩივილი, საჭიროა მომავალში დავაწესოთ ვადები რესპუბლიკების დიდი კავშირის სხვადასხვა კლიმატიურ და სხვა პირობების მიხედვით.

დასასრულ ორატორი ეჭვს გამოსთქვამს, რომ შესაძლებელი იყოს შემოსავლის კვალობის პროგრესიული გადასახადი, რომელიც ფინსახკომს აქვს პროექტში. მას ეშინია, რომ ამ პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე გადასახადს შეეძლოს გაძლიერება და ამაღლება ჯერ კიდევ გლეხის სუსტი მეურნეობისა. ამიტომ ორატორი ილაშქრებს ამჟამად პროგრესიულ-შემოსავლის კვალობის გადასახადის ჩატარების წინააღმდეგ.

### ამხ. ხილჩინინის სიტყვა

(უკრაინა)

ორატორი, რომელიც ლაპარაკობდა უკრაინულ ენაზე, აღნიშნავს ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის ნაკლს. კერძოდ აღნიშნავს, რომ საჭიროა საქონლის გადარიცხვის შემცირება და თვით გადასახადის შემოკლება. ამას, მათი აზრით, მოითხოვს სოფელი და ეს შედის უკრაინისა და მთელი კავშირის სასოფლო-მეურნეობის ინტერესებში.

### ამხ. მიხეევის სიტყვა

(სარატოვის გუბერნია)

გლეხი დელეგატი მოაგონებს სესიას წითელი მთესველის, ლენინის სიტყვებს, რომელმაც სთქვა, რომ საჭიროა სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო გადასახადების აკრეფა, მაგრამ ისე, რომ გლეხი წლიდან წლამდე მდიდრდებოდეს. როდესაც მე შემოვიარე სარატოვის გუბ. 4 მაზრა, გლეხები კრებებზე მეუბნებოდენ: „ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, მაგრამ ის ისე უნდა შეიკრიფოს, რომ ჩვენი მეურნეობა ძლიერდებოდეს და არა უკან იხევდესო“. პირველი, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება—ეს არის სწორი მიწათ-მოწყობის ჩატარება მიწის ღირსებისათვის აუცილებლად ანგარიშის გაწევით, ვინაიდან ამის მოუწესრიგებლობა, იწვევს გლეხების უკმაყოფილებას. დასასრულ ორატორი წინადადებას იძლევა შეუერთდეს ს ს ს რ-ის სახალხო-კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროექტს.

### ამხ. იზეკოვის სიტყვა

(ორლოვის გუბერნია)

გლეხი დელეგატი, ეხება რა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის სისტემის შეცვლას, გამოსთქვამს აზრს გლეხთა შორის შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ, მაგრამ ეჭვი ეპარება ამ წელში მისი ცხოვრებაში გატარების შესაძლებლობაში. იზეკოვი ამბობს, რომ ორლოვის გუბერნიის გლეხობამ სურვილი გამოსთქვა არა მარტო მსხვილფეხა, არამედ წვრილფეხა საქონელზე გადასახადის შემოღების შესახებ. ის არ ეთანხმება წინა ორატორებს, რომელთაც შინაური საქონლის გაიაფება ახსნეს იმ უსწორმასწორობით, რომელიც არის თითქოს ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში. ის უერთდება იმ ორატორთა აზრს, რომელთაც აღნიშნეს, რომ შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის ცალკე ვადების დაწესება, რომელიც თავის ნება-სურვილით ხდება ადგილებზე. თანასწორი მოქმედებანი ფინაგენტებისა, რომელნიც ხანდახან ზედმეტს სჩადიან და არ აძლევენ ხანდახან გლეხობას საშუალებას, რომ თუნდ ერთი საათით დააგვიანონ გადასახადის შეტანა, იწვევს უკმაყოფილებას გლეხობის მხრივ, რომელნიც იძულებულნი არიან ან ნახევრის ფასად გაჰყიდონ თავისი შინაური საქონელი, ან აუწერონ მათ საცხოვრებელი. ცენტრალურმა საფინანსო ორგანოებმა უნდ მიიღონ ზომები ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად ისე, რომ გლეხს მიეცეს ორი-სამი დღის ვადა ფულის შესატანად. თავის თავად იგულისხმება, რომ იმ გლეხებს, რომელნიც განგებ აჭიანურებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანას, არავითარი ვადა არ უნდა მიეცეთ. თავის დროზე გადამხდელებთან კი საჭიროა სიფრთხილით მივიდეთ. დასასრულ ორატორი გამოსთქვამს ორლოვის გუბერნიის გლეხთა სურვილს, რომ მათ მიეცეთ შეღავათი ჯიშიან საქონლის გასაშენებლად.

## ამხ. ბრიუხანოვის საბოლოო სიტყვა

ამხ. ბრიუხანოვი აღნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეს გადასახადის საკითხის შესახებ თავის აზრი გამოსთქვა 25 ორატორმა სექციაში და 10-მა პლენუმზე.

კამათი უმთავრესად სწარმოებდა საკითხის გარშემო: საჭიროა თუ არა გადასვლა მიმდინარე წელს გლეხთა ცალკე კომლის მეურნეობის შემოსავლის აღრიცხვის სისტემაზე. ორატორთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იყო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ზოგიერთ ამხანაგების გამოსვლაში არის შეცდომაზე დამყარებული ოპოზიცია. აქ ლაპარაკობდენ—მგონი ამხ. ადამოვიჩი, იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს უნდა მიეცეს მეტი უფლება, რომ მათ უნდა მიეცეს მხოლოდ ციფრი და შემდეგ მათი საქმეა როგორ გაანაწილებენ მას. ჩვენ საკავშირო მთავრობის წარმომადგენელნი სრულიად საწინააღ დგო აზრისა ვართ. მე მგონია, რომ ასეთი წესით მუშაობისათვის ჯერ დრო არ დამდგარა, რომ გადასახადის დაწესება უნდა მოდეს იმის მიხედვით, თუ რომელ რესპუბლიკაში სცხოვრობს ესა თუ ის გლეხი და როგორ სამეურნეო მდგომარეობაში იმყოფება ის. იმ შემთხვევაში, თუ ერთნაირ სამეურნეო მდგომარეობაში მყოფ რაიონებისთვის ცალკე რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარი წესით იქნება გამონგარიშებული სასოფლო სამეურნეო გადასახადის რაოდენობა, ეს ჩვენის აზრით არ არის სამართლიანი. აი სწორედ ამიტომ წარსული წლის საგადასახადო სისტემაში, ისე როგორც იმაში, რომელსაც ჩვენ მომავალი წლისათვის ვამზადებთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რაიონებათ დაყოფა ეკონომიური ინტერესების ერთგვარობის მიხედვით, და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ გაერთიანების, ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში გაერთიანების მიხედვით.

შემდეგ ჩერდება რა ამხ. სამსონოვის (კალუგის გუბ.) გამოსვლაზე, ამხ. ბრიუხანოვი სავსებით ეთანხმება მას, რომ წარმოდგენილი სისტემა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა ვერ აგვაცილებს თავიდან ყოველგვარ ნაკლს. მრავალი ნაკლი რჩება შეღავათის სისტემაში, მრავალი ნაკლია შეღავათის იმ წესში, როდესაც გლეხს უხდება მრავალჯერ მიმართვა სამაზრო, სათემო და სხვა მრავალ კომისიებში, მანამ ის პასუხს მიიღებს.

აქ ზოგიერთი ამხანაგები ამბობდენ, რომ ახალი სისტემა—ისინი მას ფინანსთა სახ. კომისარიატის სისტემას უწოდებდენ,—არ იძლევა არც ბოროტმოქმედებიდან და არც შეცდომებიდან თავდაცვის გარანტიას. მე მგონია, რომ ამ მხრივ ერთხელ სწორი აზრი გამოთქვა ამხ. რიკოვმა. მან სთქვა შემდეგი: ჩვენი სისტემა ცხადია ჩვენ და რომ მოგვცენ შესაძლებლობა მისი შეცვლისა ახალი კარგი სისტემით, გარანტიით, რომ ეს სისტემა კარგი იქნება, ჩვენ, რასაკვირველია, ამაზე დავთანხმდებოდით; მაგრამ თუ ჩვენ მოგვცემენ სისტემას, რომელსაც, რაზედაც ყველა თანახმაა, აქვს მთელი რიგი ნაკლისა და რომელიც ერთი წლის შემდეგ ჩვენ მაინც ხელახლა უნდა გადავაკეთოთ, ამ შემთხვევაში მე მგონია უფრო სწორი იქნება დავიტოვოთ ძველი სისტემა, და შევასწოროთ მისი უფრო თვალსაჩინო ნაკლები. მე ვფიქრობ,—ამბობს ამხ. ბრიუხანოვი,—რომ ცაკის სესიამ უნდა მიუთითოს უფრო მნიშვნელოვან შესწორებებზე, რაც შეეხება ცალკე უმნიშვნელო საკითხებს, კერძოთ რომელნიც ეხებიან ჩვენი კავშირის ზოგიერთ პატარა რაიონებს, ამ შესწორების განხილვა შეუძლია თვით ცაკის პრეზიდიუმს, რაც შეეხება იმ შესწორებას, რომელიც აქ შემოიტანა ყირგიზეთის წარმომადგენელმა, მე ვფიქრობ, რომ საჭიროა მისი აქ განხილვა. შესაძლებელია, რომ მომთაბარო რაიონების მიმართ ჩვენ მოგვიხდება საქონლის გადასახადის ნორმის შემცირება, მაგრამ წინდაწინვე კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განცხადება იმისა, რომ ჩვენ ყირგიზეთისათვის გადასახადის ნორმას ვამცირებთ 75 პროცენტით, იქნებოდა მეტად მოუფიქრებელი. დეე ეს ცაკმა გააკეთოს მაშინ, როდესაც ყირგიზელები შემოიტანენ თავის შესწორებას და შესძლებენ მის დაცვას.

დასასრულ ამხ. ბრიუხანოვი კითხულობს პროექტს დადგენილებისა 1925—26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ცაკის მიერ.

## კამათი ბრიუხანოვის რეზოლიუციის გამო

ამხ. საბურსკი ყირგიზეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების, უზბეკისტანის და სხვა ავტონომიურ რესპუბლიკების დეპუტატთა სახელით გამოდის დამატებებით ამხ. ბრიუხანოვის მიერ შემოტანილ რეზოლიუციისათვის. ის ამბობს, რომ ამ დამატებებს ეთანხმება მიწად-მოქმედების სახ. კომისარი ამხ. სმირნოვი და მოითხოვს მიღებულ იქნეს შესწორებები მომთაბარო და ნახევრად მომთაბარო ხალხთა მეურნეობის აღდგენის დიდი სიძნელის გამო.

ცაკის წევრთა მეორე ჯგუფის სახელით, გამოცხადებულ რეზოლიუციის ახალი დამატებებით გამოდის ამხ. შვაბი.

ამხ. ბრიუხანოვი ლაპარაკობს ორივე დამატებითი წინადადების წინააღმდეგ. ის ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის სესიამ არ უნდა მიიღოს არავითარი დეკლარაციები და შესწორებები ცალკე რაიონების შესახებ, ვინაიდან აქ ლაპარაკია მთელი კავშირის სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე. შესაძლოა ამხ. სამურსკი გართული იყვეს, შესაძლოა საჭირო გახდეს მომთაბარო და ნახევრად მომთაბარო რაიონების მეურნეობის აღრიცხვის დროს, გადასახადის მნიშვნელოვანად შემცირება, მაგრამ მტკიცება აქ იმისი, რომ საჭიროა 75 პროც. დაკლება, მე მგონია შეუსრულებელია, ვინაიდან აქ საქმეს უნდა დაწვრილებითი შესწავლა. დეე ეს საკითხი საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა გადასწყვიტოს.

სწორედ ასევე ამხ. ბრიუხანოვი წინააღმდეგია ამხ. შვაბის წინადადებისა. ამხ. ბრიუხანოვი ფიქრობს, რომ სრულებით არ არის აუცილებელი ამ სახელმძღვანელო დადგენილებაში წინდაწინვე აღინიშნოს, რომ ჩვენ ცალკე რაიონებისა და ცალკე გუბერნიების მიმართ ცაკის სესიის გადაწყვეტილებით გადავდივართ სას.-სამეურნეო გადასახადის დაწესების სხვა სისტემაზე. ცაკის სესიის მოწვევიდან—მოწვევამდე მთელი ძალაუფლება, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად ცაკის პრეზიდიუმის ხელშია. თუ პრეზიდიუმი დაინახავს, რომ ამა თუ იმ რაიონისთვის, ამა თუ იმ გუბერნიისთვის, ოლქისთვის, ავტონომიურ ან მოკავშირე რესპუბლიკისათვის, საჭიროა ესა თუ ის შესწორება, ამას ცაკის პრეზიდიუმი თითონვე გააკეთებს. ამ მუხლის საერთო რეზოლიუციაში შეტანა კი სრულებით არ არის საჭირო.

ამხ. ბრიუხანოვის გამოსვლის შემდეგ სესია მთლიანად შეუსწორებლად ღებულობს ამხ. ბრიუხანოვის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

# მისალმებები საკავშირო ცაკს*)

## პროფ. ჯავახიშვილის სიტყვა

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეში მდგომს, როგორც მას ოფიციალურ წარმომადგენელს, მე დავალებული მაქვს მივესალმო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კავშირის ცაკის სესიას და სახ. კომისართა საბჭოს, რომელთაც დასამტკიცებლად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს თანასწორუფლებიან წევრს რესპუბლიკების კავშირში, მორიგ სესიის ადგილად აირჩიეს საქართველოს დედაქალაქი—თბილისი. უნივერსიტეტის კოლეგია მოხარული იქნებოდა, თუ ამ უზენაეს კრების წევრებს დრო ექნებოდათ და დაათვალიერებდენ უნივერსიტეტის დაწესებულებებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც აქვს თავის დაარსების თარიღით 1918 წლის 26 იანვარი და არსებობს მხოლოდ 7 წლის ისტორია, რა თქმა უნდა არაფრით არ შეუძლია გააკვირვოს სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც უნახავთ და აქვთ უნივერსიტეტები მრავალ საუკუნიან ან მრავალწლიან წარსულით, როგორც დასავლეთ ევროპის ან რუსეთის უნივერსიტეტები ლენინგრადში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში, მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირში უზენაეს ხელისუფლების წარმომადგენელისათვის, შეიძლება ინტერესმოკლებული არ ყოფილიყო ენახათ მათ რა არის მიღწეული მეფის რეჟიმის 117 წლის პოლიტიკურ-ეროვნულ ჩაგვრის და ყოველგვარ საზოგადოებრივ თვითმოქმედების სასტიკად დევნის შემდეგ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ამ მოკლე ხნის განმავლობაში, მძიმე ფინანსიურ კრიზისის, დასავლეთ-ევროპის სამეცნიერო მსოფლიოსთან კავშირის უქონლობის დროს, უნივერსიტეტის მთელი პირადი შემადგენლობის მეცნიერებისა და ეროვნულ კულტურულ აღორძინების საქმისადმი უანგარო სიყვარულის და ერთგულების წყალობით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მთავრობის და სახალხო განათლების კომისარიატის ავტორიტეტულ ყოველმხრივ დახმარებით უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო-სასწავლო გეგმების განხორციელების საქმეში და მთელი ქართველი ხალხის სიყვარულით და პატივისცემით თავის უზენაეს მეცნიერების კერისადმი, რომელიც თავის სამოსწავლო მოღვაწეობაში ეყრდნობა გაეროვნებულ ყველა საფეხურის სკოლას.

საქართველოს და ქართველებს, რომელთაც აქვთ მრავალ საუკუნიანი კულტურული წარსული, მდიდარი, მეტად საინტერესო ისტორიული ხანებით და მომენტებით, მშვენიერი მრავალფეროვანი ლიტერატურით, რომელსაც თავის საგანძურში მოეპოვება ჩვენი ერის ჯერ კიდევ პირველ საუკუნის ნაწარმოებნი და გენიალურ შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება, არქიტექტურულ და სახუროთმო ხელოვნების საუცხოვო ძეგლებით, რომლებსაც ბედის უკუღმა ტრიალის წყალობით არა ერთხელ განუცდიათ მონობის უღელი და საშინელებანი,—კვლავ მიეცათ საშუალება სახელმწიფოებრივ და კულტურულ აღორძინებისა. და ამ მომენტიდან ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარდა თავის უშუალო ამოცანის სამსახურისა იღებდა, იღებს და ყოველთვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ აღმშენებლობაში ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ.

## გ. მაჟაშვილის ნიტყვა

საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა კულტურულ კავშირის, საქართველოს ხელოვნების სასახლის და ქართველ მწერალთა კავშირის სახელით ვესალმები საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3 სესიას, რომელსაც აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ყველა საკავშირო რესპუბლიკებისათვის საერთოდ და საქართველოსათვის, კერძოდ.

მე-3 სესიის თბილისში დანიშვნის ფაქტით ხაზგასმულია ის მთავარი აზრი, რომელიც შეადგენს საკავშირო კონსტიტუციის ქვაკუთხედს, რომ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა რესპუბლიკები სავსებით თანასწორი არან ერთმანეთს შორის და რომ საბჭოთა ხელისუფლების საკანონმდებლო მოღვაწეობა ერთნაირათ წარმატებით მიმდინარეობს როგორც კავშირის ცენტრიდან, ისე მის პერიფერიიდან.

საქართველო და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკები, რომლებიც ძლივძლივობით გადაურჩენ ცარიზმის უხეშ იმპერიალისტურ თავდასხმებს, სიამოვნებით და აღტაცებით ეგებებიან დღეს საბჭოთა ხელისუფლების ყოველ აქტს, რომელიც მიმართულია მათი კულტურულ და ეროვნულ თავისებურებათა დაცვისა და განმტკიცებისაკენ.

კავკასიის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო ადგილობრივ გაეცნობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ, საქართველოს ეროვნულ, კულტურულ და ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს და თავის მომავალ მუშაობას დაამყარებს უშუალოთ შესწავლილ ვრცელ მასალაზე, რომელიც მიიღო ამ რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობების ინტენსიურ მოქმედების შედეგად. არ შევეხები რა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობის სხვა მხარეებს, მე შევჩერდები მის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე, რომელიც არის გულმოდგინე და ნაყოფიერი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან; სასწავლებელთა რიცხვის პროგრესიული ზრდა, ხელოვნების ყველა დარგის წაქეზება, სახელმწიფო გამომცემლობის და სახელმწიფო კინო-მრეწველობის ენერგიული მოღვაწეობა და მრავალი სხვა,—ყველაფერი ეს წარმოადგენს უდიდეს მიღწევას, რომელიც შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს მეტი ფინანსიურ შესაძლებლობის დროს და საბჭოთა საქართველოს და აქტიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში მშრომელი ინტელიგენციის უფრო ფართოთ ჩაბმით.

ქართველი მწერლები და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები მტკიცეთ დაადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან სინდისიერ თანამშრომლობის გზას და თავის მხრივ იმედი აქვთ მზრუნველობის და ფრთხილ მოპყრობის ხელოვნების მოღვაწეთა სამხატრო შემოქმედების ყოველგვარ თავისებურებებისადმი.

ბოლოს ნება მიბოძეთ უსურვო საკავშირო ცაკის მე-3 სესიას წარმატება მძიმე საკანონმდებლო მუშაობაში მთელი კავშირის სასარგებლოთ.

## ამხ. ლადო სუხიშვილის სიტყვა

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს სახელით საბჭოთა კავშირის უზენაეს ორგანოს ესალმება ამხ. ლადო სუხიშვილი. ის აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტარიატი და გლეხობა 4 წლის განმავლობაში მედგრათ იცავდენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს. მენშევიკების „აჯანყებამ“, რომელიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის თანხებით იყო მოწყობილი, დაანახვა მთელს მსოფლიოს საქართველოს პროლეტარიატის ის ფოლადისებური ნებისყოფა, რომელიც ამსხვრევს მენშევიკების ყოველგვარ იმედებს. ჩვენ მენშევიკებს და მათ ბატონებს—ბურჟუაზიას ვეუბნებით: „ხელები შორს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ჩვენ არ გვინდა მათი დახმარება და მზრუნველობა“, ჩვენ ვცხოვრობთ და ვიზრდებით საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების საერთო ოჯახში.

თავის სიტყვის ბოლოს ამხ. სუხიშვილი მიესალმა ამხ. კალინინს.

## ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

ორატორი საბჭოთა კავშირის უზენაეს ორგანოს ესალმება საქართველოს 120,000 მუშა-მოსამსახურის სახელით. ის აღნიშნავს, რომ მხოლოდ რუსეთის მუშების დახმარებით შესძლო საქართველოს პროლეტარიატმა მენშევიკური უღლისაგან განთავისუფლება, და ეხლა თბილისელ მუშას მტკიცეთ უჭირავს ხელში მთელი საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ძმური სოლიდარობის დროშა.

თბილისის მუშები მხურვალეთ ესალმებიან საბჭოთა კავშირის ცაკის სესიას და დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა ხელისუფლების უზენაესი ორგანოს მუშაობა კიდევ უფრო განამტკიცებს მუშების და გლეხების მთლიანობას.

---

*) რედაქციისაგან. ჩვენ ვაქვეყნებთ ამხ. სუხიშვილის, პროფ. ჯავახიშვილის, გ მაჟაშვილის და ამხ. ყურულაშვილის სიტყვებს, რომლებიც თავის დროზე ტეხნიკური პირობების გამო ვერ დავბეჭდეთ თუმცა აწყობილი გვქონდა.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

# საკავშირო ცაკის სესიის დადგენილებები

## საბჭ. კავშირის 1924—25 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა კავშირის ცაკის სესიამ 7 მარტის საბოლოო სხდომაზე დაამტკიცა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი და სავალიუტო განაწერი 1924—25 საბიუჯეტო წლისათვის შემდეგი ცვლილებებით:

**შემოსავალში:** რადგან სახალხო მეურნეობის ზრდის გამო საგრძნობია შემოსავლის გაღება ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვასთან შედარებით, გადიდებული იქნეს: ა) სარეწაო გადასახადში თანხა, გამოანგარიშებული 77 მილიონ 500.000 მან.—6 მილიონი მანეთით, აქედან 5 მილიონი მანეთი არის დამატებითი გამათანაწორებული გადასახადი გზათა სახალხო კომისარიატიდან მისი შემოსავალის გადიდების გამო. ბ) აქციზებზე თანხა, გამოანგარიშებული 382 მილიონი 40 მილ. 500,000 მანეთით, გ) ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალში თანხა, გამოანგარიშებული 72 მილიონ 500,000 მან. 15 მილიონ 500,000 მანეთით, რადგან ტელეფონის ქსელის ცენტრალური სამმართველო გადაყვანილია სახელმწიფო ბიუჯეტზე და ტელეფონის შემოსავალი შეტანილია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში. დ) ტრანსპორტის შემოსავალში თანხა, გამოანგარიშებული 810 მილიონ მან.—40 მილიონით. ე) მეორე მომგებიანი სესხისგან მიღებულ შემოსავალში თანხა, გამოანგარიშებული 20 მილიონ მანეთი,—5 მილ. მანეთით, რადგან გამოირკვა, რომ ამ მუხლში შემოსავალი სჭარბობს სახარჯთაღრიცხვო ანგარიშს სესხის სავალდებულო დაბანდების შეწყვეტის დროს, რაც მოხდა მთავრობის დადგენილების თანახმად.

სულ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადიდებული იქნეს 107 მილიონი მანეთით.

**შემცირებული იქნეს:** ა) ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადში თანხა, გამოანგარიშებული 245 მილიონ მანეთით,—10 მილიონი მანეთით, შეტანილ იქნეს ბიუჯეტში 235 მილიონი მანეთი 1925—26 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის მოსალოდნელ შემსუბუქების გამო. ბ) საგლეხო სესხში თანხა, გამოანგარიშებული 50 მილიონ მან. 15 მილიონი მანეთით. გ) სარენტო შემოსავალში თანხა, გამოანგარიშებული 10 მილიონ 407,000 მან.,—800,000 მანეთით. ეს შემცირება გატარდეს უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტში.

**გასავალში:** რადგან სახელმწიფო ხაზინის რესურსებს ემჩნევა ზრდა და აუცილებელია სახელმწიფოს და პირველყოვლისა სასოფლო მეურნეობის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგი გაფართოება, საჭიროდ იქნეს ცნობილი შემდეგი გადიდება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში: 1) მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთა დახმარებისა და პირველყოვლისა დალუპულ საზამთრო ნათესების ხელახლა დათესვისათვის არსებულ ფონდში თანხა გამოანგარიშებული 50 მილ. 425,000 მან. გადიდებული იქნეს 8 მილიონით. ბ) სტიქიურ უბედურებებთან საბრძოლველად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკას მიეცეს 2 მილ. მანეთი, გ) სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად მიეცეს რ. ს. ფ. ს. რ. 500,000 მანეთი. დ) უკრაინის ს. ს. რესპ. თავისი საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მიეცეს 775,000 მანეთი, ე) თავის საჭიროებათათვის ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკას მიეცეს 825,000 მანეთი, ვ) კოოპერაციი საბრუნავ საშუალებების გასადიდებლად გრძელვადიანი სესხის სახით მიეცეს 8 მილ. მანეთი. ზ) გადიდებული იქნეს სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში თანხა. გამოანგარიშებული 407,247,000 მ., 5,600,000 მანეთით, თ) გადიდებული იქნეს განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვაში თანხა, გამოანგარიშებული 72,500,000 მან.,—15,000,000 მანეთით. ქ) გადიდებული იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში თანხა, გამოანგარიშებული 810 მილიონ მან.,—40 მილიონით.

ტრანსპორტის შემოსვლის 40 მილიონი მანეთით გადიდების გამო საჭიროთ იქნას ცნობილი რკინის გზის შეკეთების გასაძლიერებლად თანხების გადიდებასთან ერთად გადიდებული იქნას ტრანსპორტის, ლითონის მრეწველობის შეკვეთა და გაფართოებული იქნას გზათა სახ. კომისარიატის ასიგნოვკები გზატკეცილების მშენებლობისათვის.

სულ გადიდებული იქნას ბიუჯეტის გასავლის ნაწილი 81.200.000 მანეთით.

საბჭოთა კავშირის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ჯამი შემოსავალ-გასავალში შეტანილ ცვლილებების მიხედვით გახისაზღვროს 2.360.068.000 მანეთით და სახელმწიფოში შემოსავალ-გასავლის საერთო ჯამი სავალიუტო სიაში—80.014.528 მანეთით.

იღებს რა მხედველობაში, რომ სახალხო მეურნეობის ზრდისა და განმტკიცებასთან ერთად მოსალოდნელია შემოსავლის შემდეგი ზრდა, საკავშირო ცაკის სესიამ მოიწონა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება მეორე მომგებიანი სესხის ობლიგაციების იძულებით გავრცელების გაუქმების შესახებ.

საჭიროთ სთვლის რა შინა-მრეწველობის განვითარებას და შინა-მრეწველთა და სოფლის მჭედელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, სესიამ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს და მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების პრეზიდიუმებს ერთი თვის განმავლობაში გაატარონ სათანადო ღონისძიებანი მშრომელთა ამ კატეგორიისათვის საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლათ. გარდა ამისა მან წინადადება მისცა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს და მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების პრეზიდიუმებს გამოიმუშავონ ღონისძიებანი, რომელიც გლეხობას გაუადვილებს თავის მეურნეობის პროდუქციის გასაღებას ბაზარზე, რკინის გზის სადგურზე, ნავთსადგურებზე და სხვ.

ჩაის კულტურის განვითარების მიზნით ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, სესიამ მოიწონა საკავშირო ცაკის და საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება ადგილობრივ ჩაიზე სააქციზო გადასახადის გაუქმების შესახებ და მშრომელი გლეხობის მევენახეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სესიამ წინადადება მისცა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის განმავლობაში გადასინჯონ ღვინოზე სააქციზო გადასახადის განაკვეთი მისი მაქსიმალურად შემცირებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის გატარების დროს შემოსავალი გადააჭარბებს ნავარაუდევ თანხას, ზედმეტი ფული დაიხარჯოს შემდეგ საჭიროებისათვის: 1) მძიმე ინდუსტრიაზე (ლითონის მრეწველობა, საავიაციო მრეწველობა, ქვანახშირის მრეწველობა, ფერადი ლითონები), 2) მიწათმოწყობაზე, 3) გადასახლების საქმესთან დაკავშირებულ საჭიროებისათვის, 4) საბრუნავ საშულებათა გადიდებაზე, 5) სკოლების და საავადმყოფოების აღმშენებლობაზე, 6) საბინაო აღმშენებლობაზე, 7) სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემის გაუმჯობესებაზე, 8) გზათა (გზატკეცილების) მშენებლობაზე.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და ინტენსიფიკაციის მიზნით, სესიამ აუცილებლად დაინახა 1925—26 წლისათვის სასოფლო მეურნეობის გადასახადის რაოდენობის შემცირება.

შემდეგ აღნიშნულია, რომ საჭიროა სათემო (რაიონულ) ბიუჯეტის განვითარება და გამაგრება იმ მოსაზრებით, რომ თემს როგორც პირველ სამეურნეო ერთეულს, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფო ეკონომიკაში.

აღნიშნავს რა, რომ ფულის რეფორმის გატარებისა და ფასების დაკლების პოლიტიკის შედეგად მიღწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის გამაგრება მისი სიმტკიცის უზრუნველსაყოფად სესია აუცილებლად სთვლის მუშაობის განგრძობას და გაღრმავებას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და ზედნართი ხარჯების შესამცირებლად.

## 1925—1926 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დირექტივები

7 მარტს საბოლოო სხდომაზე საბჭოთა კავშირის ცაკის სესიამ, მიღებულ დადგენილებაში მისცა დირექტივები 1925—26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისათვის.

ამ დირექტივების თანახმად აღიარებული მიზანშეწონილად დაწყებული 1925—26 წლიდან:

1) გადასვლა მტკიცე წლიურ ბიუჯეტზე, რომელიც თავის დროზე უნდა იქნეს შედგენილი და უნდა შეუთანხმდეს ბიუჯეტთან დაკავშირებულ სამეურნეო წარმოებათა ყველა გეგმებს, დამტკიცებულს სამეურნეო წლის დაწყებამდე.

2) განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა იმას, რომ თავის დროზე იქნეს ცენტრში მიწოდებული სწორი ცნობები ბიუჯეტის შედგენის დასაწყისში სახელმწიფო გადასახადის აკრეფის შესახებ, და აგრეთვე იმას, რომ ყოველმხრივ და ზედმიწევნით იქნეს შემუშავებული და განხილული საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

3) ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მისი უზრუნველყოფა შემდეგი ცვლილების და შესწორებებისაგან, თუ ამას არ მოითხოვს სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრების განსაკუთრებული მდგომარეობა.

აღნიშნავს რა სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის მდგომარეობის მნიშვნელოვანად გაუმჯობესებას და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებათა განვითარებას, სესია იძლევა დირექტივებს, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის შემდეგი გაფართოება დამყარებული იქნეს უფრო მეტად, ვინემ აქამდის არასაგადასახადო შემოსავლის განვითარებაზე, მასში ჩარიცხვით სახელმწიფო წარმოებათა მოგების ანარიცხების და სხვ. სახელმწიფოს წინაშე დასმულ უდიდეს კულტურულ ამოცანათა გამო, სესიამ აუცილებლად სცნო სახელმწიფოს მატერიალურ საშუალებათა ზრდის მიხედვით 1925—26 წელში ხარჯების შემდეგი გადიდება მუშათა და გლეხთა კულტურულ საჭიროებისათვის.

მოცემულია აგრეთვე დირექტივა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სასოფლო-სამეურნეო სესხის შემდეგ გაფართოებას, ვინაიდან, სასოფლო მეურნეობა, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ფაქტორი, ჯერ კიდევ მოითხოვს დახმარებას სახელმწიფოს მხრივ.

## ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენების თანახმად ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ სესიამ დაადგინა:

მიღებულ იქნეს რა მხედველობაში სახალხო-მეურნეობის საერთო განვითარება, სახელმწიფო შემოსავლის ზრდა და შემდეგში საგლეხო მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა—მნიშვნელოვანად შემცირებულ იქნეს 1925—26 წლის გადასახადის სიმძიმე და გადასახადის ცხრილი შემუშავდეს იმ ანგარიშით, რომ მისი საერთო ჯამი ადგილობრივ ბიუჯეტის დამყარებასთან ერთად არ აღემატებოდეს 300 მილიონ მანეთს, 470 მილიონის მაგიერ, რომელიც ჰქონდა საფუძვლად დადებული მიმდინარე წლის განაკვეთს.

რათა შექმნილ იქნეს მტკიცე საფუძველი სათემო (სარაიონო) ბიუჯეტისათვის და მით დახმარება გაეწიოს თემის პოლიტიკურ და სამეურნეო გამაგრებას, სესიამ დაადგინა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხიდან 100 მილიონი მანეთი უშუალოდ გადაცემულ იქნეს სათემო ბიუჯეტისათვის.

ვინაიდან მიმდინარე წელს შინაურ საქონელზე დაწესებულ გადასახადის სიმძიმე ზოგიერთ რაიონებში მესაქონლეობის განვითარებას ხელს უშლიდა, სესიამ დაადგინა გადათვალიერებულ იქნეს ამჟამად მოქმედი საქონლის დაბეგვრის ნორმები, მათი შემცირების მიზნით საშუალოდ მთელს კავშირში ერთი მესამედით ეხლანდელ ნორმებთან შედარებით, და კერძოდ, დაწესებულ იქნას ცალკე რაიონებისათვის საქონლის სხვადასხვა კატეგორიაზე სხვადასხვა ნორმები, და აგრეთვე წარსული წლის გამოცდილების მიხედვით შეცვლილ იქნეს სათიბის სახნავ ადგილთან შეფარდების ნორმა იმ რაიონებში, რომლებშიაც ეს ნორმები ძლიერ მაღალი იყო.

რათა ყოველ გლეხს მიეცეს საშუალება წინდაწინვე გამოიანგარიშოს იმ გადასახადის რაოდენობა, რომელიც მან უნდა გადაიხადოს და მით შეტანილ იქნეს მეტი სიმტკიცე მის სამეურნეო ანგარიშში, სესიამ დაადგინა დაწესებულ იქნას საქონლის დაბეგვრის ნორმა და სათიბის სახნავ ადგილებთან შეფარდების ნორმა და გადასახადის განაკვეთი ამა თუ იმ რაიონის საშუალო მოსავლიანობის მიხედვით, გამოცხადდეს რა ასეთები გაზაფხულზე და დარჩეს მთელ საგადასახადო წლის განმავლობაში უცვლელი.

რათა ყოველმა გლეხმა წინდაწინვე სისწორით იცოდეს როდის და გადასახადის რომელი ნაწილი მან უნდა გადაიხადოს, სესიამ დაადგინა დაწესებულ იქნას გადასახადის ჩაბარების განსაზღვრული ვადა და დაევალოს ადგილობრივ ხელისუფლებას სასტიკათ დაიცვას კანონის მიერ განსაზღვრული და ფართოდ გამოცხადებული ვადები. ამას გარდა სესიამ დაადგინა ეხლანდელ დებულებებში ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეიტანოს აგრეთვე შესაძლებელი და აუცილებელი შესწორებები გადასახადის გამოანგარიშებისა და აკრეფის რაც შეიძლება უფრო გამარტივების მხრივ.

ამ დადგენილების მიხედვით, არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილის ბოლო რიცხვებისა, შემუშავებულ და გამოქვეყნებულ იქნეს ამ ჟამად მომქმედი ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ყველა ცვლილებაი.

## ამიერ-კავკასიის საბ. ფედ. სოც. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენების გამო

ცაკის მესამე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა ამიერ-კავკასიის საბ. ფედ. სოც. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ორახელაშვილის მოხსენება, იწონებს ამიერ - კავკასიის მთავრობის მუშაობას, რომელიც მიმართულია ერთა შორის მკვიდრო მშვიდობიანობის დამყარებისკენ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყველა ერ ბ ს მჭიდრო სამეურნეო თანამშრომლობისა და მათი ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

იღებს რა მხედველობაში, რომ მეფის მთავრობა თავისი პოლიტიკით განზრახ ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას ამიერ-კავკასიაში, რომელიც მდიდარია სხვადასხვაგვარი სამრეწველო ნედლეულით, რომ მან ამიერ-კავკასიის მოსახლეობა, რომელიც ისედაც განიცდიდა მიწის სივიწროესა, ჩააგდო მძიმე უმუშევრობის მდგომარეობაში, ცაკის მესამე სესია აღიარებს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის ასეთი მდგომარეობიდან ნამდვილ გამოსავალს წარმოადგენს ენერგიული მუშაობა, მიმართული ისეთი სამრეწველო დაწესებულებების შექმნისაკენ, რომლებიც ადგილობრივ დაამუშავებენ ამიერ-კავკასიის სამრეწველო ნედლეულს.

საბჭოთა კავშირის ცაკი აღიარებს რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანებს ამ დარგში შეადგენენ:

ადგილობრივ ბამბის, მატყლის და აბრეშუმის პარკის დამმუშავებელ ფაბრიკების მოწყობა (საფეიქრო ფაბრიკებისა განჯაში, ლენინაკანში, ქუთაისში, აბრეშუმის სახვევი, აბრეშუმის საგრეხი, აბრეშუმის საქსოვი ქარხნებისა საქართველოში და ნავთის ფაბრიკებისა აფხაზეთში და აზერბეიჯანში არსებულ ფაბრიკების გაუმჯობესება);

ბათომის ბიდონის ქარხნების აღდგინა და ამუშავება.

ზანგეზურის და ალავერდის სპილენძის ქარხნების ამუშავება.

ნავთის საწმენდი ქარხნების მოწყობა ბათომში;

ხე-ტყის დამუშავება ფართო მასშტაბით და პირველ ყოვლისა რკინის-გზების, ნავთის მრეწველობის და აგრეთვე-სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიას აუცილებლად მიაჩნია შავი ზღვის ნავთსადგურების, განსაკუთრებით ბათომის ნავთსადგურის მუშაობის გამოცოცხლება, ალიათჯულფის რკინისგზის დამთავრება, და აგრეთვე ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენის შემდეგი გაგრძელება და შავი ზღვის რკინისგზის დამთავრება.

აღნიშნავს რა, რომ ამიერ-კავკასიისათვის სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გზატკეცილებს, რომ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის და მეურნეობის მძიმე მდგომარეობა უმეტესად აიხსნება ცენტრალური მაგისტრალის უქონლობით, გზების ამცირით და ბევრი არსებული შარა-გზების გაფუჭებით, ცაკის მესამე სესიას საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შექმნილ მდგომარეობას.

რადგან ამიერ-კავკასიისა და მთელი საბჭოთა კავშირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის საქმეს ამიერ-კავკასიაში და რადგან ამიერ-კავკასიაში მოიპოვება ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მიწის დიდი მარაგი, მესამე სესია წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობას სერიოზული ყურადღება მიაქციოს ჩაის საქმის შემდეგ განვითარებას და ამ მიზნით მოაწყოს სააქციონერო საზოგადოებები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, მთელი ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის დაინტერესებული სამეურნეო ორგანიზაციები.

იმის გამო, რომ მევენახეობა განიცდის დიდ კრიზისს, საბჭოთა კავშირის ცაკის სესია აუცილებლათ სთვლის მაქსიმალურათ შემცირებული იქნეს აქციზი ნატურალურ ყურძნის ღვინოზე და ავალებს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს უახლოეს ვადაში გაატაროს სათანადო წესით ეს გადაწყვეტილება.

ამიერ-კავკასიის შინა-მრეწველობის მძიმე მდგომარეობის გამო, სესია აუცილებლად სთვლის გადასახადების სიმძიმის შემსუბუქებას შინა-მრეწველებისათვის.

უწევს რა ანგარიშს უჩვეულო სუსხიანი ზამთრის შედეგებს ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია ადგენს მიეცეს ამიერ-კავკასიის მთავრობას, გარდა იმ თანხისა, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტში, 2 მილ. მანეთი სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად სოფლის მეურნეობაში.

ამიერ-კავკასიის დაბალი ტეხნიკის მქონე სასოფლო მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, საბჭოთა კავშირის ცაკის სესია ადგენს გაძლიერებულ იქნეს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებები იმ მეურნეობათათვის კრედიტების მისაწოდებლად, რომლებიც აუმჯობესებენ მიწის დამუშავების ტეხნიკას და აშენებენ ძვირფას კულტურას.

ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობისათვის ასეთივე დახმარების მიზნით საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3-ე სესიას საჭიროდ მიაჩნია დახმარება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ისევე, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციას, რომლებიც დიდ დაბრკოლებებს განიცდიან მათ ახალ საფუძვლებზე ორგანიზაციულად გარდაქმნის გამო.

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია, აღნიშნავს რა მნიშვნელოვან მიღწევებს ამიერ-კავკასიის ერების ნაციონალური კულტურის აღდგენის და განვითარების დარგში, განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ქალთა მოსახლეობის ყველაზე ჩაგრული ნაწილის—თურქი ქალების მიღწევებს,—წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობას შეუსუსტებლად განაგრძნოს მუშაობა ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესია წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის მთავრობას განაგრძოს მუშაობა დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის სისტემატიური გაუმჯობესებისათვის და აქტიურ მუშაობაში, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობაში მუშების და გლეხების რაც შეიძლება უფრო ფართო მასების ჩაბმისათვის.

# ქალთა შორის უფლებრივი მოწესრიგება საბჭოთა რესპუბლიკებში

## ქალი უნდა ჩავაბათ წარმოებაში

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას საკითხი ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფართოდ ჩაბმის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტაზე დიდი ყურადღებაა მიქცეული. ყოველი ზომაა მიღებული იმისათვის, რომ ქალი განთავისუფლებული იქნეს ოჯახური მონობისაგან და ფაქტიურად შეიქნეს საზოგადოების სრულუფლებიან და აქტიურ წევრათ.

უფლებრივი მხრით საბჭოთა რესპუბლიკებში ქალი გათანასწორებულია მამაკაცთან. საბჭოთა კანონმა არ იცის განსხვავება მამაკაცისა და დედაკაცის შორის. ქალები ჩვენში პოლიტიკურათ სრულუფლებიანი არიან.

მაგრამ მიუხედავათ ქალების პოლიტიკურ სრულუფლებიანობისა, ჩვენში ქალები მეტად სუსტად არიან ჩაბმული საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ მუშაობაში. საზოგადო მოღვაწეებს შორის ქალების პროცენტი მეტად მცირეა. თუმცა ამ ბოლო ხანებში ზომების მთელი რიგი იქნა მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ქალების ჩაბმა საზოგადოებრივ მუშაობაში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდეს წინ.

რით აიხსნება ეს ან სად უნდა ვეძიოთ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები?

ამ მიზეზების გამოსარკვევად, საჭიროა, უპირველესად ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება დამყარებულია წარმოებაზე. წარმოებაა პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ბურჯი ჩვენი საზოგადოებრივი მუშაობისათვის მთელს ძალებს ჩვენ ვკრებთ წარმოებიდან. მწარმოებელი მუშები—აი რა არის საბჭოთა ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის მთავარი ელემენტი. ჩვენი მრავალმხრივი მუშაობის ვერც ერთი მხარე ვერ გატარდება ცხოვრებაში ისე, თუ არ იქნა დაყრდნობილი წარმოებაში ჩაბმულ მუშებზე.

ამ რიგად, თუ მივიღებთ იმ დებულებას, რომ ჩვენი მუშაობის ყველა სახეების მთავარ დასაყრდნობ ბურჯს ფაბრიკა-ქარხნების მუშები წარმოადგენენ, მაშინ ნათელი შეიქნება აგრეთვე ის მიზეზიც, რომლის გამოც ქალები ასე ნაკლებად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ სამუშაოში.

წარმოებაში ქალები ცოტაა, რის გამოც საზოგადოებრივ სამუშაოებზედაც ისინი ცოტანი არიან. აქ უკვე პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს: წარმოებაში არსებულ ქალთა რიცხვზე იქნება ყოველთვის დამოკიდებული მათი რიცხვი საზოგადო ასპარეზზე. რაც უფრო მეტი ქალი გვეყოლება წარმოებაში მით უფრო მეტი ქალი იქნება ჩაბმული საბჭოში, პროფესიონალურ, პარტიულ და სხვაგვარ მუშაობაში.

ზემოთ ნათქვამიდან მხოლოდ ერთად-ერთი დასკვა უნდა გამოვიყვანოთ, სახელდობრ ის, **რომ ქალთა საკითხის გადაწყვეტაში მთავარ პუნქტათ ქალთა შრომის პრობლემა უნდა ჩაითვალოს.**

რამდენადაც წარმატებით და ნაყოფიერად იქნება გადაწყვეტილი ეს უკანასკნელი, იმდენადაც გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ ქალთა საკითხი.

რა უნდა მოჰყვეს ქალების ჩაბმას წარმოებაში? მას აუცილებლად მოჰყვება ქალის სრული განთავისუფლება ოჯახური მონობისაგან, ის აღარ იქნება ეკონომიურად დამოკიდებული მამაკაცისაგან, განთავისუფლება აგრეთვე ყოველ დღე საჭმლის კეთებისაგან, სარეცხისაგან და სხვა ასეთი, თუმცა გარეგნულად წვრილმაგრამ მძიმე და მეტად დამღლელი საოჯახო. მუშაობისაგან. ამ ჟამად ჩვენი ქალები წარმოადგენენ მზარეულებს, მრეცხავებს და სხვ. როგორ შეუძლიათ მათ ამის შემდეგ კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მიიღონ მონაწილეობა. ისინი მაგრათ არიან მიჯაჭვული თავიანთ კერაზე და საოჯახო საქმეებთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მონაწილეობის მიღებისათვის არ შესწევთ დრო და ძალა.

მათი ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ისინი წარმოებაში იქნებიან ჩაბმული. რომ ეს მართალია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. საკმარისია მაგალითისათვის ავიღოთ ის ოჯახები, სადაც ქმარიც და ცოლიც სახლის გარეთ მუშაობენ. ასეთ ოჯახებში თქვენ ველარ ნახავთ ქალს (ცოლს) მზარეულის, მრეცხავის ან გამზრდელის როლში. აქ უკვე ოჯახი აღარ წარმოადგენს წვრილ სამეურნეო ერთეულს.

ძველი ოჯახის, როგორც წვრილი სამეურნეო ერთეულის, დაშლა, საკმაოდ გარკვეულ ფორმებს ღებულობს. ოჯახის ძველი ფორმებიდან ახალზე გადასვლის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივი და მასთან მტკივნეულიც იქნება. ჩვენ არ უნდა შევუშალოთ ხელი ძველი ოჯახის დაშლას, პირიქით, უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება შევამოკლოთ გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა და დაშლის პროცესიც ნაკლებად მტკივნეული გავხადოთ.

ზევით ვსთქვით, რომ ქალთა საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია ქალების ჩაბმაზე წარმოებაში. ამიტომ მთავარი ყურადღება ქალების შრომაზე უნდა იქნეს მიქცეული, ქალთა შრომის სათანადო მოწესრიგება უნდა გახდეს ჩვენს პრაქტიკულ ამოცანად საერთოდ ქალთა საკითხის გადაწყვეტის საქმეში.

აქ შევეცდებით გავარკვიოთ შრომის მოწესრიგების პრაქტიკა საბჭოთა რესპუბლიკებში.

### ქალთა შრომის უფლებრივი მოწესრიგება

ქალთა შრომის უფლებრივი მოწესრიგების დარგში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა რესპუბლიკებში დიდ მიღწევებს აქვთ ადგილი. არსად ისე კარგად არ არის დაცული ქალების შრომა, როგორც ჩვენში.

ქალთა შრომის დაცვა ჩვენს რესპუბლიკებში წესრიგდება შრომის საერთო ნორმებით, ე. ი. ქალებზე ვრცელდება ყველა კანონები, რომლებიც იცავენ მამაკაცთა შრომას და, გარდა ამისა, კიდევ ქალთათვის შექმნილია სპეციალური კანონები, რომლებიც აწესრიგებენ მათ შრომას.

რით არის გამოწვეული ქალთა შრომის სპეციალურად მოწესრიგება?

ქალის ორგანიზმის ფიზიკური აგებულობით. ქალის ფიზიკური ძალა უფრო ნაკლებია, ვიდრე მამაკაცის. ის უფრო მეტად განიცდის შრომის მავნე პირობებს, ვიდრე მამაკაცი.

ამის გარდა, კიდევ ორსულობის ან მშობიარობის და ბავშვის კვების დროს ქალის ორგანიზმი საგრძნობად სუსტდება ნორმალურ მდგომარეობასთან შედარებით. ყოველივე ეს საჭიროდ ჰქმნის ქალის შრომის უფრო ფრთხილად გამოყენებას და ამით აიხსნება სწორედ, რომ ქალებისათვის, გარდა შრომის საერთო ნორმებისა, არსებობს კიდევ თავისი სპეციფიური ნორმები. ქალები სარგებლობენ კანონის განსაკუთრებული მფარველობით. ქვემოდ ჩვენ დაწვრილებით გავარჩევთ იმ დებულებებს, რომელნიც მხოლოდ ქალთა შრომას შეეხებიან.

### ქალთა შრომა მძიმე და მავნე სამუშაოებზე

განსაკუთრებით მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებაში ქალის მუშაობა უარყოფით გავლენას ახდენს მის სუსტ ორგანიზმზე. ამიტომ შრომის კანონთა კოდექსში სპეციალურად არის ნათქვამი: „აკრძალულია ქალთა და 18 წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება განსაკუთრებით მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში და მიწის ქვეშ სამუშაოებზე“.

საბჭოთა შრომის კანონებით არამც თუ აკრძალულია ქალთა შრომის გამოყენება და მძიმე და ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოებზე, არამედ აგრეთვე განსაზღვრულია სიმძიმეთა გადატანის ნორმებიც.

არსებობს შრომის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება, სადაც დაწვრილებით არის გათვალისწინებული სიმძიმეთა გადატანის ნორმები ქალებისათვის და მოზარდთათვის.

დაწესებული ნორმების ზევით, სიმძიმეთა გადატანა ქალების მიერ ყოველ მიზეზების გარეშე აკრძალულია და კანონის დარღვევათ ითვლება

### სამუშაო დრო და ქალთა შრომა

როგორც ცნობილია, ნორმალური დრო საბჭოთა რესპუბლიკებში რვა საათით განისაზღვრება.

მშრომელთა ზოგიერთ კატეგორიებისათვის, რომელნიც მავნე სამუშაოში არიან ჩაბმული, შემოკლებული სამუშაო დღეა დაწესებული. გარდა ამისა, გონებრივი და საკანტორო შრომის პირთათვის დაწესებულია 6 საათიანი სამუშაო დღე.

ქალთა შრომა სავსებით ექვემდებარება სამუშაო დროის საერთო მოწესრიგებას და ქალთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა ისეთივეა, როგორც მამაკაცების.

**ქალების მუშაობა ღამით და ზედმეტ საათებში.** რაც შეეხება ღამით მუშაობას, ამ მხრივ ქალები ცალკე არიან გამოყოფილი. ქალების ღამით მუშაობა საერთო წესით აკრძალულია. შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, დასაშვებად იქნა მიჩნეული ღამით მუშაობა მოზრდილი ქალებისათვის მხოლოდ იმ წარმოებებში, სადაც ეს გამოწვეული იქნება აუცილებლობით. ასე, მაგალითად, ქალების ღამით მუშაობა დაშვებული იქნება ტელეგრაფზე, ტელეფონზე და აგრეთვე ტრანსპორტზე, ზოგიერთ პროფესიისათვის. კატეგორიულად უკრძალავს კანონი აგრეთვე ღამით და ზედმეტ მუშაობას ფეხმძიმე და ძუძუთ-მაწოვარ ქალებს. ქალების ამ კატეგორიისათვის ღამით და ზედმეტ საათებში მუშაობის აკრძალვას მიზნად აქვს დედობის დაცვა და ამიტომ ის მტკიცედ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

**ძუძუთ-მაწოვარი ქალების მუშაობის ნახევარი საათით შეწყვეტა.** ძუძუთ-მწოვარი მუშა-ქალები, საერთო დასვენებების გარდა, სარგებლობენ დამატებითი შესვენებით. ეს შესვენება უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ სახევარი საათისა, ყოველ დამატებითი შესვენების საათები ჩაითვლება სამუშაო დროის რიცხვში., ასე, მაგალითად, რვა საათიან სამუშაო დღეში ორი შესვენება ძუძუს მოსაწოვებლად მუშა-ქალს ჩაეთვლება სამუშაო დროში ამგვარად მივიღებთ, რომ ძუძუ მაწოვებელი ქალი მუშაობს რვა საათს კი არა, არამედ 7 საათს. ეს, რასაკვირველია, არ შეამცირებს მის დღიურ გასამრჯელოს, სამუშაო ხელფასი ამ შემთხვევაში იგივე რჩება რაც ნორმალურ სამუშაო დღისათვის.

**ქალების შვებულება.** საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ყოველ მუშა-მოსამსახურეს ანიჭებს წელიწადში ერთხელ შვებულების მიღების უფლებას, დასასვენებლად, ვადით არა ნაკლებ ორი კვირისა. ასეთივე უფლებო აქვს ყველა მუშა-ქალებს.

**შვებულება ფეხმძიმეობის გამო.** მაგრამ მორიგი ყოველწლიურ შვებულების გარდა შრომის კანონმდებლობა აწესებს ქალებისათვის აგრეთვე შვებულებას დედებისა ფეხმძიმეების გამო, შრომის კანონთა კოდექსში არის სათანადო ადგილი, სადაც ნათქვამია: „ფიზიკური შრომით მომუშავე ქალები თავისუფლდებიან 8 კვირით მშობიარობამდე და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ, ხოლო საკანტორო და გონებრივი შრომით მომუშავენი —6 კვირით მშობიარობის წინ და 6 კვირით მშობიარობის შემდეგ.

გონებრივათ მომუშავე ქალების ზოგიერთი კატეგორია მათი მუშაობის ხასიათის გამო, გათანასწორებული არიან ფიზიკური შრომის პირობებთან და ფეხმძიმობის გამო შვებულებაც მათ ეძლევათ 8 კვირით მშობიარობის წინ და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ.

**ეძლევათ თუ არა ქალებს ხელფასი ფეხმძიმობის გამო შვებულებაში ყოფნის დროისთვის.** ქალები აღებენ დამზღვევ კასიდან თავის ფაქტიურ ხელფასს (ე. ი. იმავე ხელფასს, რასაც მუშაობის დროს იღებდენ) ფეხმძიმეობის გამო შვებულებაში ყოფნის დროს თვით წარმოება არაფერს იხდის ხელფასს დამზღვევი კასა იძლევა და ამ რიგით ქალები უზრუნველყოფილი არიან შვებულების დროს კუთვნილი ხელფასის მიღებაში. ამაზე უარს მათ ვერავინ ეტყვის.

**ვინ არკვევს იმას, თუ როდის უნდა წავიდეს ფეხმძიმე ქალი შვებულებაში.** ამას არკვევს დამზღვევი კასის ექიმი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ექიმი შეცდება ხოლმე და აძლევს ქალს შვებულებას უფრო ადრე, ვიდრე 8 კვირით მშობიარობის წინ. ასეთ შემთხვევაში მუშა-ქალს არაფერი გამოეკლება ზედმეტი შვებულებისათვის. ასე, მაგალითად, თუ ექიმი შიცდა და მუშა ქალი გაუშვა შვებულებაში არა 8 კვირით, არამედ 9 კვირით წინ მშობიარობამდის, ამ ქალს არ შეიძლება ამის გამო შეუმოკლდეს მშობიარობის შემდეგ 8 კვირის შვებულება. ის ამ შვებულებით სრულად სარგებლობს. ზედმეტი შვებულებისათვის მას აგრეთვე არც იმ დახმარებიდან გამოეკლება, რომელსაც ღებულობს მუშა-ქალი მშობიარობის ან დედობის გამო შვებულებაში ყოფნის დროს.

**შვებულება ფეხმძიმობის გამო და მორიგი შვებულება.** ჰკარგავს თუ არა უფლებას მორიგ ყოველ-წლიურ შვებულებაზე, ის მუშა-ქალი, რომელიც იყო შვებულებაში 8 კვირით მშობიარობის წინ და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ? არა, არ ჰკარგავს. მორიგი შვებულება მას ეძლევა იმის მიუხედავად, იყო ის ფეხმძიმობის გამო შვებულებაში თუ არა. მაგალითად, 16 კვირეულ შვებულებიდან დაბრუნებულ მუშა-ქალს შეუძლია მიიღოს მორიგი შვებულება, თუ ერგება. უფრო ხშირად ისე ხდება, რომ ფეხმძიმობის გამო შვებულებას უერთებენ მორიგს და ერთად სარგებლობენ ორივეთი, მორიგ შვებულებისათვის ხელფასს წარმოება-დაწესებულება იძლევა.

### ქალთა შრომის დაჯილდოვება

ქალთა შრომისათვის ჯილდოს გაცემა საბჭოთა რესპუბლიკებში იმავე საფუძველზე აშენებული, როგორც მამაკაცთა შრომის ჯილდოს გაცემა. არავითარი გამონაკლისი ქალების მიმართ ამ შემთხვევაში არ არსებობს. ლოზუნგი—თანაბარი შრომისათვის—თანაბარი ჯილდო ჩვენში სრულად ტარდება. სხვა ქვეყნებში კი ქალების შრომა უფრო ნაკლებად ფასობს, ვიდრე მამაკაცებისა, იმ შემთხვევაშიაც, როცა ორივე ერთნაირი კვალიფიკაციისა არიან ჩვენში კი ერთისა და იმავე კვალიფიკაციის მამაკაცი და დედაკაცი ერთნაირ ხარისხით იღებენ შრომის ხელფასს.

თანაბარი შრომისათვის თანაბარი ჯილდოს გაცემის პრინციპი ჩვენს რესპუბლიკებში ყველგან ტარდება, და ამ მხრივ ჩვენ ძლიერ გაუსწარით წინ ეგრეთ წოდებულ „მოწინავე ქვეყნებს“.

რა მდგომარეობაში იმყოფება ეხლა მუშა-ქალების შრომა გასამრჯელოს მიცემის მხრივ?

საერთოდ არ შეიძლება ითქვას, რომ მუშები დღეს საკმარისს ხელფასს იღებდენ, არავის არ მიაჩნია სადავოდ, რომ ჩვენში ამჟამად შრომის ხელფასი სრულიად ვერ უზრუნველყოფს მუშას. ის მცირეა, მაგრამ თუ ეხლანდელ ხელფასს შევადარებთ გასულ წლების ხელფასთან, ჩვენ დავინახავთ რომ ის თანდათან იზრდება. ეს ზრდა ყოველწლიურად საგრძნობელი ხდება. შემდეგში ხელფასის ზრდა უფრო ჩქარი ტემპით წავა. ხელფასის ზრდის სისწრაფე დამოკიდებულია ჩვენ შესაძლებლობაზე, ეს უკანასკნელი კი შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე.

რაც მცირე არ იყოს ახლა ხელფასი ყველა მუშების და მათ შორის მუშა-ქალების, ის მაინც რამოდენიმეჯერ მეტია, ვიდრე მენშევიკების დროის ხელფასი. ახლა მუშა-ქალი იღებს 300—400 პროცენტით მეტს, ვიდრე ის იღებდა მენშევიკების დროს.

### მუშა-ქალების დათხოვნის წესი

საბჭოთა შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც ყოველ მხრივ იცავს მშრომელის ინტერესებს, დაწვრილებით ითვალისწინებს დამქირავებლის მიერ დაქირავებულის დათხოვნის მიზეზებს. დათხოვნის შემთხვევების სისწრაფით განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ის განსაზღვრულს და ვიწრო ჩარჩოებში აყენებს დამქირავებელს (როგორც სახელმწიფოსას, ისე კერძოსაც) დათხოვნის საკითხების მხრივ.

შრომის კანონთა კოდექსში ნაჩვენებ შემთხვევების გარეშე დათხოვნა აკრძალულია, ითვლება უკანონოდ და ისჯება კიდეც, როგორც სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ბოროტმოქმედება. მუშა-ქალს კანონი სავსებით იცავს უკანონო დათხოვნისაგან. კანონით გათვალისწინებულ მიზეზების გარეშე ქალის დათხოვნის ყოველივე ცდა სასტიკ წინააღმდეგობას იპოვის ყოველთვის და ყველგან ჩვენ ში.

პრაქტიკაში ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით ფეხმძიმობის დროს ქალის უკანონო დათხოვნას, ამიტომ შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც „ფეხმძიმე ქალების დათხოვნა შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და თვითეულ შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს ნებართვა შრომის ინსპექტორიდან“.

პრაქტიკაში ჩვენ კიდევ ერთ არა სასურველ მოვლენას ვხედებით. პროფკავშირების წარმომადგენლები, უმუშევრობის შენელების მიზნით, ხშირად ცდილობენ ჩაატარონ გათხოვილი ქალების სამუშაოდან მოხსნის კამპანია. ამ საკითხის შესახებ გამოცემულია უმაღლეს პროფორგანიზაციების დირექტივა, რომელიც უარყოფით ხვდება „უმუშევრობის შენელების“ ასეთ ღონისძიებებს.

ქალების ეკონომიურად განთავისუფლების თვალსაზრისით ქმრიანი ქალების სამუშაოდან მოხსნა წარმო-

# რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

## საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

**ამხ. კრასინი ლიონის ბაზრობაზე**

**პარიზი** 8 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში—კრასინი ჩამოვიდა ლიონის ბაზრობაზე დასასწრებლად, იმავე მატარებლით ბაზრობაზე ჩამოვიდა ერრიო.

**ერრიომ მოინახულა საბჭოთა პავილიონი.**

**პარიზი**, 8 მარტი ერრიომ ინახულა ლიონის ბაზრობა. ბაზრობის დათვალიერება მან დაიწყო საბჭოთა პავილიონიდან, სადაც მას მიესალმა კრასინი და მისცა მას გამოფენილ ექსპონატების შესახებ ახსნა-განმარტება. ერრიომ მიულოცა კრასინს და გამოთქვა თავისი განცვიფრება ექსპონატების სიმდიდრისა და საბჭოთა პავილიონის მოწყობის გამო.

**საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობის დასაწყისი**

**ლიონი**, 8 მარტი. საბჭოთა პავილიონის დათვალიერების შემდეგ ერრიომ „როსტას“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: „**მე ძლიერ კმაყოფილი ვარ იმით, რომ მოიწვიეს საბჭოთა კავშირი ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებად. იმედი მაქვს, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ბაზრობაში იქნება დასაწყისი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ეკონომიურ და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისა.**

## რა ხდება ოსმალეთში

**სტამბოლი**. 8 მარტი. ოსმალეთის მთავრობამ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად დახურა შემდეგი გაზეთები: კლერიკალური გამოცემები „ტეფჰიდ ეფკიარი“ და, „სებილია ტიშადი“, ახალგაზრდა თურქული ორიენტაციის ორგანოები „ისტიკბალი“ და „სონ ტელეგრაფი“ და „აიდანუიკ“, „ოქა“ და „ჩეკიჩი“.

**არავითარი ცვლილება.**

**ანგორა**. 8 მარტი. ოსმალეთის ოფიციალური ცნობა უკანასკნელ, ორი დღის განმავლობაში აჯანყებულ რაიონში არავითარ სერიოზულ ცვლილებებს არ აღნიშნავს.

**ქემალ-ფაშას მოწოდება.**

**ანგორა**. 8 მარტი. ქემალ-ფაშამ მიმართა მოწოდებით ოსმალეთის მოსახლეობას, ოსმალეთის არმიას და მოსამსახურეებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ აჯანყებულებს, რომლებიც თავს აფარებენ სარწმუნოებას, ამოქმედებთ კონტრ-რევოლიუციონური მიზნები. მოწოდება აღნიშნავს, რომ აჯანყებამ ხელი შეუშალა მშვიდობიან მუშაობას და ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას. მეჯლისი და მთავრობა ღებულობენ საჭირო ზომებს. მოსახლეობა, არმია, ადმინისტრატიული ორგანოები, პოლიცია და ჟანდარმერია უნდა გაიმსჭვალონ თავიანთი მოვალეობის შეგნებით და უნდა დაეხმარონ მთავრობას, უნდა შეასრულონ მთავრობის ბრძანებანი და განკარგულებანი, რომლებიც მიმართულია აჯანყების ჩაქრობისაკენ.

## ჩინეთის ამბები

**რეაქციონერებს სუნ-იატ-სენი ხელს უშლის.**

**პეკინი**. 8 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ჩინეთის სამი აღმოსავლეთის პროვინციის (მანჯურია) გენერალ-გუბერნატორმა ჩან-ძო-ლინმა განაცხადა: თუმცა სუნ-იატ-სენი მეტად პატიოსანი კაცია და მას არასოდეს არ შეუწყვეტია მუშაობა ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩრდილოეთისა და სამხრეთ-ჩინეთის გაერთიანების საქმე დაჩქარდება იმისი სიკვდილით. სანამ გომინდანი იარსებებს, მანამ ოცნების სფეროში დარჩება ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანება. გომინდანი—მეტად მავნე ორგანიზაციაა, რომელიც სუნ-იატ-სენის სიკვდილის შემდეგ, ალბათ დაიშლება.

შემდეგ ჩან-ძო-ლინმა უარყო ხმები, თითქოს ის ილტვოდეს პრეზიდენტობისაკენ.

**უ-ჩან-სინის გადადგომა**

**პეკინი**. 8 მარტი. სამხედრო მინისტრი გენერალი უ-ჩან-სინი გადადგა, რასაც ხსნიან მუკდენთან მომხდარ უთანხმოებით.

**შესაძლებელია ჩან-ძო-ლინისა და ფინ-იუ-სიანის ჩარევა.**

**პეკინი**. 8 მარტი. პროვინციაში გრძელდება სამხედრო მოქმედებანი. „ფარ-ისტერნ ტაიმსის“ სიტყვით, თუ ომი კვლავ გაგრძელდა, შესაძლებელია ჩან-ძო-ლინისა და ფინ-იუ-სიანის ჩარევა.

**ზარალის „ანაზღაურება“.**

**პეკინი**. 8 მარტი. ჩინეთის მთავრობამ უცხოეთის სხვადასხვა საელჩოებს გადაუხადა 400.000 დოლარი იმ ზარალის ანგარიშში, რომელნიც წარუდგინეს მას ლინჩის ინციდენტისთვის (1923 წელს ხუნხუზები თავს დაესხენ მატარებელს, რომელშიაც იყვენ უცხოეთის ქვეშევრდომები).

**სუნ-იატ-სენის გზით.**

**პეკინი**. 8 მარტი. 6 მარტს გამოვიდა გომინდანის მემარცხენე ფრთის ახალი ორგანოს „პეკინ მინკუს სინბას“-ის პირველი ნომერი. მოწინავე წერილში ნათქვამია, რომ გაზეთის პოლიტიკური პროგრამა მდგომარეობს სუნ-იატ-სენის პრინციპების გავრცელებაში ჩრდილოეთ ჩინეთის მოსახლეობის შორის. **მოწინავეში აღნიშნულია, რომ იმპერიალიზმი არის მთავარი ძალა, რომელიც ხელს უშლის ჩაბადი დამოუკიდებელი ჩინეთის შექმნას.** დასასრულ წერილი მოუწოდებს ხალხის მასებს გაერთიანდნენ გომინდანის გარშემო მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

## მზადება პრეზიდენტის არჩევნებისათვის გერმანიაში

**სიმენსი—დიუტერის მოადგილე**

**ბერლინი**. 8 მარტი. გერმანიის რეიხსტაგის უხუცესთა თათბირზე ყველა პარტიის ბელადი, კომუნისტებისა და ტევტონელების გარდა, მივიდენ შეთანხმებამდის საიმპერიო სასამართლოს თავმჯდომარის სიმენსის გერმანიის პრეზიდენტის მოადგილედ დანიშვნის შესახებ, ლიუტერის მაგიერ.

სიმენსი ახლო სდგას მემარჯვენე დემოკრატებთან. ის იყო საგარეო საქმეთა მინისტრად ფრეიბახის კაბინეტში და გადადგა ლონდონის ულტიმატუმის შემდეგ.

**კომუნისტური გაზეთების აკრძალვა**

**ბერლინი**. 8 მარტი. „როტე ფანე“ აკრძალვის შემდეგ, მთავრობის განკარგულებით ორი კვირით აკრძალულია კომუნისტური ორგანოები ჰანოვერში, ბრესლავში და ჰამბურგში იმის გამო, რომ მათ გადაბეჭდეს კომპარტიის მოწოდება ებერტის დაკრძალვის შესახებ.

**კანდიდატები**

**ბერლინი**. 8 მარტი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკამ ერთხმად დაადგინა წამოაყენოს კანდიდატათ პრეზიდენტის პოსტზე ოტტო ბრაუნი.

გერმანიის ნაციონალისტთა პარტიამ და აგრეთვე იმ ორგანიზაციებმა და კავშირებმა, რომელნიც მათ ეხმარებიან, დაადგინეს წამოაყენონ საერთო კანდიდატი, რომლის ვინაობასაც ჯერ საიდუმლოთ ინახავენ. უკიდურეს პარტიებს განზრახული აქვთ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება მათ მიერ ამ კანდიდატურისათვის მხარის დაჭერის შესაძლებლობის შესახებ.

## გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესი

**ლეიპციგი**, 8 მარტი. მარტის 7 სხდომაზე, კენიგისა და დინერის დაკითხვის დროს, ორივე ჯაშუშმა დაუწყეს ერთმანეთს კამათი და ერთი მეორეს დასდეს ბრალი. დამცველთა შეკითხვებზე დინერი აცხადებს, რომ მთელ მის მოღვაწეობას ტერორისტულ ჯგუფში ერთად ერთი მიზანი ჰქონდა—„სახელმწიფოს ინტერესების გულისათვის“ ხელი შეეშალა ტერორისტულ ჯგუფისათვის შეესრულება თავისი განზრახვები და ეს ჯგუფი გადაეცა პოლიციას ხელში.

დამცველები ამტკიცებენ, რომ **დინერის ბინაზე გაყვანილ ტელეფონის ფასს ყოველთვიურად იხდიდა პოლიცია ვიღაც ქალის საშუალებით**. პროკურორის განცხადებაზე, რომ ამ საკითხს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, დამცველები ხაზს უსვამენ ამ ფაქტის დიდ იურიდიულ მნიშვნელობას, ვინაიდან თუ დამტკიცდა, რომ დინერი ჯერ კიდევ 1923 წელში იყო პროვოკატორი, მაშინ შტუტგარდტის მზადებანი მკვლელობისათვის არ დაისჯება, ვინაიდან ამ მკვლელობათა ასრულება არ იყო განზრახული.

## პოლონელ მემამულეების შიში

**დემონსტრაცია პოლონეთის სეიმში.**

**ვარშავა**, მარტის 7. მოკავშირეებსა და გერმანიის შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის გამო პოლონეთის სეიმში გაიმართა დემონსტრაცია პოლონეთის საზღვრების შესახებ საკითხის აღძვრის წინააღმდეგ. წაკითხულ იქნა შეკითხვა მთავრობის მიმართ, რომელსაც ხელს აწერდა ყველა პარტია, გარდა კომუნისტებისა, უკრაინელებისა, ბელორუსებისა, გერმანელებისა და დამოუკიდებელ გლეხთა პარტიისა,—გერმანიის განზრახვის გამო დაარღვიოს ვალდებულება პოლონეთ-გერმანიის საზღვრების შესახებ. გრაბსკიმ საპასუხოდ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია და მეტად პატრიოტულ სიტყვის შემდეგ სთქვა, რომ ყოველგვარ ცდას ტერიტორიალურ დადგენილებათა დარღვევისა, რომელიც დამტკიცებულია ხელშეკრულებებით, პოლონეთის მთავრობის მხრივ შეხვდება სასტიკი წინააღმდეგობა, რომელსაც მხარს დაუჭერენ აგრეთვე პოლონეთის ყველა მოკავშირენი.

**საფრანგეთის პრესა პოლონეთის საკითხის შესახებ.**

**პარიზი**, მარტის 7. ბურჟუაზიული პრესა თანაგრძნობით შეხვდა იმ თეზისებს, რომელსაც იცავდა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშინსკი პარიზში პოლონეთის სრული ხელშეუხებლობის აუცილებლობის შესახებ.

პრესსა ფიქრობს: საფრანგეთს არ შეუძლია დაუშვას, რომ გერმანიას პოლონეთის საზარალოდ რაიმე დაეთმოს, რაც დაარღვევდა ვერსალის ხელშეკრულებას და დამღუპველად იმოქმედებდა ევროპის მომავალ ბედ-იღბალზე. ამ გაზეთების აზრით ცხადია, რომ საფრანგეთის ინტერესები მოითხოვს პოლონეთისათვის მხარის დაჭერას.

პირიქით, კომპარტიის ორგანო „იუმანიტე“ აცხადებს: „**როგორ შეიძლება დავიჯეროთ გულწრფელობა სკშინსკისა, რომელიც მოითხოვს ხელშეკრულებათა ხელშეუხებლობას, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ პოლონეთში არის 35 პროც. არა პოლონელი, რომელთა მდგომარეობაც მოგვაგონებს პოლონელთა მდგომარეობას რუსეთში თვითმპყრობელობის დროს**“.

## ჩემბერლენი პარიზში

**ჩემბერლენი დუმერგთან.**

**პარიზი**. 7 მარტი. დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო ჩემბერლენი. შემდეგ მის საპატივცემოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოაწყვეს საუზმე, რომელსაც დაესწრნენ—ერრიო, ბრიანი და მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩები. ოფიციალურ ცნობის თანახმად ჩემბერლენსა და ერრიოს დღისით ორჯერ ჰქონდათ თათბირი.

**ერრიოს საუბარი ჩემბერლენთან**

**პარიზი**. 8 მარტი. ჰავასის სააგენტოს დიპლომატიური კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩემბერლენმა ერრიოსთან საუბრის დროს დაამოწმა თავისი განცხადება, რომელიც მან გააკეთა თემთა პალატაში ჟენევის ოქმის საკითხისადმი ინგლისის დამოკიდებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ინგლისს არ შეუძლია დაამტკიცოს ჟენევის ოქმი, რადგან იმას ეწინააღმდეგებიან ახალშენები (დომინიონები).

ჩემბერლენის აზრით, უშიშროების გარანტიების საკითხი შეიძლება გადაიჭრეს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიისა და გერმანიის შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადებით. პოლონეთს და ჩეხო-სლოვაკიას შემდეგში შეუძლიათ შეუერთდნენ ამ ხელშეკრულებას. ჩემბერლენი ფიქრობს, რომ გერმანიის წინადადება ხუთ ზემოდასახელებულ სახელმწიფოს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმოადგენს მისაღებ ბაზას მოლაპარაკების საწარმოებლად.

როგორც სჩანს, ერრიო კატეგორიულად არ წასულა გერმანიის წინადადების მიღების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც გამოსთქვა მთელი რიგი საწინააღმდეგო მოსაზრებები.

მან ხაზი გაუსვა გერმანიის წინადადების დაუსაბუთებლობას იმ საფრთხის მიხედვით, რომელიც მოელის პოლონეთის ტერიტორიალურ ხელშეკრულობას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ავსტრიის შეერთება გერმანიასთან და აქედან გამომდინარე პრეტენზიები გერმანიისა ტრიესტზე საფრთხეს შეჰქმნიდა იტალიისათვის.

შემდეგ ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობაში ნათქვამია: ამიერიდან საფრანგეთსა და ინგლისს შორის მიღწეულია თანხმობა რამდენიმე მუხლში. ერრიო და ჩემბერლენი ფიქრობენ, რომ გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებამდე, გერმანიამ უნდა ითხოვოს მისი მიღება ერთა ლიგაში, ამას გარდა ჩემბერლენი და ერრიო შეთანხმებული არიან იმაში, რომ საგარანტიო ხელშეკრულებამ გერმანიასთან არავითარ შემთხვევაში ზიანი არ უნდა მიაყენოს მოკავშირეების უფლებებს, რომლებიც მათ აქვთ ვერსალის ხელშეკრულების ძალით: **კერძოდ, რეინის ოლქის ოკუპაცია უნდა გაგრძელდეს კიდევ 10 წელი.**

## ბურჟუაზიის პატრიოტიზმის ფასი

### გერმანიის ბურჟუაზია იცავს ვერსალის ხელშეკრულებას

**ბერლინი**, 7 მარტი. რეიხსტაგის დღევანდელ სხდომაზე კომუნისტმა როზენბერგმა შეიტანა შემდეგი შეკითხვა საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის გამო: „მისცა თუ არა გერმანიის მთავრობამ ანტანტის სახელმწიფოებს რაიმე წინადადება, რომლითაც გათვალისწინებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრების დატოვება იმ სახით როგორც ეს დამტკიცებულია ვერსალის ხელშეკრულებით, და რომელსაც შეუძლია ჩაითრიოს გერმანია რაიმე სამხედრო მოქმედებაში საფრანგეთთან და პოლონეთთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

როდესაც გერმანელ ნაციონალისტების ბელადი გამოვიდა მკაცრი პასუხით შეკითხვის დაუყოვნებლივ განხილვის წინააღმდეგ, როზენბერგმა გაკვირვება გამოსთქვა და სთქვა: „**როგორ შეიძლება რომ ის ხალხი, რომელთაც თავისთავი მოაქვთ ეროვნული ინტერესების დამცველად, უცებ აცხადებდენ, რომ დრო არა გვაქვს იმ საკითხის განხილველად, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ხალხისათვის**“.

## ამერიკის ფლოტი ინგლისის წინააღმდეგ

**ნიუ-იორკი**. ამერიკის ფლოტის კომისიის წევრმა, ადმირალ ფერპსმა, **ქალთა ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე წარმოსთქვა არაჩვეულებრივ სასტიკი სიტყვა ინგლისის წინააღმდეგ.** მან განაცხადა, რომ **მხოლოდ ძლიერ ფლოტს შეუძლია თავზე აგვაცილოს, რომ ინგლისსა და ამერიკას შორის არსებული წინააღმდეგობანი არ გადაიქცეს საბოლოოდ კონფლიქტად. ამერიკის ფლოტი უნდა დარჩეს ძლიერი ყველა ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის პირობებში. რადგან ცათა სასუფეველი კიდევ არ დამყარებულა მიწასა ზედა, ისეთი მდიდარი ერი, როგორიც ამერიკა არის, თავს ვერ დაანებებს შეიარაღებას.**

## ვანდერველდე მუდამ მზად არის ემსახუროს ბურჟუაზიას

**პარიზი**, 8 მარტი ბელგიის პარლამენტი დათხოვნილია. საკანონმდებლო დაწესებულების არჩევნები დანიშნულია 3 აპრილისთვის. „იუმანიტე“-ს კორესპონდენტი ბრიუსელიდან იტყობინება, რომ ვანდერველდემ ბელგიის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებს დაპირება მისცა, რომ **სოციალისტები მონაწილეობას მიიღებენ მთავრობაში, რომ ამ გზით შეაჩერონ მშრომელი მასების უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია ბელგიის მძიმე ფინანსიური მდგომარეობით.**

## რკინიგზელთა გაფიცვა გერმანიაში

**ბერლინი**. 8 მარტი. საქონლის მოძრაობის რკინიგზელთა გაფიცვა ყოველ საათში ძლიერდება. ბერლინში გაფიცულია 3.000 მუშა.

კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება რკინიგზელებისა და მთელი მუშათა კლასისადმი გაერთიანებისა და ბრძოლის წითელი ფრონტის გამაგრების შესახებ. მოწოდება ამბობს: „რკინისგზელების დამონების ცდა დოუესის გეგმის საშუალებით მიზნად ისახავს მთელი დანარჩენი მუშათა კლასის დამონებას, ეხლანდელ „სამგლოვიარო წუთებშიაც“ კი. ებერტის სიკვდილის გამო, რკინისგზათა ადმინისტრაციაც თავის საქმეებს აკეთებს. იმ ხუთი წუთისათვის, რომლის განმავლობაში ქარხნებმა პატივი სცეს ებერტის ხსოვნას, სამუშაო ხელფასი მცირდება ნახევარი საათის მუშაობის ღირებულებით.

## კონკურენციის ეშინიათ

**ჰელსინგფორსი**, 8 მარტი. პრესის ცნობის გამო, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას სურს დაიქირავოს ნავთის პროდუქტებისათვის საწყობები, ფინური გაზეთი „კაუპალეჰტი“ სწერს: „ალბად საბჭოთა დელეგაციას სურს დაიწყოს ნავთით ვაჭრობა, კონკურენცია გაუწიოს კერძო ფირმებს და ისარგებლოს თავისი განსაკუთრებული მდგომარეობით. ეს სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება“.

გაზეთი მოუწოდებს საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლენა მოახდინოს სავაჭრო წარმომადგენლობაზე, რათა უკანასკნელმა უარი სთქვას ასეთ გადაწყვეტილებაზე.

## ახალგაზრდობის კომინტერნის მოწოდება

**მოსკოვი**. 7 მარტი. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა მუშა-ქალის საერთაშორისო დღის გამო მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელ ქალებს, ქალიშვილებს და მუშათა ახალგაზრდობას მოწოდებით.

მიმართვა მოუწოდებს ყველა ქვეყნის კომუნისტურ ახალგაზრდობას 8 მარტს ჩააბან პოლიტიკურ ბრძოლაში ფაბრიკა-ქარხნის მშრომელი ქალები, გლეხის ქალები, მოსამსახურე ქალები და ყველა ისინი, ვინც იძულებულია კაპიტალიზმს მიჰყიდოს თავისი შრომა.

## საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

### საფრანგეთი

**ფოსტის მოსამსახურეების გაფიცვა.**

**პარიზი**, 8 მარტი. ფოსტის მოსამსახურეების გაფიცვა პარიზში ფართოვდება; გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 2.000 კაცი, რომლებიც მიტინგებს აწყობენ და მოითხოვენ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

### კანადა.

**სამთო-მადნო მუშების გაფიცვა.**

**ნიუ-იორკი**, 8 მარტი. ნოვა-სკოტის (კანადა) მაღაროების მუშებმა, რომლებიც ამერიკის სამთო-მადნო მუშების კავშირს ეკუთვნიან, გამოაცხადეს გაფიცვა; ისინი მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

### ჩინეთი.

**მეეტლეთა გაფიცვა დამთავრდა.**

**პეკინი**, 8 მარტი. მიღწეულ შეთანხმების გამო, დამთავრდა მეეტლეთა გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე დღე გრძელდებოდა.

## ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის ცნობით ამ.-კავკასიაში **9 მარტს** შემდეგი დარები იდგა:

**ფოთი**. ზღვაზე სიწყნარე, მოღრუბლული დღე, ტემპერატურა უდრის 9 გრად.

**ჭიათურა**. წყნარი მოღრუბლული დღე, სითბო 6 გრადუსი.

**ბორჯომი**. მოღრუბლული ამინდი, სითბო 1 გრადუსი.

**გორი**.—წყნარი, მოღრუბლული დღე, სითბო 5 გრადუსი.

**ბაქო**. მოღრუბლული ამინდი, ქრის დასავლეთის ნელი ქარი. ზღვაზე სიწყნარეა.

## ოქროს ჩერვონცები

**ლენინგრადი**. 9 მარტი. სახელმწიფო ბანკმა სახელმწიფო ზარაფხანას გადასცა 3 მილიონი ოქროს ჩერვონეცის პირველი შეკვეთა. ოქრო ჩერვონეცების მოსაჭრელად უკვე მიტანილია თავის ადგილას. მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრისათვის უნდა მოჭრილ იქნას 60 მილიონი ოქროს მანეთი. 1926 წელს სახელმწიფო ბანკის მთელი ოქროს მარაგი მოჭრილ იქნება ოქროს ჩერვონცებათ.

## საქართველოს საგეგმო კომისიაში

### ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ

საგეგმო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უმუშევრობის საკითხს და დაარსა სპეციალური კომისია უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. ეს კომისია მუშაობს შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. კომისია ცდილობს ერთის მხრივ საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობას და მეორე მხრივ საწარმოვო კოლექტივების დაარსებას.

უკვე დაარსებულია შემდეგი საწარმოვო კოლექტივები:

1. ცენტრალური სამრეცხველო, 2 მისაღები პუნქტით მუშაობს 18 კაცი 16 თებერვლიდან 1925 წ.
2. იხსნება მე-11 სამრეცხველო, სადაც იმუშავებს 32 კაცი.
3. „წითელი მეწვრილმანეები“, უკვე მუშაობს 20 კაცი გაფართოებისას საჭირო იქნება კიდევ 80 მომუშავე.
4. ბეჭდვითი ნაწარმოების გამავრცელებელი კოლექტივები „ლიგაში“ საჭირო იქნება 100 კაცი.
5. ფეხსაცმელების მკერვალთა კოლექტივი; უკვე მუშაობს 28 კაცი საჭირო იქნება კიდევ 22 კაცი.
6. სამკერვალო არტელი „დახმარება“ მუშაობს 20 კაცი საჭირო იქნება კიდევ 20 კაცი.
7. კოლექტივი „[illegible]“ მუშაობს 700 კაცი.
8. საავთიაქო კოლოფების წარმოება. მუშაობს 11 კაცი კიდევ იქნება საჭირო 19 კაცი.
9. ფეხსაცმლების საწმენდის საწარმოო კოლექტივი მუშაობს 5 კაცი საჭირო იქნება კიდევ 7.
10. მეთუნუქეების კოლექტივი იმუშავებს 15 კაცი.
11. საკინძავი და ქაღალდის პარკის მწარმოებელი კოლექტივი, იმუშავებს 15 კაცი.
12. სასადილოში სასტუმრო „ნოესთან“ მუშაობს 28.
13. სასადილო „ახალი საქართველო“-ში იმუშავებს 16 კაცი.
14. სასადილო „წითელ ქართლ“-ში—10 კაცი.
15. საუტილიზაციო ქარხანაში—120 კაცი.

სულ სამუშაო მიეცემა 1.796 კაცს.

## კოოპერაცია

### ცეკავშირის ზოგიერთი ამოცანები

### (ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის გამო)

ამ ჟამად მიმდინარეობს ცეკავშირის რწმუნებულთა მორიგი მე-5 წ. ყრილობა—გასულ საოპერაციო წლის დასრულების (1924 წ. ოქტომბრის 1-ს) შემდეგ უკვე ხუთი თვე განვლო, და საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენლებს თითქმის მეექვსე თვეზე უხდებათ მისი მოსმენა, თუ ცეკავშირმა რა გააკეთა წარსულ საოპერაციო წელში. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ამ მოვლენამ სისტემის ხასიათი მიიღო ცეკავშირის პრაქტიკაში. წელს ეს მოვლენა კიდევ უფრო ცუდი სახით წარმოგვიდგება, რადგან წრევანდელ ყრილობას უნდა მოხსენდეს არა თუ გასულ 1924 წლის არამედ, 1923 წლის ფინანსიური ანგარიშიც, რომელიც 1923 წლის ნოემბერში მომხდარ ცეკავშირის მე-4 ყრილობას უნდა მოხსენებოდა. ყრილობამ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება და კატეგორიული დირექტივა უნდა მისცეს ცეკავშირის ახალ გამგეობას, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს რწმუნებულთათვის ასე გვიან ანგარიშის წარდგენას. შეუძლებელია ახალი წლისთვის რაიმე რეალურ სამოქმედო გეგმაზე ლაპარაკი, თუ დაწესებულებამ მისი ხელმძღვანელი ორგანოების სახით ახალ საოპერაციო წლის დასაწყისშივე არ იცის თუ როგორი სამეურნეო მდგომარეობა უანდერძა უკვე გასულმა წელმა ახალს.

ყრილობის დღის წესრიგში გასული წლების საქმიანობაზე მოხსენების გარდა სდგას აგრეთვე საკითხი მომავალ მოქმედების გეგმის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყრილობის მუშაობის მთავარი საგანი სწორედ ეს საკითხი უნდა გახდეს, ამ საკითხისთვის წარსული წლის ანგარიშის მოსმენას მხოლოდ დამხმარე საშუალების ხასიათი უნდა მიეცეს. წარსული წლის საქმიანობაში გარკვევა ყრილობისათვის უნდა გახდეს მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმის შემუშავებისათვის მიდგომის საფუძვლად. მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე პირობებში უხდებათ საქართველოს კოოპერაციის მესვეურთ თავის მოქმედების გეგმის ჩამოყალიბება. კანონმდებლობამ უკვე განსაზღვრა საქართველოში არსებულ ორი კოოპერატიული ცენტრის (ცეკავშირის და წარმოკავშირის) და მათი პერიფერიული ორგანიზაციების ფუნქციები. სახ. კომისართა საბჭოს № 42 დადგენილებით ცეკავშირის სისტემიდან გადის მთელი რიგი კოოპერატიულ ერთეულებისა და თვით ცეკავშირი, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი, თავისუფლდება მრავალ ისეთ ფუნქციებისაგან, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სასოფლო-მეურნეობისათვის და რომელთაც იგი წარსულში დიდ ენერგიას და თანხას ახმარებდა. ყრილობა მომავალის წინაშე მთელი თავისი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა გაერკვეს ამ დადგენილებით ცეკავშირის კოოპერატიულ სისტემისთვის შექმნილ ახალ უფლებრივ კალაპოტის თავისებურებაში და უზრუნველჰყოს ამ სისტემაში შემავალი კოოპერატივების ფუნქციათა მთლიანობა. ცეკავშირში შემავალი კოოპერატივები იმ თავიდანვე მთლიან კოოპერატივებს წარმოადგენენ და არ იქნება მიზანშეწონილი, რომ ხელოვნურად გაიხლიჩოს ეს მთლიანი სამეურნეო სხეული მის სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით. ასეთი არასასურველი პერსპექტივის თავიდან ასაცილებლად ყრილობამ უნდა ჩამოაყალიბოს დასახელებულ დადგენილებიდან გამომდინარე და ჩვენი კოოპერატიული სინამდვილით გამართლებული კოოპერატიული აღმშენებლობის გეგმა.

გეგმის შემუშავებისას ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს კოოპერაციაზე კრედიტის გაცემის საკითხში ახლად შექმნილი მიდრეკილება და თავისი სამეურნეო გეგმა უნდა დაუკავშიროს კოოპერაციის მიერ საკუთარ თანხების შექმნისთვის მისაღებ ღონისძიებებს.

ყრილობის მიერ შემუშავებული გეგმა უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ და მხოლოდ ცეკავშირის დარგების საქმიანობის გეგმას, არამედ საქართველოს კოოპერაციის როგორც მთლიანი ერთეულის გეგმას, რომელშიაც ცენტრის საქმიანობის გეზი შეფარდებული იქნება პერიფერიულ ორგანიზაციების საქმიანობის გეზთან, და პირიქით. მხოლოდ ასეთი გეგმა მისცემს კოოპერაციას საშუალებას შეასრულოს თავისი დანიშნულება.

მხოლოდ ასეთი მთლიანი გეგმის ცხოვრებაში გატარებით შესძლებს კოოპერაცია მუშათა და გლეხთა დაკავშირებას, წვრილ საგლეხო მეურნეობაში სოციალისტურ მეურნეობის ელემენტების შეტანას.

ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია საკითხის ცეკავშირის წესდების შესახებაც.

გასული წლის მაისის 20-ში სრულიად საკავშირო მთავრობის მიერ გამოცემული კოოპერატიული კანონის ნიადაგზე და ცეკავშირის და მისი აპარატის ადგილობრივ თავისებურობასთან შეფარდებით შემუშავდება ახალი წესდება. აქ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცეკავშირის სამუშაო აპარატს, მისი ორგანოების ჩამოყალიბებას. დღემდე არსებული ცეკავშირის საბჭო ვერ იყო დაკავშირებული ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან; იგი ვერ აკავშირებდა პერიფერიას ცენტრთან და ცენტრის მიერ დასახული პოლიტიკის ხაზი მას ვერ გადაჰქონდა ადგილებზე. ამიტომ საჭიროა წესდებამ ისეთ ნიადაგზე დაგოს ეს საბჭო, რომ იგი გახდეს ადგილების და ცენტრის ამ ცხოველ კავშირის გამტარებელი. წესდებასთან დაკავშირებით უნდა განხილულ იქნეს აგრეთვე ამჟამად ცეკავშირთან არსებულ მუშათა კოოპერაციის სექციის საკითხიც. საჭირო და აუცილებელია, რომ ამ სექციაში მეტად იყოს წარმოდგენილი ადგილები, ვიდრე ეს დღეს არის.

დასასრულ, ცეკავშირის ყრილობამ უნდა აირჩიოს ცეკავშირის გამგეობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საპასუხისმგებლო ორგანოში თავს მოიყრიან კოოპერატიულ საქმიანობაში გამოწვრთნილი ამხანაგები. ამაში ჩვენ დარწმუნებული ვართ.

ყველა ზემოჩამოთვლილ საკითხების მოგვარება მყვიდრ ნიადაგზე დააყენებს საქართველოს კოოპერაციის საქმიანობას და თუ მიმდინარე ყრილობას მიუხედავად გასული წლის პირობებისა მაინც უხდება დიდ და საგულისხმიერო მიღწევების სიამოვნებით აღნიშნა, მომავალი წლის, მე-6 ყრილობა კიდევ უფრო მეტ მიღწევებს ჩასწერს საქართველოს კოოპერაციის მატიანეში.

ერთი კოოპერატორთაგანი.

---

ადგენს რეაქციონურ ზომას. რადგანაც ეს ქალის დამონავება იქნება და არა განთავისუფლება. სრულიად მიუღებელია აგრეთვე პრინციპს: „ერთ ოჯახზე—ერთი მუშაკი“ მექანიკურად გატარების ცდა.

რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ შტატების შემცირების და სამუშაოზე მიღების დროს?

ერთად ერთი სწორი და ჯანსაღი პრინციპი ის არის, რომ მუშაკთა შერჩევა ხდებოდეს მათი შრომის საწარმოო ღირებულების თვალსაზრისით.

ქალების მიმართაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ამით და არა სხვა რაიმე მიზნით როგორც—ქმრიანობით და სხვ.

საერთოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების შემცირებას და დათხოვნას, და არ უნდა იქნეს დაშვებული თვითნებობით მათი დათხოვნა.

### ქალების სოციალური დაზღვევა

ყველა სხვა მუშა-მოსამსახურეებთან ერთად მუშა-ქალებიც დაზღვეული არიან. სოციალური დაზღვევით მუშა-ქალებს ეძლევათ საექიმო და სამკურნალო დახმარება (უფასო აქვთ წამალი, საავადმყოფო, ექიმი და სხვ.) ავადმყოფობის დროს ეძლევათ აგრეთვე დახმარება ფაქტიურ ხელფასის რაოდენობით. დასახიჩრების ან ინვალიდობის შემთხვევაში ენიშნებათ პენსია. როცა საჭიროა ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლა, მუშა-ქალს შეუძლიან განთავისუფლდეს სამუშაოდან და გაცდენილ დროისთვის მას დამზღვევი კასა აძლევს ხელფასს. ფეხმძიმობის დროს და მშობიარობის შემდეგ (8 კვირით მშობიარობის წინ და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ) იღებს დამზღვევ კასიდან შვებულებას და დახმარებას შვებულების მთელი დროისთვის (სრული ხელფასის რაოდენობით). მუშა ქალს და მომუშავის ცოლს ეძლევა დახმარების დამატებითი სახეები ბავშვის გამოსაკვებად. მის მოსავლელათ ან დასამარხათ. დამზღვევი კასა იძლევა აგრეთვე დახმარებას უმუშევრობის გამო; გარდა ამისა, მშრომელის ოჯახის წევრებს ეძლევათ დახმარება, თუ მათ დაჰკარგეს, სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო, ოჯახის მარჩენალი.

ერთი სიტყვით, მუშა-ქალი უზრუნველყოფილია ყოველ უბედურ შემთხვევაში. მას აღარ სჭირდება ზრუნვა წინდაწინვე და ფულის გადადება შავი დღისათვის.

დახმარებათა ყველა სახეები მუშა-ქალს ეძლევა წარმოების, დაწესებულების და დამქირავებლის ხარჯზე. წარმოებას შეაქვს დამზღვევ კასაში სათანადო პროცენტი და აქედან დამზღვევი კასა აძლევს დახმარებათა ყველა სახეებს. სულ სხვა წესები არსებობს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში. იქ თვით მუშები იხდიან დამზღვევ კასაში. ასევე ხდებოდა საქართველოშიც მენშევიკების დროს: სოცდაზღვევის გადასახადის ნაწილს მაშინ თვით მუშები იხდიდნენ. მათ საკუთარი ფულით ეძლეოდათ დახმარება, საკმაოდ მცირე და არა ყველა იმ შემთხვევებში, რომლებიც ჩვენ ზემოდ ჩამოვთვალეთ. ამ მხრივ მუშა-ქალების მდგომარეობა მეტად გაუმჯობესდა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ზემოდ ჩვენ სავსებით არ ამოგვიწურავს ქალთა დაზღვევის საკითხი. ასე, მაგალითად, სოციალური დაზღვევის ორგანოები წარმოება-დაწესებულებებთან აწყობენ ბავშვთა ბაგებს, მუშა-ქალების ბავშვებისათვის, ამის წყალობით მუშა-ქალს შეუძლია დამშვიდებულად იმუშაოს ქარხანაში და მუშაობის შესვენების დროს ძუძუ მოაწოვოს თავის ბავშვს.

გარდა ამისა, სოცდაზღვევის ორგანოები აწყობენ აგრეთვე კონსულტაციებს ახალგაზრდა დედებისთვის (მუშა-ქალებისთვის) და მუშების ცოლებისთვის. კონსულტაციაზე ახალგაზრდა დედას შეუძლია მიიღოს რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა მოუაროს ბავშვს და როგორ უნდა უზრუნველჰყოს მათი ნორმალური ზრდა.

აი როგორ იცავს ყოველ მხრივ კანონი ქალთა შრომას საბჭოთა რესპუბლიკებში.

### უმუშევრობა ქალთა შორის და ბრძოლა მის წინააღმდეგ

ამჟამად ჩვენში საკმაოდ დიდი უმუშევრობა არსებობს ქალებს შორის, საშუალოდ საქართველოში, ქალების უმუშევრობა აღწევს საერთო უმუშევრობის 35 პროცენტს, რაც წარმოებაში ჩაბმულ ქალთა რიცხვთან შედარებით, ძლიერ დიდად უნდა ჩაითვალოს.

**რა ზომებია მიღებული ქალთა შორის უმუშევრობის შესანელებლად?** უპირველესად ყოვლისა მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა ქალების რაც შეიძლება მეტი რიცხვი იქნეს ჩაბმული წარმოებაში; მეორე ისა, რომ უმუშევარ ქალებისაგან არსდება კოლექტივების და არტელების მთელი რიგი (მაგალითად, თეთრეულის კერვის, წინდების და ტრიკოების საქსოვი სახელოსნოების—კოლექტივები, კალათების დაწნის კოლექტ. და სხვ.) მიღებულია აგრეთვე ზომები ყველა მოწყობილ კოლექტივებში და არტელებში უმუშევარ ქალების ჩაბმისათვის.

გარდა ამისა, უმუშევარ ქალებს იწვევენ საზოგადოებრივ სამუშაოზე; აღნიშნულ ღონისძიებათა გარდა უმუშევარ ქალებს ეძლევათ დახმარება ისე, როგორც დანარჩენ უმუშევრებს. დახმარების რაოდენობა ამიერკავკასიაში ამჟამად უდრის 6—8 მანეთს თვეში. დახმარება უმუშევრებს ეძლევათ 6 თვეს უმუშევრობის ერთი წლის განმავლობაში. უკეთუ უმუშევრობა ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, დახმარების გაცემა შემდეგ წელსაც სწარმოებს.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება დაწვრილებით ითვალისწინებს, თუ ვის აქვს დახმარების მიღების უფლება. ამ წესების თანახმად, დახმარების მიღების უფლება აქვთ კვალიფიციურ მუშებს და უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამსახურეებს; არა კვალიფიციურ მუშებს—კავშირის წევრებს; არა კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც თუმცა არ არიან კავშირის წევრნი, მაგრამ მუშაობის სამი წლის სტაჟი აქვთ; მოსამსახურეებს—კავშირის წევრებს—სამი წლის მუშაობის სტაჟით; მოსამსახურეებს—არა კავშირის წევრებს 5 წლის მუშაობის სტაჟით არა-სრულწლოვანთ 18 წლამდე რომელთაც წინად უმუშავნიათ დაქირავებით (მუშაობის სტაჟის მიუხედავად); ყველა მცირეწლოვანთ 16 წლამდე, რომელნიც დამდგარან სამუშაოზე შრომის ინსპექციის ნებართვით, და დემობილიზაციით დათხოვნილ წითელ-არმიელებს, ვისაც სამხედრო სამსახურში შესვლამდე უმუშავნია დაქირავებით.

ფეხმძიმე ქალებს, რომელთაც აქვთ დახმარების მიღების უფლება, ეს დახმარება ეძლევათ პირველ კატეგორიის უმუშევართათვის არსებულ რაოდენობის მიხედვით, 6 კვირით მშობიარობამდის და 6 კვირით მშობიარობის შემდეგ.

გარდა ამისა, როგორც თვით უმუშევარ ქალებს, ისე იმ უმუშევრების ცოლებსაც, რომელნიც იღებენ დახმარებას უმუშევრობის გამო, სხვა დაზღვეულებთან საერთო საფუძვლებზე, ეძლევათ დამატებითი დახმარება ბავშვის მოსავლელად და გამოსაკვებად.

### უნდა გავადიდოთ მუშა-ქალთა კვალიფიკაცია

ამ წერილის თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქალების სრული განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მათი წარმოებაში ჩაბმით.

რა უშლის წარმოებაში ქალების მაქსიმალურად ჩაბმას ხელს? რათ არის ასე მცირე სამრეწველო დაწესებულებებში ქალთა პროცენტი?

ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ქალების შრომის კვალიფიკაცია ამ ჟამად უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცისა. ძალიან იშვიათად შეხვდებით ქარხნებში კვალიფიციურ მუშა-ქალს. ქალები უმთავრესად არაკვალიფიციურ შრომას ეწევიან ამიტომ ქალთა შრომა, წარმოების თვალსაზრისით, ნაკლებ ღირებულების არის, ნაკლებად არის გამოყენებული და მის გამოყენებას მხოლოდ არა კვალიფიციურ პროფესიებში აქვს ადგილი. ეს გარემოებაა სწორედ იმის მიზეზი, რომ ქალის გამოყენება წარმოებაში მეტად ძნელია.

უნდა ვეცადოთ, რომ გაიზარდოს ამ ჟამად წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ქალთა რიცხვი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ქალთა შრომის კვალიფიკაციის მომატებით. ამას უნდა მიაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება, რადგანაც მხოლოდ ასეთი ზომებით შეიძლება გადაიჭრას ქალთა საერთო საკითხი.

უახლოეს ხანაში მუშა ქალების კვალიფიკაციის ასაწევათ უნდა დავისახოთ ისეთი პრაქტიკული ამოცანები, როგორიც არის ქალიშვილების პროცენტის მომატება საქარხნო-საფაბრიკო მოწაფეების სკოლაში. სპეციალური საქარხნო-საფაბრიკო სკოლების მოწყობა იმ წარმოებაში სადაც სჭარბობს ქალთა შრომა, ქალიშვილების ინდივიდუალური მოწაფეობა და სხვა.

ხ. გოდაბრელიძე.

საინფორმაციო-განყოფილების ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

## მე-5 კომუჯრედი

მარტს ზემოხსენებულ კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზედ ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. ჯულაყანიძემ და გოგიშვილმა.

მათ ვრცლად დაახასიათეს ქალთა მოძრაობის წარმოშობის მიზეზები, მისი განვითარება, აღნიშნეს ქალთა მდგომარეობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და დასასრულ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას რომ ჟორდანია-კერენსკების ბატონობის დროს ქალთა შორის მუშაობას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ამ მხრივ არავითარ მიღწევებს საქმე არ ჰქონებია, პირიქით ქალი ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა როგორც ნიკოლოზის რეჟიმის დროს და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით გამოიყვანა ქალი კარჩაკეტილი და მონური ცხოვრებიდან, მიენიჭებია მისთვის პოლიტიკური უფლებები და ფართე გზა გახსნა, შექმნა პირობები ქალების მამაკაცებთან ნამდვილ გათანასწორებისათვის.

აქ, სხვათაშორის, საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ კრებას ბლომად დაესწრო ოჯახის ქალები, რომლებიც დიდის ხალისით ისმენდენ მოხსენებას.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ 1926 წლისათვის 8 მარტს არც ერთი ქალი არ უნდა დარჩეს ქალთა ორგანიზაციების გარეშე, რომ მომავლისათვის ყველა მუშების ცოლები და დიასახლისები ჩაბმული უნდა იქნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რათა შევასრულოთ ილიჩის ანდერძი: „მზარეულმა ქალმა უნდა ისწავლოს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა".

პარტკორი **გოგვაძე.**

## პარტმუშაობა სოფ. ლესაში

(გურია)

სოფ. ლესა მდებარეობს ჩიბათის თემში. სოფ. ლესა ამ თემში შესანიშნავ სოფლად ითვლება. აქ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე არსებობს ძლიერი კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც შესდგება 71 წევრისაგან, ამათში 36 წევრი 1921 წლიდან თანდათანობით მიღებული ამხანაგებია, დანარჩენი კი არალეგალურად მომუშავენი.

თავიდანვე ლესის კომუნისტური ორგანიზაცია განთქმული იყო თავისი ენერგიანობით და ცხოველმყოფელობით. ორგანიზაცია ყოველთვის მაგალითი იყო ჩვენი პარტიის სხვა ორგანიზაციებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სოფ. ლესის ორგანიზაციას მუდამ ემატება ღირსეული წევრები მუშათა წრეებიდან, რომლის საშუალებით ის ასე საგრძნობლად გაიზარდა.

ორგანიზაციას ჰყავს 5 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომლის მუშაობა დღითი დღე ფართოვდება. ყოველ კვირაობით იმართება კრებები, რომლებზედაც ყველა წევრები ესწრებიან ულად.

პარტიის მდივანი ამხ. აკაკი ცეცხლაძე, მოხდენილი და გლეხებისათვის მეტად გასაგებ ენაზე აკეთებს მოხსენებებს ფრიად საყურადღებო საკითხებზე, რომლებსაც ყველანი დაკვირვებულად ისმენენ და შემდეგ კითხვა—პასუხის საშუალებით არც ერთი სიტყვა გაუგებარი არ რჩება.

რაც ყველაზე უფრო შესანიშნავია ამ ორგანიზაციაში ეს ის არის, რომ სამაგალითო წესრიგი და ნამდვილი კომუნისტური, გულწრფელი ამხანაგური, განწყობილებაა ორგანიზაციის წევრთა შორის. მაგრამ თუ მოხდა შემთხვევა, რომ რომელიმე ამხანაგმა დაარღვია პარტდისციპლინა, მის მოქმედებას და ყოფაქცევას ორგანიზაცია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და სათანადო ზომებსაც ღებულობს.

აქ აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფ. ლესის კომორგანიზაცია ცენტრია იმავე სოფლის საზოგადოებრივ და კულტურულ მუშაობისა. დღეს ამ სოფელს ამშვენებს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები.

დასასრულ ვუსურვებთ ყველა სოფლის კომუჯრედებს მიბაძონ ლესის კომორგანიზაციის მუშაობას.

**ქრისტინე.**

## ცეკავშირის სტამბის კომუჯრედში

ორი თვეა მას შემდეგ, რაც დაარსდა ცეკავშირის სტამბის კომუჯრედი და მიუხედავად ამისა მისი მუშაობა მეტად სასურველად მიმდინარეობს.

კომუჯრედში ყველანი დაზგასთან მდგომი მუშებია, რომლებიც ჩაბმული არიან სხვადასხვა სამუშაოებში და პირნათლად ასრულებენ თავიანთ დავალებებს. ამასთან ხშირ-ხშირად იმართება უჯრედის ღია კრებები რომლებზედაც ესწრებიან როგორც უპარტიო, ისე კომკავშირელი ამხანაგები. ახლო მომავალში განზრახულია კედლის გაზეთის გამოშვება.

ამასწინად მოხდა ბიუროს ხელახალი გადარჩევა. კომუჯრედის ბიუროს პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ზეინდელი.

კ. გოგუა.

## „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის კომუჯრედში

6 მარტს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის კომუჯრედის მორიგ კრებაზე გარჩეული იქნა რამოდენიმე საკითხი. კრებას უპარტიო მუშებიც დაესწრენ.

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სარქისოვმა, რომელმაც დაახასიათა 8 მარტის საერთაშორისო მნიშვნელობა ქალთა განთავისუფლების საქმეში. მოხსენების გამო მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

შემდეგ კრებამ განიხილა ორი ამხანაგის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. ერთს კომუჯრედმა დროებით უარი უთხრა პარტიაში მიღების შესახებ, მხოლოდ მეორეს დაევალა სისტემატიურად დაესწროს კომუჯრედის ღია კრებას, რათა კომუჯრედი დარწმუნდეს მის საქმიანობაში და გულწრფელობაში.

კედლის გაზეთის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ამხ. მეგრელაძის მიერ წაკითხულ იქნა მომავალი მუშაობის გეგმა, რომელიც გამოიმუშავა სარედაქციო კოლეგიამ და მიღებულ იქნა ერთხმად.

პარტკორი ყ—ნი.

## ჩვენს უჯრედში

(ლენინის რაიონი)

პარასკევს, 6 მარტს შესდგა ამიერ-კავკასიის პროფგანათლების განყოფილების კომუჯრედის მორიგი კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი 8 მარტის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. კ. გოგიბერიძემ.

მომხსენებელმა კრებას გააცნო თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ქალები წინედ თვითმპყრობელობის და მენშევიკურ წესწყობილების და ახლა საბჭოთა ხელისუფლების დროს. იგი შეეხო აგრეთვე ქალთა მოძრაობას აღმოსავლეთში კერძოდ: ოსმალეთში, სპარსეთში, ინდოეთში და სხვა კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში, სადაც ქალთა განმანთავისუფლებელი მოძრაობა თანდათანობით ფეხს იკიდებს ბურჟუაზიის და საერთო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

დასასრულ მომხსენებელმა ხაზი გაუსვა სტატისტიკური ცნობების მიხედვით მას, თუ გასულ წლებთან შედარებით, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მშრომელი ქალები როგორ უფრო აქტიურად ებმებიან საზოგადოებრივ მუშაობაში.

მოხსენების გამო გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

კ. ქვენობნელი.

## ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

### კომკავშირელმა უნდა ისწავლოს

ერთი უმთავრესი ანდერძი, რომელიც დაუტოვა ილიჩმა ჩვენს წითელ ახალგაზრდობას ეს არის: „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა".

კომკავშირი, რომელიც თავისი რიგებში რაზმავს მშრომელი ახალგაზრდობის სულ ახალ და ახალ კადრებს, ცხადია, ვერ შესძლებს ენერგიულად ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სოციალიზმის და კომუნიზმის შენების საქმეში და საპატიოდ გაამართლოს ყველა ის ამოცანები, რომლებიც მას დაკისრებული აქვს, თუ მან სავსებით არ გაატარა ცხოვრებაში ამხ. ლენინის ეს ლოზუნგი.

დღევანდელ დღეს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დგას ეს ამოცანა და ამ შემთხვევაში უშუალო მოვალეობას შეადგენს თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს ამ მიმართულებით.

დასაკვირველია, როდესაც ლაპარაკი ლოზუნგის „სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლის" შესახებ არის ამ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ ეს ნიშნავდეს იმას, რომ ახალგაზრდობა უნდა მოწყდეს, ჩამოშორდეს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას და წიგნებით კისრამდე აივსოს. არა. ეს უთუოდ შემცდარი აზრი იქნებოდა და ამასთანავე სრულიად მიუღებელიც.

როდესაც ამხ. ლენინი ხაზს უსვამდა სიტყვა **„სწავლას"**, ის ამ სიტყვაში გულისხმობდა სწავლის და შრომის უშუალო კავშირს, მათ მთლიანობას.

ეს უნდა შეიგნოს, შეისისხლხორცოს ჩვენი კომკავშირის ახალგაზრდობამ!

ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობამ, რომელიც მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ დიდ და სასტიკ ბრძოლების წინაშე სდგას,—კვლავ ვიმეორებთ უნდა ისწავლოს, რადგან სწავლა ეს ის ძლიერი იარაღია, რომლითაც იგი უნდა ეკვეთოს თავის მტერს, აღგავოს ეს მტერი დედამიწის ზურგიდან და შეუდგეს ახალი ქვეყნის შენებას.

მაშ ის ლოზუნგი, რომლითაც უნდა გამოვიდეს დღეს კომკავშირი და რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება არის **„სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა".**

ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ კომკავშირი, რომელიც ატარებს ლენინის სახელს, პირნათლად შეასრულებს ამ ამოცანასაც.

ცოცხალა.

# ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 წლიური ყრილობა

## მეორე სხდომა

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 წლიური ყრილობის მე-2 სხდომა გაიხსნა თბილისის აღმასკომის დარბაზში მარტის 8-ს დილის 10 ნახ. საათზე ამხ. კახ. **კანდელაკის** თავმჯდომარეობით.

### მისალმებები.

წინა სხდომაზე მიღებულ წესრიგის თანახმად მეორე სხდომა მოუნდა ყრილობაში მისალმებებისა და [illegible] მთავრობის წევრის ამხ. კუიბიშევის მოხსენების მოსმენას.

წერილობითი და დეპეშით მისალმებები იყო საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობისაგან, აზერბეიჯანის კოოპერაციის ცენტრის—აზერიტიფაკისაგან, თელავის, ზემო-ალვანის, ენისელის, ძველი გავაზის, შილდის, ყვარლის და წინანდალის კოოპერატივებისაგან.

სიტყვიერი მისალმებები გააკეთეს „ცენტროსოიუზის" წარმომადგენელმა ამხ. ლეიტმანმა, „ტექსტილსინდიკატის" წარმომადგენელმა ამხ. მორდოვოვმა, ამიერკავშირის წარმომადგენელმა ამხ. ნიკურაძემ, „ზაკსოიუზის" წარმომადგენელმა ამხ. პიჩიკიანმა.

სხდომამ დაავალა პრეზიდიუმს სათანადო პასუხი გასცეს მომსალმებლებს.

### ამხ. კუიბიშევის მოხსენება

სხდომის ცოტა-ხნით შეწყვეტის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. კუიბიშევის ვრცელი და მეტად საინტერესო მოხსენება კოოპერაციის როლზე საბჭოთა აღმშენებლობაში, მის ეხლანდელ მდგომარეობაზე და ამოცანებზე (დაწვრილებითი სტენოგრაფიული ანგარიში მოხსენებისა მოთავსებულ იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

### ამხ. მ. ოკუჯავას სიტყვა

ამხ. მიხ. ოკუჯავა მოკლე სიტყვაში შეეხო საქართველოს კოოპერაციის ეხლანდელ მდგომარეობას და მის ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ წარსულ წლებში საქართველოს კოოპერაციაში იყო გაბატონებული მენშევიზმი მისი ტიპიური მენშევიკური კოოპერატიული იდეოლოგიით. ამ დროს კოოპერაციას არ ეძლეოდა სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურად მონაწილე ორგანიზაციის ხასიათი. იგი მხოლოდ იმისთვის იყო მოწოდებული, რომ დაეფარა და მიეფუჩეჩებია არსებული კაპიტალისტური სისტემის ნამდვილი ვითარება. ამხ. ოკუჯავამ მოიყვანა მთელი რიგი ფაქტებისა იმის დასამტკიცებლად, რომ არსებითად საქართველოს ეგრედწოდებულ „დამოუკიდებლობის" ხანაში კოოპერაცია მენშევიკურ სახელმწიფო ხელისუფლებისთვის წარმოადგენდა სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების,—ერობთა, ქალაქთა კავშირების და სხვა ამგვარის საქონლის განაწილებელ აპარატს. ამხ. ოკუჯავამ მიუთითა სხდომას იმ სასიხარულო მოვლენაზე, რომ საქართველოს კოოპერაცია და კოოპერატორები თანდათან გაერკვიენ და განთავისუფლდენ მენშევიკურ კოოპერატიულ იდეოლოგიასა და პრაქტიკისაგან, რაის უტყუარი და დამახასიათებელი მაგალითიც მიმდინარე ყრილობაზედაც მოხდა: გუშინდელ კრების მიერ არჩეულ დელეგაციის სახელით სრულიად საკავშირო ცაკის სესიას მისალმა ძველი კოოპერატორი, გლეხი უპარტიო მოქალაქე, რომელიც კოოპერაციაში მუშაობდა ჯერ კიდევ მონარქიის დროს, შემდეგ მენშევიკების დროს და მუშაობს ეხლაც. ამ ამხანაგმა გულწრფელად აღიარა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წინაშე, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს ეძლევა ფართო სარბიელი ნამდვილ კოოპერატიულ საქმიანობას და აღმშენებლობას. ამ ფაქტს ამხ. ოკუჯავას აზრით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს დიდი მიღწევაა ჩვენ კოოპერატიულ ცხოვრებაში და საჭიროა ამ ნიადაგის განმტკიცება და მაშინ მიღწეულ იქნება კოოპერაციისთვის საბჭოთა აღმშენებლობის ხანაში დაკისრებული ამოცანები. თავის სიტყვას დასასრულ ამხ. ოკუჯავა მიესალმა ამხ. კუიბიშევს ყრილობის სახელით, რასაც კრება ოვაციებით შეხვდა. ამხ. კუიბიშევი არჩეულ იქნა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

### ამხ. კუიბიშევის საპასუხო სიტყვა

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. კუიბიშევი შეჩერდა საბჭოთა კოოპერაციის გამაგრებისთვის საჭირო ზომებზე. კერძოდ მან გაარკვია საკითხი კოოპერაციაში ნებაყოფლობით წევრობაზე გადასვლის მნიშვნელობის შესახებ. მან აუცილებელ პირობად აღიარა კოოპერაციის განვითარებისათვის მასში ცოცხალი კავშირის დამყარება ამომრჩეველ წევრებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელ ორგანოების წევრთა შორის. უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა მეურნეობის და მშრომელთა საკეთილდღეოდ და გადასცა სალამი სრულიად საკავშირო ცაკის სახელით.

საპასუხო სიტყვის დასრულებისას ყრილობამ კვლავ ოვაცია გაუმართა ამხ. კუიბიშევს, რის შემდეგაც სხდომა შესწყდა ნაშუადღევის 2 ნახევარ საათზე.

**დამსწრე.**

# ქრონიკა

— **ექიმების აღრიცხვა.** ჯანსახკომმა აიყვანა აღრიცხვაზე 1433 ექიმი მათ შორის 680 ქართველია, 348 სომეხი, 208 რუსი, 138 ებრაელი, 25 გერმანელი, 18 ბერძენი, 6 მუსულმანი, 5 პოლონელი, 3 ოსი, აისორი 1 და 1 სერბიელი.

— **სადეზინფექციო კამერა.** ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 29 სადეზინფექციო კამერა.

— **საინდუსტრიო ტექნიკუმები.** ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 5 საინდუსტრიო ტექნიკუმი, აქეთან 3 თბილისში, 1 ფოთში და 1 ხონში. ყველა ტექნიკუმებში ირიცხება 857 მოწაფე.

— **თბ. დამზღვევ** კასაში თებერვალში შემოვიდა დასაზღვევი გადასახადი სულ 216,029 მან. 29 კ.

— **დახმარება დაზღვეულებს.** დამზღვევ კასამ თებერვალში კასის დროებით უნარ დაკარგულ წევრებს დახმარების სახით მისცა 59,516 მან.

— **საზამთრო კურორტებზე.** მარტის ბოლო რიცხვებში დამზღვევი კასა საზამთრო კურორტებზე—აბასთუმანში და ქობულეთში საექიმოთ გაგზავნის მესამე ჯგუფ დაზღვეულ ავადმყოფებისას.

— **თამბაქოს პლანტაციები.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატის ცნობით გასულ წელს თამბაქოს პლანტაციებს დაკავებული ჰქონდა 6,000 დესეტინა მიწა.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ თებერვალში უმუშევარ დაზღვეულებზე დახმარების სახით გასცა 6,525 მან. 64 კ.

— **უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვა.** 10 მარტს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება მოახდენს ხელახალ აღრიცხვას მედსანშრომის კავშირის იმ უმუშევარ წევრებისა, რომლებიც არ ღებულობენ ფულად დახმარებას.

— **სპეც - ტექნიკუმების ქსელის გაფართოება.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გააფართოოს სპეციალურ ტექნიკუმთა ქსელი.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით სათადარიგო და საკავშირო თანხებათ გადარიცხა 460,918 მან.

— **საკონტროლო საექიმო კომისიების** შესანახათ სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასდო. 12,528 მან.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** გასულ შემოდგომაზე დაამზადა 211000 ვედრო ღვინო.

— **სპეცნორმები.** შრომის დაცვის განყოფილებამ გამოსცა გასასყიდათ წიგნი სპეცტანისამოსის, სპეცსაკვების და სხვა სპეც ნორმების შესახებ.

— **სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატმა გადასდო 12,000 მანეთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების შესანახად მიმდინარე წელში.

— **საქ. მ.—გ. ინსპექცია** მოკლე ხანში შეუდგება საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტის რევიზიონულ გამოკვლევას.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიმდინარე წელში სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ მიწად მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 18,000 მან.

— **სახალხო განათლების** კომისარიატის მმართველობაში არსებულ ზუბაძის და ინწკირველის სახელობის საბუხჰალტერო კურსებზე განახლდა მიღება. მეცადინეობა დაიწყება ახალ ჯგუფებში 1 აპრილიდან.

— **ჩაუბარებელი დეპეშები** 8 მარტს 1925 წ. 1. მოსკოვიდან—ფილიპოვს, 2. მოსკოვიდან—ამურზადიანს, 3. ვლადიკავკავიდან—კუნაჩუს, 4. ბაქოდან—კარგან. 12 გაბაევს, 5. ყარაიაზიდან—ბროსე 8 უგვაროთ, 6. მოსკოვიდან—გალკინს.

— **საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში.** საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლა მგზავრობის (ტურისტული) განყოფილება აწყობს სხვადასხვა ექსკურსიას. ხუთშაბათს, შაბათს და კვირაობით 1 დან-3 საათამდე. განყოფილების ბიურო, რომელიც მოთავსებულია სკოლის გარეშე განათლების სახლში (გიორგის ქ. №4) აძლევს ექსკურსიებისათვის საჭირო ცნობებს. იქვე შეიძლება ხსენებულ განყოფილების წევრათ ჩაწერა და რუქების შეძენა.

## ხელოვნება

— **გაზეთი „პროლემაფ".** გამოვიდა გაზ. „პროლემაფის" № 1. შინაარსი: მოწინავე „პროლემაფისთვის", ნ. ზომლეთელი „ლიტერატურული ალქიმია", მიხონიძე „ხელოვნებათა სამარეზე", კ. ლორთქიფანიძე „პროფესიონალიზმის შესახებ", შ. რადიანი „თანამედროვე თეატრი", ფელეტონი ბ. ქიქოძე „ხელოვნების პოლიტეკონომანანისათვის", დ. რონდელი „პროლეტარულ ხელოვნების ფორმალური ორიენტაცია". ლექსები: დ. რონდელი „24 საათი", ნ. ზომლეთელი „ძიების გზები", კ. კალაძე „სამგლოვიარო განცხადება". პროზა: ელიზბარ ცეცხლაძე „ანკეტა № 2642". გაზეთში მდიდარი ქრონიკაა, წერილი ოპერაზე და კინოზე, მასალები პროლემაფზე და სხვა.

# მუშათა ცხოვრება

## საჭიროა პირობების გაუმჯობესება

**(პოლიტგანის მთავარ სამმართველოს საყურადღებოდ).**

დუშეთის მაზრა საქართველოს ჩამორჩენილ კუთხედ ითვლება, როგორც ეკონომიურათ, ისე კულტურულათ.

კულტურული მუშაობა ვერ მიმდინარეობს კარგათ, ეს აიხსნება იმით, რომ ამ დარგში მუშაკთათვის ისეთი პირობებია შექმნილი, რომ მისი გაუმჯობესების გარეშე, მომავალში ნაყოფიერი მუშაობის წარმოება შეუძლებელია.

მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მაზრის პოლიტგანის თანამშრომლები ადგილობრივ ორგანოების ბიუჯეტზე არიან გადაყვანილი. ადგილ. ორგანო კი სრული ბიუჯეტის უქონლობის გამო ხსენებულ თანამშრომლებს ვერ აკმაყოფილებს თავის დროზე.

მაგალითად, პოლიტგანის თანამშრომლებს დეკემბრის ჯამაგირი დღემდის ვერ მიუღიათ და არც ვიცით, როდის მიიღებენ.

უნდა გამოსწოროთ ეს ნაკლი.

ანდრია შადური.

## გააძევეთ ასეთი ადმინისტრატორი

**(ფოსტელკომისარიატის საყურადღებოდ).**

თბილისის მთავარ ტელეგრაფის კანცელარიაში, დიდი ხანია, ბუდობს ძველი შავრაზმელი კანტორის გამგის მოადგილე ბ-ნი **ვასილი პავლეს ძე კვირიკაშვილი.** თავისი უხეში მოქცევით ის სიძულვილს იწვევს მუშა-მოსამსახურეებში. მასთან ის მუდამ აბუჩად იგდებს საკავშირო ორგანიზაციებს და იმუქრება ამხ. ათარბეკოვით, თითქოს ეს უკანასკნელი ამხანაგი იყოს წინააღმდეგი მუშათა ორგანიზაციების.

ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში ამ ვაჟბატონის შესახებ, მაგრამ ის სდუმს, როგორც მტყუანი.

საჭიროა გაძევებულ იქნეს ეს მეფის მიერ მოწყალება მოსილი შავრაზმელი, სწორედ იმ ამხ. ათარბეგოვის მიერ.

ინფ. ინკოგნიტო.

## აკადემიური წმენდა ქართულ მუზფაკში

**(სტუდკომის საყურადღებოდ).**

როგორც ჩანს, ქართულ მუზფაკში იწყება მსმენელების აკადემიური წმენდა, რაც ძალიან საჭიროა, რადგან დიდი ნაწილი მსმენელებისა მეცადინეობას ხშირად აკლდება და მით სხვასაც ხელს უშლის. მაგრამ გამწმენდმა კომისიამ უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მათ შორის არიან ისეთი მუშები, რომელთაც ან სამსახური, ან რაიმე სერიოზული მიზეზი აბრკოლებთ, სწავლა კი სწყურიანთ. ასეთი მუშები არ უნდა გაიწმინდონ.

მუშკორი მათხოველი.

## ვინ ანადგურებს ბოტანიკურ ბაღს

**(მიწათ-მოქმედების სახკომატის და მთავარ მილიციის საყურადღებოდ).**

თბ. ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს იშვიათ კულტურულ მცენარეთა კუთხეს, სადაც ქალაქის მცხოვრებნი, დღიურ მუშაობით დაქანცულნი, ჰპოულობენ დასასვენებელ ადგილს. მაგრამ ზოგი აქ მოსიარულეთაგანი, მიუხედავად სხვადასხვა გამაფრთხილებელ წარწერებისა, მეტად უდიერად ექცევიან ამ ბაღს: სადაც მოესურვებათ ქიმიურ ფანქრებით, ან დანით აწერენ თავიანთ გვარებს და სხვა სამარცხვინო სიტყვებს. მცენარეები ფუჭდება და ნადგურდება; ამის გარდა ამტვრევენ ტოტებს და სწყვეტენ ყვავილებს, აძრობენ გამაფრთხილებელ წარწერებს და სხვა კიდევ ბევრ სასაძაგლეს სჩადიან. ამისათვის **დანიშნული იყო ათი შაურიდან ხუთ მანეთამდე ჯარიმა.** ეხლა ბოტანიკურ ბაღის ადგილკომმა გადასწყვიტა უფრო სასტიკი ზომები მიიღოს ამის წინააღმდეგ, **ჯარიმა 25-დან 50 მანეთამდე აწიოს** და თუ ვერ გადიხდიან სამი თვით გამასწორებელი სახლი მიეჩინოთ.

ვაცხადებთ გვარებს, რომელთაც დიდი „ღვაწლი" მიუძღვით ათასნაირ სისაძაგლეში და წარწერებში: გასანოვი, ა. მელიქოვი, გ. მეიხერი, გ. ლითანოვი, ეგიშ შავარშ, აბკინ კონსტ., იაკიმანსკი, მაზაბნი, კურკჩიშვილი, კ. არპენი, შ. ეგოვსკი, ი. ჩეხელაშვილი, აბრამიან, არუთიუნოვი, სარქისიან, ლენა ოგანესიან, ი. შლემი, გარკვილი, ზ. მარაველაშვილი, ბორის მეჯაუროვი, ზ. როზანოვი, ლეონიდოვი, ი. სვირიდოვი, ბაბანიანი, ველიველი, არიოვი, ნ. ჩებანიძე, ბერიევი, გ. აკოპოვა, კაუნაშვილი, ზერეკაძე, სუთიძე.

ბაღის დარაჯი **კოლჩენკო.**

## უსუფთაობას ბოლო მოუღეთ!

**(ქ. აღმასკომის საყურადღებოდ).**

ნიკოლოზის მოედანთან ამხ. რიაზანცევის ძეგლი უყურადღებობის გამო მეტად უსუფთაოდ არის.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშკორი **ვართანოვი.**

## ცომი პური ცხვება.

**(ქალ. სამტრედიის „ეპოს" საყურადღებოდ).**

ქალაქ სამტრედიაში, აკაკის ქუჩაზე კოოპერატივის ფურნეში ცომი პური ცხვება.

საჭიროა ყურადღების მიქცევა და ამ ნაკლის გამოსწორება, რადგანაც ასეთი შემთხვევები ამ ფურნეში არა ერთი და ორია.

ინფ. „ტანგენსი".

## რაშია საქმე?

**(სამტრედის რაიაღმასკომის საყურადღებოთ)**

გამოჩინებულის თემის ერთ-ერთ სოფელში მოქ. **ივ მახარაძეს** მოპარა ფული ადგილობრივ მცხ. **პლ. წეროძემ.** თუმცა დაზარალებულს ადგილობრივ აღმასკომში აქვს აღძრული ეს საქმე, მაგრამ აღმასკომი დღემდის არავითარ ზომებს არ იღებს.

რაშია საქმე?

ინფ. შ. ტურფა გორელი.

## გაიწმინდა საბჭოთა სახლი

ა | წ. 22 თებერვალს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი მეძავი ქალი ნინა მერუმოვი (მცხოვრები სემიონოვის ქ. № 9) ეს ქალი რყვნიდა როგორც თავის შვილებს, აგრეთვე სხვებსაც და ამ ნიადაგზე ეწეოდა გაფრთხილებულ „ვაჭრობას". მისმა ასეთმა საქციელმა მოატანა 22 თებერვლამდე, მაგრამ აქ ფხიზელი თვალის შემწეობით მას და მის მოქმედებას საბოლოოდ შეეკვეცა ფრთები. მოისვენეს მობინადრეებმა იმ სახლის, სადაც ის ცხოვრობდა. აღარ არის აურ-ზაური, ლანძღვა-გინება და სხვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, როგორც ასეთ მოხელის თანდაყოლილ ჩვეულებებს.

გაიწმინდა საბჭოთა სახლი.

ინფორმატორი.

## მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

### ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია

„კომუნისტი"-ს მე-40 ნომერში სათაურით: **„ქურდები თავისას არ იშლიან"** მოთავსებულ წერილის შესახებ აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ **ხსენებული ვაზაკაშვილი აღნიშნულ გარემოების გამო უკვე დაპატიმრებულია და კომისიის მიერ გადაგზავნილია ავჭალის გამასწორებელ სახლში.**

### აღძრულია სათანადო შუამდგომლობა

„კომუნისტი"-ს მე-28 ნომერში სათაურით; **„ეს არის უკანონობა"** მოთავსებულ წერილის შესახებ წყალსადენის დირექტორმა გვაცნობა, რომ ავჭალის წყალსადენის მუშების კატეგორიებში გათანასწორების შესახებ აღძრულია შუამდგომლობა, სადაც ჯერ არის და [illegible] დაკმაყოფილების პასუხს.

### სახლის პატრონი აილაგმება

„კომუნისტი"-ს მე-32 ნომერში სათაურით: **„კიდევ სახლის პატრონზე"** მოთავსებულ წერილის შესახებ, აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ ამ საქმის შესახებ მოხდენილი კვლევა-ძიება—მთელი მასალით გადაეგზავნა 1 უბნის სახალხო მოსამართლეს განკარგულებისათვის.

### სახლს აუცილებლად შეაკეთებენ

„კომუნისტი"-ს მე-41 ნომერში სათაურით: **„დროზე მიხედეთ"** მოთავსებულ წერილის შესახებ აღმასკომის „უქსმა" გვაცნობა, რომ მოხდენილია განკარგულება, რათა **ხსენებულ სახლში დაარსებულ საბინაო ამხანაგობა შეუდგეს სახლისთვის საჭირო რემონტის გაკეთებას.**

### ტარიფი სამართლიანია

„კომუნისტი"-ს მე-28 ნომერში სათაურით: **„ეს არის უკანონობა"** მოთავსებულ წერილის შესახებ, აღმასკომის წყალსადენის განყოფილებამ გვაცნობა, რომ საერთო სატარიფო ნიხრის მიხედვით ფიზიკურ მუშებს **ეძლევათ მეოთხე კატეგორია, ხოლო ვინაიდან ერთი ჯგუფი მუდმივად მუშაობს ჰიდროტექნიკურ ნაშენებში, მათ ეძლევათ მეხუთე კატეგორია, რაც სამართლიანია.**

### წყალი უკვე მიეცით

„კომუნისტი"-ს მე-32 ნომერში სათაურით: **„დავიტანჯეთ უწყლობით"** მოთავსებულ წერილის შესახებ, აღმასკომის წყალსადენის დირექტორმა გვაცნობა, რომ თბილისის ტელეფონის სადგურზე წყალსადენი უკვე შეკეთებულია და 9 თებერვალს ა. წ. **წყალი უკვე მიწოდებულია.**

ქ. თბილ. აღმასკომის ინფორმატორი.

### გაქვთ უფლება კავშირში ჩაეწეროთ

**(არტელის გარეშე მყოფ მუშების ჯგუფს)**

თქვენს შეკითხვაზე **„ჩვენ რა დავაშავეთ"**-ო გაცნობებთ, რომ მართალია, „არტელი" მეტ წევრებს აღარ ღებულობდა სამუშევრების სიმცირის გამო, მაგრამ ვინაიდან ამ ჟამად მათი შტატი დიდდება ერთი ორით, **თქვენ თუ სურვილი გაქვთ შეგიძლიათ ჩაირიცხოთ უკანასკნელის წევრებათ, სადაც იმუშავებთ საერთო წესით.**

ქ. ზესტაფონის აღმასკომი.

# წერილები პროვინციიდან

## პროკურორის მუშაობა სოფლად

(კავთისხევის თემი)

პროკურატურის წარმომადგენლის მიერ ა. | წ. 12 თებერვლიდან შემოვლილ იქნა კავთისხევის თემში შემავალი ყველა სოფლები. სოფლის ყრილობებს განმარტა საბჭოთა ხელისუფლების კანონები გლეხობის ინტერესების დაცვის სფეროში და პროკურატურის მუშაობის მნიშვნელობა სოფლად. გლეხობამ გულდასმით მოისმინა მოხსენება და შემოიტანა მრავალი შეკითხვები ხელისუფლების ორგანოების ადგილობრივ მომუშავეთა უფლება-მოვალეობის შესახებ, რაზედაც მიიღო საჭირო ახსნა-განმარტებაო.

აგრეთვე გამომჟღავნეს ზოგიერთ მუშაკის უკანონო მოქმედება: უფლების გადამეტება, მოქალაქეთა უკანონოდ შეპყრობა და სხვა, რომელთა წინააღმდეგაც იქნება მიღებული სათანადო ზომები. აშკარა დამნაშავეთა მიმართ გაიცა განკარგულება მათ დასაპატიმრებლად და პასუხისგებაში მისაცემად, ხოლო საეჭვო პირებზედ კი დაევალა სათანადო ორგანოს საქმის გამორკვევა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა.

ასეთ ზომების მიღებამ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ დიდი სიამოვნება და ნდობა გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ადგილობრივ გლეხობაში, ისინი დარწმუნდენ, რომ არც ერთი ბოროტმოქმედს არ დასტოვებს დაუსჯელად საბჭოთა ხელისუფლება, ვინც უნდა იყოს ის, და რა საპასუხისმგებლო თანამდებობა არ უნდა ეჭიროს მას.

აგრეთვე გამოირკვა ერთი დაუშვებელი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონია ჩვენს სოფლებში. სოფლის რწმუნებულები თავის საქმის მწარმოებლის და მილიციონერის ჯამაგირის დასაკმაყოფილებლათ თურმე კრეფდენ გლეხობისაგან თითო ორ-ორ ჩანახ ხორბალს, რაც იწვევს გლეხობაში დიდ უკმაყოფილებას.

ამის გამო მრავალი სოფლის რწმუნებულები იქნენ მიცემული სასტიკ პასუხისგებაში, შემდეგისათვის კი განემარტა მათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული ასეთი საქციელი.

ყველა სოფლის ყრილობებმა საჭიროდ სცნეს ადგილებზედ დაარსებულიყო პროკურატურის დამხმარე უჯრედები, რომლებიც მაშინვე იქნენ არჩეული სოფლის უღარიბეს გლეხობისაგან და დაევალა მათ, რათა ყოველი ცალკე შემთხვევა, როცა დაშვებულ იქნება აშკარა გადაცდომა კანონის ფარგლების, აცნობონ აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწეს გორის მაზრაში სასწრაფო ზომების მისაღებად, რათა ბოროტმოქმედი მაშინვე იქნეს აღმოჩენილი და პასუხისგებაში მიცემული უჯრედის წევრთა რიცხვი განისაზღვრება თვით სოფლის მცხოვრებთა მიხედვით.

გლეხობამ აგრეთვე საჭიროდ სცნო, რათა ასეთი შემოვლა და მოხსენებები კანონების განმარტების და საპროკურორო ზედამხედველობის მიზნით უფრო ხშირად ეწყობოდეს სოფლად, რაიც გააჯანსაღებს უფლების ორგანოებს ადგილებზედ.

თემის შემოვლის შემდეგ თემის ცენტრში მოწყობილი იქნა თათბირი თემის და მასში შემავალ სოფლების ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების, განმარტებულ იქნა მათი უფლება მოვალეობა ცალ-ცალკე. მილიციას მიეცა ფართე ახსნა-განმარტება მოვალეობის და ქვემდებარეობის შესწავლის მიზნით და განემარტა, თუ როგორც უნდა მოიქცნენ ყოველ ცალკე შემთხვევის დროს.

გამოირკვა, რომ მილიცია ამ რაიონში ძლიერ მოისუსტებს. მათ არ აქვს სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსები, რის გამოც ისინი ურევენ ერთმანეთში თავის და სასამართლოს უფლებებს ასრულებენ, ასრულებენ ისეთს საქმეს, რომელიც სრულებით არ შედის მათ უფლება-მოვალეობაში. შემოვიდა აგრეთვე მრავალი შეკითხვა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებიდან, რაზედაც მიიღეს სათანადო ახსნა-დარიგება. მოთხოვეს რათა იმართებოდეს სახალხო სასამართლოს სესიები სოფლებში, რაც მისცემს მათ საშუალებას განთავისუფლდენ იმ ზედმეტი მუშაობისაგან, რომელიც თუმცა არც კი შეადგენს მათ უფლება-მოვალეობას, მაგრამ მდგომარეობის გამო იძულებული არიან ზოგიერთ შემთხვევაში შეასრულონ სასამართლოს საქმეებიც კი.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მილიციის ორგანოებს ჰქონდეთ სისხლის სამართლის, და საპროცესო კოდექსი, რათა ექმნეთ საშუალება იხელმძღვანელონ არსებული კანონებით. აგრეთვე საჭიროა ახალ თემურ სისტემაზედ გადასვლის შემდეგ გამიჯნულ იქნეს თემის აღმასკომის და რაიმილიციის შორის დამოკიდებულება და მათ უფლება მოვალეობა ცალ-ცალკე.

ა. თენიეიშვილი.

## ხაშურ-ქუთაისს შორისაც საჭიროა ადგილობრივი მატარებელი

ადგილობრივი მატარებლები არიან დანიშნული თბილის-ბორჯომსა, სამტრედია-ბათუმსა და ფოთ-ქუთაისს შორის. ასეთი მატარებელი არ არის ხაშურ-ქუთაისს შორის და საჭირო კი არის, რადგან ამ რაიონს დაწყებული წიფა-მოლითიდან, მჭიდრო კავშირი აქვს ქუთაისთან. კავშირი აგრეთვე აქვს ქუთაისთან ჭიათურის რაიონსაც, რომელმაც უნდა ისარგებლოს ადგილობრივი მატარებლით. ეს მატარებელი ქუთაისში უნდა შედიოდეს დილის 10 საათზე და უკან კი ბრუნდებოდეს ნაშუადღევის 4 საათზე. ამ ჟამად ქუთაისში შედის დილის 11 საათზე მატარებელ № 10-ის ნაწილი, ხოლო ქუთაისიდან გამოდის სატვირთო მატ. № 47 საღამოს 8 საათზე. დანარჩენი ორი მატარებელიც ღამე გამოდის: ერთი 10 საათზე. მეორე 12 ნახ. საათზე. ამ მატარებლებით სარგებლობა, და ისიც გაჭირებით, შეუძლიათ სადგურებთან ახლო მცხოვრებლებს. ვინც სადგურებს დაშორებულია, მათ უნდა გაათიონ ღამე სადგურებში. ამნაირად, ქუთაისში მგზავრობაზე იკარგება 20—24 საათი.

თუ ადგილობრივი მატარებელი ვერ დაინიშნება, მაშინ მისი მაგიერობა უნდა გასწიოს პირდაპირმა მატარებელმა, რაც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მატარებლების საზაფხულო განრიგების შედგენის დროს. მხედველობაში უნდა იქნეს აგრეთვე მიღებული მატარებლების მიმოსვლის შეცვლა შორაპან-ჭიათურას შორის: ზესტაფონ-მოლითის რაიონს საშუალება უნდა ქონდეს სამაზრო ქალაქში დილით ჩავიდეს და საღამოს შინვე დაბრუნდეს.

თ. მ.

## ზამთარი ახალციხეში

წელს ჩვენში საშინელი ზამთარია როგორიც რამოდენიმე წელიწადია აღარ უნახავთ ახალციხელებს. თოვლი მეტად დიდი დასდო. ქარი, ბუქი და ყინვა ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა, რამაც ძალიან შეაწუხა ზამთრისთვის მოუმზადებელი მკვიდრნი. მართალია, შეძლებულნი კიდევ ახერხებენ ერთი სამად და ოთხად გაძვირებულ შეშის ყიდვას, მაგრამ ვაი მოსდით ღარიბთ, რომლებისთვისაც იგი მიუწვდომელი შეიქნა. ამიტომაც, ამ ზამთარს, რაც უპატრონო მოხუცებულნი იყვნენ, უმეტესი ნაწილი კიდეც იმსხვერპლა სიცივემ და გამოასალმა წუთი სოფელს. ამ ჟამად, მინდვრად ორ არშინამდის თოვლი ძევს, ხოლო მთაში და ტყეში ორჯერ და სამჯერ მეტი თოვლია. როგორც გადმოგვცეს, აჭარის მთის ყელში, სოფ. გოდერძში გაუზომიათ და აღმოჩენილა 6 ნახ. არშინი თოვლი. თოვლის გამო, ბევრ სოფელს, ქალაქთან კავშირი შეწყვეტილი აქვს და ამიტომაც ჩვენს ბაზარზე მცირე ნაწარმოები მოაქვს გასასყიდად ჩვენებურ გლეხს.

ასეთს დიდ თოვლიანობას, როგორიც არის წელს ჩვენში, ცხადია მომავალ გაზაფხულზე მეტად საშინელი წყალდიდობა მოჰყვება, რის წინააღმდეგ წინასწარვე უნდა მიიღონ ზომები მდინარე მტკვრისა და ფოცხოვის ნაპირთა მახლობელ სოფლელების მცხოვრებლებმა, რათა აიცილონ წყალდიდობისაგან მოსალოდნელი ზარალი და უბედურება.

ჩვენ ქუჩებში ღამეობით ბევრი მგლის ხროები დაძუნძულებენ და მუსრს ავლებენ გარედ დარჩენილ ძაღლისა და ღორების სისხლსა.

მიწის ძვრა ხშირად მეორდება ხოლმე ჩვენში, მხოლოდ სუსტად.

**ძველი რევოლიუციონერი.**

## პროვინციის ქრონიკა

— **ფოთის** ჰუმანიტარული ტექნიკუმი 23—24 წ. დაასრულა 140 მოწაფემ.

— **გურიის გლეხკომების კონფერენცია.** კვირას 8 მარტს ოზურგეთში გაიხსნა გურიის სამაზრო გლეხკომების ყრილობა, რომელსაც დაესწრო სოც. უზრ. სახ. კომისარი ამხ. ხომერიკი.

— **წ.-კ. უცოდინარობის მოსასპობად.** საჩხერის გლეხკომებმა დაადგინეს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— **შორაპნის** მაზრაში ამჟამად ითვლება 760 ომისა და შრომის ინვალიდი, აქედან 418 ინვალიდი ღებულობს პენსიას.

— **საძოვრების განაწილება.** გასულ წელს საქართველოს სხვადასხვა მაზრებში განაწილდა 145 ათასი დესეტინა საძოვარი.

— **აჭარაში** ამჟამად ითვლება 1700 დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეზე მეტი.

— **შორაპნის** მეფუტკრეობის ამხანაგობამ გადასწყვიტა შეიძინოს 200 სკა.

— **ახალქალაქის** მაზრაში დაარსდა 2 სასოფლო - სამეურნეო კომუნა.

# იურიდიული რჩევა-დარიგება

## როგორ მივიღოთ ამონაწერი ქორწინების შესახებ

### კითხვა

ჩვენ დავქორწინდით 1917 წელს ქ. სოხუმში და ჩაწერილი ვიქენით როგორც „ნამდვილი და კანონიერი" ცოლ-ქმარი მაშინდელ საეკლესიო წიგნებში, და კიდეც მივიღეთ აღნიშნული წიგნებიდან ამონაწერები დაქორწინების შესახებ. მაგრამ სადღაც დაგვეკარგა ეს მოწმობა, დაკარგულა ის წიგნებიც, სადაც აღნიშნული იყო ჩვენი „კანონიერი" შეუღლება. ამგვარად დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი საბუთი ჩვენი მეუღლეობის შესახებ, რაც ძალიან გვაწუხებს, ვინაიდან, შესაძლებელია, რომ ვინმე ჩვენთაგან მოკვდეს ადრე, ან მოუვიდეს რაიმე უბედურება და მეორე მხარე კი ვერ შესძლებს განახორციელოს თავისი ნივთიერი და სხვ. უფლებები, გარდაცვალებულ მეუღლისგან დარჩენილ ქონებაზე და სხვა, რადგანაც მას არავითარი საბუთი არა აქვს იმის შესახებ, რომ ჩვენ ვიყავით ცოლ-ქმარი.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას როგორ მოვიქცეთ რომ ჩვენი ქორწინება ახლად იქნას ჩაწერილი სათანადო წიგნებში და ჩვენც მოგვეცეს ამის შესახებ სათანადო მოწმობა.

სამურზაყანოელი მილიციელი.

### პასუხი

**თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 52-ისა** იმ შემთხვევაში, თუ წინანდელი ქორწინების წიგნები დაიკარგა, ან როგორმე დაიღუპა, ან და სხვა რაიმე პირობების გამო დაქორწინებულთ არა აქვთ საშუალება მიიღონ ამონაწერი თავიანთ ქორწინების შესახებ,—მათ ეძლევათ უფლება შეიტანონ განცხადება ორივე მხარის ხელისმოწერით თავიანთ ბინადრობის მიხედვით სათანადო მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში „მმაჩ"-ში: სადაც უნდა აღინიშნოს დრო მათი ქორწინების და რომ დაქორწინების წიგნები ნამდვილად დაიღუპა. მეუღლეთა ასეთი განცხადება სრულიად საკმარისად ითვლება იმისათვის, რომ ქორწინება ახლად იქნეს ჩაწერილი სათანადო წიგნებში, რის შემდეგ თანახმად თხოვნისა მეუღლეთ აქვთ უფლება მიიღონ ამონაწერი.

## კანონიერია თუ არა დამქირავებლის ასეთი მოქმედება

### კითხვა

მე ვმსახურობდი ს. ხეთის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებაში—მთავარი მაღაზიის პასუხისმგებელ ნოქრად, და ვიღებდი ჯამაგირს 42 მანეთს, **თანახმად პროფკავშირის და ამტრედიის ცეკავშირის განყოფილების მოწერილობისა**. რის მიხედვით მივიღე ჯამაგირები 1924 წ. 1 იანვრამდე. სხვადასხვა მიზეზებით 1924 წ. იანვრიდან ხუთი თვის განმავლობაში ჯამაგირი არ მიმიღია, გარდა ავანსისა, რომელსაც ვღებულობდი დაპირებული ჯამაგირის ფარგლებში, ასეთ მდგომარეობაში მოხდა საზოგადოების გამგეობის გადარჩევა. ახლად არჩეულმა გამგეობამ ანგარიშის გასწორების დროს ჯამაგირი წასული თვეების არ მომცა იმ განაკვეთით, რომლითაც ვიღებდი და ჩემს ამხანაგს კი, მოანგარიშეს, რომელიც იღებდა იმავე ხარისხით ჯამაგირს, არ შეუმცირეს და მისცეს იმდენი, რამდენსაც წინა თვეებში ღებულობდა და მე პირიქით ვალი დამადეს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, დამქირავებელს (ამ შემთხვევაში ხეთის მომხ. საზ. გამგეობას) შეუძლია თუ არა არ გაუსწოროს დაქირავებულს უკვე წარსული თვეების ჯამაგირი იმ განაკვეთით, რომლითაც იღებდა ის ჯამაგირს და რომლის მიღებაში იყო დარწმუნებული დაქირავებული იმ თვეებშიაც.

ნოქარი ერასტი ბუკია.

### პასუხი.

**ვინაიდან თქვენი შრომის ხელფასი განსაზღვრული იყო არა მარტო მომხ. საზ. ყოფ. გამგეობის პირადი სურვილით, არამედ „ცეკავშირის" და პროფკავშირის განაკვეთით, ამიტომ წარსულ თვეების თქვენი შრომის ხელფასის შემცირების უფლება (მხოლოდ პირადი შეხედულებით) ახალ გამგეობას არ ჰქონდა. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ გამგეობას შრომის სასამართლოს წესით წარსულ დროის მუშაობისთვის გაგისწორდეს იგი ძველი განაკვეთით.**

# ბიბლიოგრაფია

## მამია ორახელაშვილი—პროლეტარული რევოლუციის კითხვები

გამოცემა „საბჭოთა კავკასიონი"-ს გვ. 102. ფასი 70 კ.

ამხ. მ. ორახელაშვილის წიგნი წარმოადგენს კრებულს ოთხი წერილისას, რომელთაგან პირველი სამი (1.**„რით აიხსნება რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის ადვილად გამარჯვება"**, 2. **„ევროპიელ-ამერიკელი და რუსი მუშა"** და 3. **„ვინ სტყუის? ს. დევდარიანის მკითხველების საყურადღებოთ"**) დაბეჭდილი იყვნენ ჩვენ პარტიულ გაზეთებში კიდევ 1920 წ., ხოლო უკანასკნელი მეოთხე კი („რა სტკივა ს. დევდარიანს") დაიბეჭდა შარშან ნოემბერში „კომუნისტში" და წარმოადგენს პასუხს იმ წერილებზე, რომლებიც ს. დევდარიანმა მოათავსა ჩვენ გაზეთში. ამნაირათ ახალი ამ წიგნში არაფერია, გარდა პატარა წინასიტყვაობისა და რამოდენიმე სასხოლიო შენიშვნებისა. მიუხედავათ ამ გარემოებისა, მიზანი, რომელსაც ისახავს ავტორი (იხ. ხსენებული წინა სიტყვაობა) სრულიად ამართლებს ამ წიგნის გამოცემას. ვიტყვი კიდევ მეტს. მისი და მსგავს წიგნების გამოცემა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დღეს

რატომ?

უკანასკნელი წლების განმავლობაში პრაქტიკულმა მუშაობამ, ჩაითრია და დაზურგა რა მასსა ჩვენი მუშაკებისა, მექანიკურათ როგორღაც მოსწყვიტა ისინი ჩვენი თეორიის და ტაქტიკის დიდ კითხვების შესწავლას. მძიმე ყოველდღიური მუშაობით დატვირთვამ ისინი, ასე ვსთქვათ, ძალაუნებურათ „განტვირთა" ამ დიდი საკითხებით თუ დაინტერესებისაგან არა, ყოველ შემთხვევაში ფიზიკური საშუალებისაგან ხელი მოეკიდათ მათი შესწავლისათვის და საზოგადოთ თეორეტიულ მეცადინეობისათვის. ეს დაშორება, ეს მოწყვეტა თეორიისაგან როგორღაც სჩემდება ამხანაგებს, მათ „ჩვეულებათ" ხდება და აღუნებს ინტერესს იმ ძირითად საკითხებისადმი, რომელთადმი უყურადღებობა შეიძლება სახიფათო შეიქნეს პარტიის საკმაოთ დიდი კადრებისათვის, პარტიისათვისაც. ეს ერთი მომენტი. მეორეც რომელსაც აღნიშნავს თვით ავტორი თავის წინასიტყვაობაში: ჩვენი ახალგაზრდობა გაცხოველებულ ინტერესს იჩენს პროლეტარული რევოლიუციის ზოგადი საკითხებისადმი. ორივე შემთხვევისათვის ასეთი წიგნების გამოსვლა უაღრესათ საჭიროა: პირველში ასეთი წიგნები ხელს შეუწყობენ კვლავ დაინტერესონ მკითხველები ძველი, მაგრამ მუდამ ახალი საკითხებით ჩვენი თეორიიდან. აქ, ამ წიგნებმა უნდა დააძლევიონ ამხანაგებს ინტერესის მოდუნება, ასე ვთქვათ რეაქცია, თეორეტიული კითხვებისადმი. მეორეში—ეს წიგნები გაუწევენ დიდ სამსახურს ახალგაზრდობას, რომელიც ეტანება ამ კითხვების შესწავლას და ეძებს ამის საშუალებას ქართულ ენაზე.

ავტორს თავი მოუყრია თავისი ძველი ნაწერებიდან ისეთებისათვის, რომლებიც შეეხებიან ძირითად საკითხს ჩვენი ბრძოლისას ყველა სოციალისტებთან და კერძოთ მენშევიკებთან, საკითხს რუსეთის რევოლიუციის სოციალური ბუნების, პროლეტარიატის და სხვა კლასების როლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგაშუქებულია რევოლიუციონურ-მარქსისტული თეორია სოციალური განვითარების და რევოლიუციონური კრიზისების წარმოშობისა. ავტორი ჩერდება დიქტატურისა და დემოკრატიის კითხვებზე. ეს კითხვები თითქოს ერთი შეხედვით მოძველებული არიან მათ შესახებ ამდენი კამათის გამო, მაგრამ ისინი უაღრესად აქტუალური რჩებიან დღესაც და არა მარტო ჩვენი მოწინააღმდეგე იდეოლოგიათა ცდის გამო რესტავრაცია უქნან ძველ შეხედულებებს (რუსეთის მენშევიკები უცხოეთში) ან და თავდაყირა დააყენონ საბჭოთა ეკონომიურ-პოლიტიკური სისტემის ახსნა-განმარტების საქმე და დაუკავშირონ ეს სისტემა „ჭეშმარიტ-რუსულ" წარსულს რუსეთის ისტორიისას (როგორიც არის უკანასკნელი კურიოზური და, ვიტყვი ამ სიტყვას, სულელური, არა მარქსისტულ-სოციოლოგიური ცდა ნ. ჟორდანიასი) არამედ იმიტომაც, რომ ამხ. ტროცკის „ოქტომბრის გაკვეთილების", გამო თვით ჩვენ რიგებშიც გაცხოველდა ინტერესი ძველი საკითხებისადმი და მასთან იმ გაშუქებით, რომელსაც მათ ვაძლევდით ჩვენ ბოლშევიკები მენშევიკებთან ბრძოლის დროს.

უკანასკნელი წერილი ამხ. მ. ორახელაშვილისა ეხება ს. დევდარიანის მიერ წამოყენებულ საკითხებს საქართველოს „სატკივრების" შესახებ.

წერილები იკითხება ავტორის ყველა ნაწერებისათვის დამახასიათებელი ინტერესით.

წიგნის ფასი—70 კაპ. არ არის ძალიან ძვირი.

ნ. კ—ძე.

# წერილი რედაქციის მიმართ

„პროლემაფის" № 1-ში ამხ. ვ. მაჭავარიანის ხელის მოწერით მოთავსებულია წერილი სათაურით „ხელოვნებათა სამარეზე". „პროლემაფის" რედაქცია აცხადებს მკითხველთა საყურადღებოდ, რომ ეს წერილი ეკუთვნის არა ვ. მაჭავარიანს, არამედ მიხ. ნეთიძეს. გვარი შეცვლილია კორექტორის დაუდევრობის გამო.

**რედაქცია.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## საქართველოს საგანგებო კომისიის

## ბრძანება

## № 35

ქალ. თბილისი, 1925 „5" მარტი.

§ 1

ცხადდება ყველა მოქალაქეთა, და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ რომელთაც აქვთ იარაღი თავისი თანამშრომლებისათვის — მისაწოდებლად სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს (მოლარეები, „არტელჩიკები", კანტროლიორები და აგენტები, რომელთაც მიაქვთ ძვირფასი ნივთები და სხვა), რომ ა. | წ. 1 მარტამდი გაცემული ყველა მოწმობები იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისიის და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ გაუქმებულად არის გამოცხადებული.

§ 2.

ყველა უპარტიო მოქალაქეები გამოუკლებლად, და აგრეთვე § 1-ში ჩამოთვლილი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ტყვიის მტყორცნელი იარაღი, ვალდებული არიან იქონიონ საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს მოწმობა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ.

§ 3

მოწმობებს ტყვიის მტყორცნელი იარაღის და მისი ვაზნების შეძენის ტარებისა და შენახვის შესახებ აძლევენ: თბილისში და მის მაზრაში — საქართველოს საგანგებო კომისია მაზრებში--სათანადო პოლიტბიუროები, საინფორმაციო პუნქტები და საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო რწმუნებულები.

§ 4.

ამ ბრძანების § 3-ში ჩამოთვლილ ორგანოებში შეტანილ განცხადებებს დაკრული უნდა ჰქონდეს საღერბო და საკანცელარიო მარკები: კერძო მოქალაქეებმა უნდა დააკრან 2 მანეთის მარკა, დაწესებულებებმა—25 კ.

**შენიშვნა:** განცხადებებზე დასაკრავი საღერბო და საკანცელიარიო მარკების მიღება შეიძლება ზემოჩამოთვლილ ორგანოებში.

§ 5.

იარაღის რეგისტრაცია და ნებართვის გაცემა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ამ დადგენილების გამოცემის მომენტიდან და თავდება 1925 წლის 1 მაისს.

§ 6.

§ 1-ში ჩამოთვლილი მოქალაქეები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრაციაში არ გაატარებენ მათ განკარგულებაში მყოფ ტყვიის მტყორცნელ იარაღს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში კანონის მთელი სიმკაცრით იარაღის გადამალვისათვის.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე **კვანტალიანი.**

საქართველოს საგანგებო კომისიის საერთო-ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი **სტანსკი.**

# ჩვენი ფოსტა

**მარანი.** ქარხკომი, მგალობლიშვილს. ფული მიღებულია 3 მარტს და 50 ცალი გაზეთი გეგზავნებათ სისტემატიურად, მისამართი № 337; მოიკითხეთ ადგილობრივ ფოსტაში.

**გომი** დ. ხუციშვილს. გაზეთი გეგზავნებათ სისტემატიურად. მიაკითხეთ ადგილობრივ ფოსტას.

**ახალ-სენაკი:** ბ. უჩანეიშვილს. 10 ცალი „კომუნისტი" გამოგეგზავნებათ 15 მარტიდან.

# პარტიული და საბჭოთა ქრონიკა

## პარტიული

— დღეს, 10 მარტს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია **ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

— დღეს, 10 მარტისათვის დანიშნული სხდომა მეოთხე რაიონულ საშეფო კომისიების ბიუროსი გადადებულია შემდეგისათვის, რაც ცალკე იქნება გამოცხადებული.

რაიშეფბიუროს მდივანი **ალ. თორაძე.**

— ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში: 1. მელაძე შალვა, 2. ნიორაძე ვახტანგ, 3. მომქორია სილოვან, 4. მიქაისონია ბეგლარის ასული, 5. მარტიროსოვ არამ კირაკოსოვის ძე, 6. ქსოვრელი კარაპეტ.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება.

ყველა დელეგატ ქალებისა და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე, გზათა განყოფილების მე-6 უბნის კლუბში შესდგება დელეგატ ქალთა კრება.

ლენინის რაიონის ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე **ბიბინეიშვილი.**

— სამშაბათს, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. მედვედევი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**„ლენინი ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ".**

— ოთხშაბათს, 11 მარტს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება ამხ. კრუგლიკოვის მორიგი ლექცია რაიონულ-პარტიულ სკოლებისათვის. წაკითხული იქნება ლექცია ციკლიდან:

**„ლენინიზმი და ტროცკიზმი".**

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 12 მარტს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საагიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება საშეფო კომისიების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

ბუჩნიკაშვილი, ადიკაშვილი—ქალაქის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე, ბახტაძე, ზირაქიშვილი—მეოთხე რაიონიდან, ცინცაძე—პირველი რაიონიდან, კიდაიში, ანდღულაძე—ქართული დივიზია, სერებრიაკოვი—პოლიტიკური სამდივნო და ნასარიძე.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

### ვინ არის წინააღმდეგი.

ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში წევრათ და კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. დევდარიანი შალიკო სოლომონის ძე, 2. ენუქიძე მიხეილ ილიას ძე, 3. ენუქიძე გრიგოლი ტარიელის ძე, ეს ამხ. ამხ. არიან კომპარტიის კანდიდატები, 4. გაბუნია ვარლამ ერასტის ძე, 5. იმნაიშვილი სულეიმანი ცუზეთის ძე, 6. ვაჩეიშვილი კაპიტონ გიორგის ძე, 7. ბოლქვაძე გენჯელი ახმედის ძე. ეს ზემოხსენებული ამხ. ამხ. არიან. ა. ლ. კ. კ. წევრები."

ქართული გაერთიანებული მეთაურთა სკოლის № 2 უჯრედის პრეზიდიუმი სთხოვს თუ ვინმემ იცის რამე უარყოფითი ცნობები აღნიშნულ ამხ. ამხ. შესახებ, აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

# განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები ღვინით სავაჭრო „სამშური" სამსახურიდან აცნობებენ ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს

**ალექსანდრე ალექსის ძის**

**ფოჩხიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 10 მარტს, დილის 11 ს., ნიკოლოზის ეკლესიაში. მისამართი: გონჩარნი, № 24.

1—1 ქვ. № 589

ღრმად დამწუხრებულნი მეგობრები არშაკა სარქისის ძე ჩითაევი და არშაკა სერგეის ძე აივაზოვი აცნობებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა

**ალექსანდრე ალექსის ძე**

**ფოჩხიძე**

გამოსვენება 10 მარტს, დილის 11 საათზე ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება 10 მარტს, კუკიის სასაფლაოზე. მისამართი: გონჩარნი № 24.

1—1 ქვ. № 589

მარტის 9 მოულოდნელად გარდაიცვალა

**ალექსანდრე (საშა) იოსების ძე**

**ნიკიტინი**

რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მეუღლე ანა ვასილის ასული, შვილები ნინო, დავითი, ლევანი, ნინო, ოთარი ნიკიტინები და რძალი იზაბელა იურის ასული ნიკიტინისა. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებული შვილები: კალისტრატე, მარგალიტა, ელენა, ოლია, ნინა, სიძეები: იაკობი, ნიკიფორე, სილოვანი, კალენიკე, რძლები: ნატაშა, ნინა და აგრაფინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. | წ. 8 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი მამა

**ივანე ბიჭიას ძე კუჭუხიძე.**

დასაფლავება ქალაქ ქუთაისში. 1—1 590

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სოფიო არჯევანიძისა, და ელისაბედ ჩუბინოვისა, შვილები დავითი და ანტონი, რძლები ბარბარე და ოლა არჯევანიძეები, ქალიშვილი ალექსანდრა და სიძე კონდრატი შვილებით შალვა და რევაზით გაბიჩვაძეები შვილის შვილი თამარ და მიხეილ კანდელაკეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარ და ძვირფასი

**სვიმონ ისააკის ძე**

**არჯევანიძე**

პანაშვიდი დღეს 10 მარტს, საღამოს 7 საათზე გამოსვენება ხვალ 11 მარტს საღამოს 4 საათზე ქვაჯვაძეს ქუჩის თავზედ ტყის შესახვევი № 39, დაკრძალვა წმინ. ნინოს სასაფლაოზე.

1—1 № 603.

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო დრამა

დღეს, 10 მარტს

გმირი

ჯონ სინგის

ნ. 930 1—1.

სახ. აკადემიური ოპერა

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

დღეს, 10 მარტს

აბესალომ და ეთერი

ოპერა 5 მოქ. ზ. ფალიაშვილის

ნ. 929 1—1

გ. მუშიშვილი

„სისხლიანი კვალი"

იყიდება ყველგან

ნ. 3—2

საჭიროა

გამოცდილი კონტრაგენტები ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და სხვა ლიტერატურის გასავრცელებლად შემდეგ ქალაქებსა და პუნქტებში:

1) ონში
2) ვლადიკავკაზში
3) ცხინვალში
4) თიანეთში,
5) ცაგერში, (ლეჩხუმი)
6) ახალქალაქში (მესხეთი)
7) სად. რიონში
8) წალენჯიხში
9) მანგლისში
10) კოჯორში
11) აბასთუმანში

პირობების გაგება ყოველდღე დილის 9—3 საათამდე გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროს. № 24 მეორე სართული).

15—1. მთავარი კანტორა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—24

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—7

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

ექიმი

ალექსანდრე კორძაია

შინაგანი და ქალთა სნეულებანი

მიღ. ავადმყ. 4—6 ს. სად. პლეხანოვის პრ. № 65.

მოქალაქენო!

თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ

მ. ლაღიძის

საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-წვენეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე

მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.

მ. ლაღიძის

ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.

ნის. 908. 2—2

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი

კვირას, მიმდინარე მარტის 15-ს, შუადღის 12 ს. ბაღ „არტო"-ში

აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

გაიცემა მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში თეატრი, ბუფეტი, კიოსკი ხილეულ-წყლების გასასყიდათ და აგრეთვე ერთი დარაბა საპარიკმახეროსათვის

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა შემოიტანონ რემედას-ის ცეკაში სათანადო წერილობითი განცხადება და თან წარმოადგინონ საწინდარი: ბუფეტისთვის—500 მან., კიოსკისთვის—100 მან. და საპარიკმახეროსათვის—60 მან. ვინც აღნიშნულ საწინდარს არ წარმოადგენს, არ იქნება დაშვებული საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად. ვინც შეჯიბრებით ვერ დაირჩენს ზემოხსენებულ დაწესებულებებს, ფული დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ უკანვე. მსურველთ ცნობებისთვის უნდა მიმართონ რემედას-ის ცეკას 10-დან 2 საათამდე( რუსთველის პრ., № 22).

ნის. № 928—2—1

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ზუბალოვის ქ. № 23.

2746. 25—5

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 1

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—4

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—4.

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—19

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—24

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—6

**დაკარგა** პირადობის მოწმობა, მოცემული ახალგორის აღმასკომის მიერ (სამხრეთ-ოსეთი) სიდო ქისიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 604 1—1

**დაკარგა** პირადობის მოწმობა № 1129 მოცემული აღმასკომის სამმართველოს განყოფილებიდან ელისაბედ გიორგის ასულის ნასყიდოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 602 1—1

**დაკარგა** მეტრიკული მოწმობა № 744 თედორე ზაქარიას ძე მინდელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 596 1—1

**დაკარგა** სამხედრო წიგნაკი მოცემული მეორე ლეგიონიდან, ექიმების მოწმობები, შრომის ბირჟის წიგნაკი, სიმონ მუჩიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 591 1—1

**დაკარგა** პირადობის მოწმობა № 765 | 56 გაბრიელ წულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 588 1—1

**დაკარგა** პირადობის მოწმობა ლადო პავლეს ძე კაკაურიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 597 1—1

**დაკარგა** საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის წიგნაკი № 16 სოფიო გაბედავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 595 1—1

**დაკარგა** პასპორტი პარმენ ისაკაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 586 1—1

**დაკარგა** სარეგისტრაციო ბარათი არჩილ ანდრიას ძე ბლიაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 594 1—1

**დაკარგა** პირადობის მოწმობა და სამხედრო საალრიცხვო ბარათი ანტონ ისაკის ძე კეკელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 592 1—1

**დაკარგა** სალექციო წიგნაკი გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გიორგი მაჭავარიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 586 1—1

**დაკარგა** მოწმობა პირადობის № 197. მოცემული სამტრედიის რაიაღმასკომიდან პავლე ანდრიას ძე ჯვარშეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 593 1—1

**დაკარგა** პირადობის. მოწმობა № 1020 მიხეილ ბაკაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 587 1—1

**დაკარგა** პასპორტი ისაკო გიორგის ძე ალხანაშვილის და მეუღლე აგრაფინა ანდრიას ასული ალხანაშვილის ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 600 1—1

**დაკარგა** პროფკავშირის წიგნაკი მოცემული სად. თბილისის ადგილკომიდან ბილ. მოლარის გიორგი ცენტერაძის სახელზე. ჩაითვალოს გუქმებულად. 599 1—1

**დაკარგა** კავშირის დროებითი წიგნაკი № 757 ზაქარია მჭედლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 601 1—1

**დაკარგა** მეტრიკული მოწმობა ალექსანდრე კურატაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 598 1—1

ტირაჟი—21.566

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4